# ლელო

№046 (12 116)
26 თებერვალი ორშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი

# მესიჯი ტოპმიოლერს: იაშვილი საუკეთესოა




## ფრაიბურგის ქართველი ფორვარდი მეორე ბუნდესლიგაში პირველი მეპასეა

ქართული ლეგიონის უქმეები 5





იაშვილი აუესთან მატჩში

**აშვეთია გლაზგოსკენ იყურება**
კარლ ცაისის ფორვარდს იმედი აქვს, რომ ტოპმიოლერი დაუძახებს 2

**არსენალში გადასვლას არ ვნანობ**
ინტერვიუ ლაშა ჯაკობიასთან 3

**უკრაინელი ჟურნალისტი ჩვენმა ჩემპიონატმა და მოედანმა გააკვირვა**
დემეტრაძეს ეს არ უნდა გაეკეთებინა 3

**ერთი ბრინჯაო ჰამბურგიდან**
ძიუდო. სუპერთასი 11

**იქნებ, ნაკრებს ხოშტარია აკლდა?**
კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი 12

## ამ სეზონში ქოზე ხელცარიელი არ იქნება




## ლიგის თასი ჩელსის

ინგლისი
**მანჩესტერს ველარ იჭერენ. ჩელსის, შეიძლება, ლივერპულმა შეუტიოს**
გერმანია
**ვერდერმა შალკეს ნაქცევით ვერ ისარგებლა**
იტალია
**დროა, ინტერს სკუდეტო მიულოცოთ...**
ესპანეთი
**საკამათო დერბი და ეტოოს გოლიანი დაბრუნება** 6-9



მიხეილ აშვეთია მიუნხენთან მატჩში

ინტერვიუ მიხეილ აშვეთიასთან

# მთავარია, გლაზგოში არავინ დაგვაკლდეს

## ქართული გოლები მინგემაც ნახა

**მეორე ბუნდესლიგაში გასულ უქმეებზე გამართულ ტურში, მიხეილ აშვეთია გამოირჩა. ქართველმა ფორვარდმა "მიუნხენ 1860"-ის კარში ორი გოლი გაიტანა, მისმა "კარლ ცაისმა" კი შეხვედრა 3:1 მოიგო. გერმანული საინფორმაციო საშუალებების მტკიცებით, დამაჯერებლად ითამაშა გიორგი ლომაიამაც. ქართველთა კარგი თამაში, საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბისთვისაც კარგადაა ცნობილი - იენაში გამართულ მატჩს რალფ მინგე დაესწრო.**

**გუშინ, მიხეილ აშვეთიას გერმანიაში დავუკავშირდით და განვლილი მატჩის გარდა, საკლუბო და სანაკრებო თემაზე გავესაუბრეთ. საუბარი კი მიუნხენელებთან თამაშით დავიწყეთ.**

- საინტერესო მატჩი გამოვიდა. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა სწრაფი გოლები დაგვავალა და შევასრულეთ კიდეც. 11 წუთში უკვე სამი ბურთით ვიგებდით. ამასაც არ ვჯერდებოდით და კიდევ შევეცადეთ ანგარიშის გაზრდა, თუმცა არ გამოგვივიდა.

**- იქნებ შენს მიერ გატანილი გოლები აღგვიწერო...**

- ჩვენი მეორე თუ მესამე შეტევა იყო, როცა მეკარესთან პირისპირ დამტოვეს. სტუმართა გოლკიპერი მოძრაობაზე დავიჭირე და დაბალ კუთხეში გავიტანე. ამ გოლიდან ორიოდე წუთში კი ჩვენებმა აუტიდან პირდაპირ საჯარიმოში ჩააგდეს ბურთი, შეუჩერებლივ კარში დავარტი, მეტოქის მეკარეც არ ელოდა და მეორე ასე შევაგდე.

**- მატჩის შემდეგ მწვრთნელებმა და კლუბის ხელმძღვანელებმა რა გითხრეს?**

- ყველანი ძალიან გახარებულები იყვნენ. კომპლიმენტები და საქებარი სიტყვები არავინ დამაკლო. აქ, ჩვენს გუნდში ორს კი არა, ერთ გოლს თუ გაიტან, უკვე ქომაგების კერპი ხარ.

**- მათე ღვინიანიძის არყოფნაში დუბლი გამოგივიდა...**

- (იცინის) მათე არ იყო და იმიტომ გავიტანე ორი, თორემ გამიჭირდებოდა. მას რომ ეთამაშა, სამ გოლს ვერ გავიტანდით... მას ამ რამდენიმე დღის წინათ ოპერაცია გაუკეთეს. მისი ამბავი მოვიკითხე და მითხრეს უკეთააო.

**- ამ მოგებით ლიგაში ადგილის შენარჩუნების შანსებიც გაზარდეთ...**

- კი, ეგრეა. მდგომარეობა გავიმყარეთ. კარგი იქნება, თუკი "უნტერჰახინგი" სტუმრად "კაიზერთან" ვერ მოიგებს. ასე თუ მოხდა, მე-14 ადგილზე დავრჩებით და გასავარდნ ბოლო ოთხეულს დავშორდებით.

**- ლომაია წინა ტურებში გმირი იყო. ამჯერად როგორ ითამაშა?**

- რამდენჯერმე მოუწია თამაშში ჩართვა. გამოსვლებზეც კარგად ითამაშა. ის ჯარიმა კი, რომელიც გაგვიტანეს, მიუნხენელთა ფეხბურთელმა მართლაც აუღებელი დაურტყა.

**- რამდენადაც ვიცი, ამ თამაშს ეროვნული ნაკრების თავკაცის ასისტენტი რალფ მინგეც დაესწრო...**

- კი, მინგე იყო ჩამოსული. თამაშის შემდეგ გვნახა და მე და ლომაიას გვესაუბრა. ჩვენი თამაშით კმაყოფილი იყო. ასე გააგრძელეთო, გვითხრა.

**- შოტლანდიასა და ფარერებთან მატჩებისთვის ეროვნულში გამოძახებაზეც ხომ არაფერი გითხრათ?**

- მანამდე სამ კვირაზე მეტია დარჩენილი და ჯერჯერობით, არაფერი უთქვამთ.. მე და ლომაიას იმედი გვაქვს, რომ ნაკრებში კვლავაც გამოგვიძახებენ.

**- იენაში ახალი ჩასული იყავი როცა მითხარი, ფორმაში არ ვარო. ახლა რას იტყოდი?**

- იმიტომ არ ვამბობ, რომ დუბლი შევასრულე. ახლა ბევრად უკეთ ვარ. ერთი-ორი თამაშიც და უკვე ოპტიმალურ ფორმაში ვიქნები. თუმცა, ახლაც კარგ კონდიციაში ვიმყოფები. 90 წუთის განმავლობაში თამაში უკვე აღარ მიჭირს და თანაგუნდელებსაც კარგად შევეწყვე.

**- იენაში, შენთან საუბარში ალბათ 1981 წელს თასების თასის ფინალში თბილისის "დინამოსთან" წაგებულ ფინალსაც იხსენებენ?**

- კი, მართლაც ასეა, ხშირად ახსენებენ. გარდა ამისა, ჩვენს სტადიონსა და კლუბის ოფისში სპეციალური სტენდიცაა, სადაც ძველი, იმ დიდი "დინამოს" ფოტოებიცაა. ჩვენი გუნდის გულშემატკივრებმა, ისიც მკითხეს, საქართველოში თბილისის "დინამოშიც" ხომ არ თამაშობდიო. თანხმობის ნიშნად თავი რომ დავუქნიე, მაშინ გოლები შენზეაო მითხრეს.

**- ბინა უკვე შეარჩიე?**

-სასტუმროში ვცხოვრობ, მაგრამ იმხელა აპარტამენტია, რომ ბინასავითაა. ერთ კვირაში ჩემი მეუღლეც ჩამოვა.

**- შენ და ლომაიას "კარლ ცაისთან" კონტრაქტი სეზონის ბოლოს გიმთავრდებათ. თუკი გუნდი არ გავარდა, იენაში დარჩებით?**

- აქ ახლავე უნდათ, რომ ჩვენ კონტრაქტები გავაგრძელოთ, მაგრამ ამ საკითხზე ჯერ არ ვფიქრობ. ახლა მთავარია ლიგაში დავრჩეთ და ნაკრებში წარმატებით ვიასპარეზოთ. თუკი ლიგიდან არ გავარდებით და კარგ პირობებს შემომთავაზებენ, დავრჩებით კიდეც. თუმცა სხვა ვარიანტებიც გვაქვს.

**- ბუნდესლიგის გუნდებზეა საუბარი?**

- გერმანული ვარიანტებიაო, მხოლოდ ეს მითხრა აგენტმა, კლუბები კი არ დაუსახელებია. მთავარია, აქ გოლები გავიტანო, კარგად ვითამაშო და უკეთეს გუნდში გადასვლა პრობლემა არ იქნება.

**- 24 მარტს შოტლანდიასთან გასვლითი მატჩით შესარჩევ ციკლს განვაახლებთ. გლაზგოს თამაშზე რა იტყვი?**

- მთავარია, ყველაფერი ჩავდოთ და მაქსიმუმი გავიღოთ. ასე თუ იქნება ნამდვილად არ წავაგებთ, მაგრამ მოსაგებად უნდა გავიდეთ მოედანზე.

**- მეტოქეს რამდენიმე ფეხბურთელი არ ეყოლება. სამაგიეროდ, ახალი მწვრთნელი ჰყავთ. ეს ფაქტორები რამდენად იმოქმედებს შედეგზე?**

- მაკლიში სჯობს თუ სმიტი, ეს არ ვიცი, მაგრამ ჩვენთვის ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. რაც შეეხება დანაკლისს, თამაში არ მახსოვს, ჩვენს ნაკრებს ვინმე რომ არ აკლდეს. ასე რომ, არაუშავს, თუკი სხვებიც დასუსტდებიან ცოტა. მთავარია ჩვენ არავინ დაგვაკლდეს. თუკი ოპტიმალური შემადგენლობა გვეყოლება, შოტლანდია ვერაფერს დაგვაკლებს.

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ ლაშა ჯაკობიასთან

# არსენალში გადასვლას არ ვნანობ

**შარშან მიღებულმა ტრავმამ ლაშა ჯაკობია რამდენიმე თვით უფეხბურთოდ დატოვა. ახლა კი, გამოჯანმრთელებული ქართველი ფორვარდი ფორმის აღდგენას ცდილობს - კიევის "არსენალისთვის" ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა. სწორედ ეს გახდა უკრაინელი ჟურნალისტების დაინტერესებტმ მიზეზი...**

- კიევის "არსენალს", სადაც განათხოვრების წესით გადავედი, თურქულ შეკრებაზე შევუერთდი. ანთალიაში ვირუსი შემეყარა. ძალიან ცუდად ვიყავი, თუმცა უკვე კარგად ვარ და მალე კიევშიც ჩავალ.

**- "არსენალი" თურქული შეკრებიდან უკვე კიევში დაბრუნდა, თქვენ კი სამშობლოში აღმოჩნდით. ეს როგორ ავხსნათ?**

- ანთალიური შეკრების დასრულებამდე რამდენიმე დღით ადრე "არსენალის" ხელმძღვანელობას ვთხოვე თბილისში გავეშვი. იმიტომ, რომ ოპერაციის შემდეგ ფეხი მკურნალი ექიმისთვის უნდა მეჩვენებინა. სხვათა შორის, თბილისში ჩემს ექიმთან სერგეი ზაკარლიუკაც გამომყვა, რადგან მასაც ჩემნაირი ტრავმა ჰქონდა.

**- ახლა თუ გახსოვთ ის მომენტი, როცა ტრავმა მიიღეთ, რომელმაც 6 თვით მოგწყვიტათ ფეხბურთს...**

- იმ არასასიამოვნო წუთებს რა დამავიწყებს? ახალი დაწყებული იყო ჩემპიონატი, "დნეპრთან" გვქონდა თამაში. ერთ-ერთ ეპიზოდში მუხლში აუტანელი ტკივილი ვიგრძენი. მივხვდი, რომ ის მატჩი ჩემთვის უკვე დამთავრებული იყო. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ჯვარედინი მყესები მქონდა გაწყვეტილი. ამ ტრავმის გამო, ეროვნულ ნაკრებსაც დავაკლდი და "არსენალსაც".

**- გამოჯანმრთელების პროცესი როგორ მიდის?**

- მადლობა ღმერთს, კარგად. უკვე უკეთ ვგრძნობ თავს. ექიმმა მითხრა, რომ სარეაბილიტაციო პროცესი გეგმის მიხედვით მიდის და მალე მწყობრში ვიქნები. მწვრთნელები, თანაგუნდელები და მეგობრები ხშირად მამხნევებდნენ, ხელი არ ჩაიქნიო, ყველაფერი კარგად იქნება, მალე გამოჯანმრთელდებიო.

**- თურქულ შეკრებაზე ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობდით?**

- თავდაპირველად მხოლოდ ნელა დავრბოდი. მერე სპორტდარბაზში ტრენაჟორებზე ვარჯიშიც დავიწყე. ბოლო ხანს კი გუნდთან ერთადაც ვივარჯიშე. თუმცა, საკონტროლო მატჩებში არ მითამაშია, რადგან ექიმებმა და მწვრთნელებმა მითხრეს, მუხლს გაუფრთხილდიო. თამაში ძალიან მწყურია, მაგრამ ჯერ უნდა მოვითმინო.

**- ფორმას მალე აღიდგენთ?**

- რაღა თქმა უნდა, ოპტიმალური ფორმისგან შორს ვარ. თუმცა, "არსენალს" კიდევ ერთი შეკრება აქვს. ეს შეკრება მაქსიმალურად უნდა გამოვიყენო და რა პერიოდიც გამიცდა, უნდა ავინაზღაურო. ბუნებრივია, პირველ ორ ტურში ვერა, მაგრამ მესამე ტურში უკვე კარგად ვიქნები და ოპტიმალურ ფორმასაც მალე დავიბრუნებ.

**- "არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ ზავაროვმა ინტერვიუში აღნიშნა, პირველ წრეში ისეთი ფორვარდი არ გვყავდა, რომელიც ერთი დარტყმით გადაწყვეტდა მატჩის ბედსო. ამ ფორვარდში მან თქვენ გიგულისხმათ?**

- მიხარია, თუკი მთავარი მწვრთნელი ჩემზე ასე ფიქრობს. ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რომ მეორე წრეში მისი იმედები გავახარო და მას ასეთი სიტყვები აღარ ვათქმევინო.

**- ე. ი. არ ნანობთ, რომ "მეტალისტიდან" "არსენალში "გადახვედით?**

- არა, ტრავმისგან არავინაა დაზღვეული. ასე რომ, შეიძლებოდა "მეტალისტში" თამაშის პერიოდშიც დავშავებულიყავი. რაც შეეხება სპორტულ მხარეს, ვფიქრობ, "არსენალში" კარგი შემადგენლობა გვყავს. ამბიციური გუნდია და მეორე წრეში შედეგიანად უნდა ვიასპარეზოთ. მთავარია, ტრავმით გამოწვეული მძიმე პერიოდი უკვე უკან მოვიტოვე...

**- რა ხანგრძლივობისაა თქვენი საიჯარო კონტრაქტი?**

- ერთწლიანია და ამ სეზონის ბოლოს იწურება. დამთავრდება ჩემპიონატი და დანარჩენს მერე გადავწყვეტ.

**- ზემოთ სერგეი ზაკარლიუკა ახსენეთ. ის როგორ გრძნობს თავს?**

- მას მენისკის ტრავმა ჰქონდა. ახლა სარეაბილიტაციო კურსს გადის, რომელიც ერთ თვეს გასტანს. ზაკარლიუკა ჩვენი გუნდის ერთ-ერთი ლიდერია, გუნდისთვის ბევრს ნიშნავს და ყველანი მოუთმენლად ველით მის გამოჯანმრთელებას.

**დავით ცაბაძე**



ლაშა ჯაკობია

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge



გიორგი დემეტრაძე

# უკრაინელი ჟურნალისტი მოედანმა და ჩემპიონატმა გააოცა

## დემეტრაძეს კიევში სტვენით დახვდებიან

უკრაინული ტელეკომპანია "სპორტ 1"-ის შეფ-რედაქტორი **ოლექსანდრ ჟურახოვსკი** თბილისს რამდენიმე დღით დავით ყიფიანის სახელობის ფონდისა და ჟურნალ "ათიანის" მოწვევით ესტუმრა.

გამგზავრებამდე უკრაინელ კოლეგას გავესაუბრეთ და ვფიქრობ, არც შევმცდარვართ.

**- ჯერ თქვენი ჩამოსვლის შესახებ ვისაუბროთ.**

- ყიფიანის ფონდმა მოგვიწვია და სიმართლე რომ გითხრათ, ძალიან გამიხარდა. ჩემთვის საქართველო ყოველთვის საინტერესო იყო, ფეხბურთით, მოთამაშეებით. აქ ბევრი სიუჟეტი გადავიღეთ. დავესწარით ჩემპიონატის შეხვედრას რუსთავის "ოლიმპისა" და ბოლნისის "სიონს" შორის. მწვრთნელებს, სპეციალისტებს ინტერვიუ ჩამოვართვით. მერე თქვენი ახალი ეროვნული სტადიონი მოვინახულეთ, ბოლოს კი დავით ყიფიანის საფლავზე ავედით.

მომავალ ორშაბათს, კიევის დროით 23:00 საათზე "სპორტკლუბში" საქართველოზე ხუთ სიუჟეტს ვაჩვენებთ, შემდეგ კი მასალებს გავაერთიანებთ და ეს იქნება ფილმი საქართველოზე.

**- საქართველოს ჩემპიონატის დონემ ხომ არ დაგთრგუნათ?**

- გულახდილად ვიტყვი, გაცილებით უარესის მოლოდინში ვიყავი და ნანახმა ძალიან გამაოცა. არც ისეთი ცუდი ფეხბურთი ვნახე. უფრო მეტად გავოცდი რუსთავში მოედნის საშინელი მდგომარეობით. ასეთ საფარზე გუნდებმა საკმაოდ ტექნიკურად და ლამაზად ითამაშეს. ეჭვიც არ მეპარება, ნორმალურ მოედანზე გაცილებით ლამაზ სანახაობას ვიხილავდი.

**- ეროვნულ სტადიონზე რას იტყვით?**

- სუპერ სტადიონია! ორი აზრი არ არსებობს. სიმართლე გითხრათ, აქაც იგივე მოხდა, გაცილებით უარესს ველოდი და ალტაცებული დავრჩი. ასეთი სტადიონი უკრაინასაც არ გვაწყენდა, ჩვენ კი ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა გვსურს.

საერთოდ, საქართველოში ნანახმა და გაგონილმა წარმოდგენები შემიცვალა. გაცილებით უარესი მდგომარეობა მეგონა და რეალურად ვნახე საინტერესო გუნდები და ფეხბურთი. ერთადერთი საშინელება რუსთავის სტადიონი იყო. ვერ ვხვდები, იქ ფეხბურთს როგორ თამაშობენ. ბალახი რა ფერი იყო?!

**- შეუძლებელია, უკრაინელ ჟურნალისტს "დემეტრაძის საქმეზე" აზრი არ გკითხოთ.**

- დემეტრაძემ უკრაინა შოკში ჩააგდო. მსგავსი სარჩელის დაწერა შეეძლო ნებისმიერ ლეგიონერს, მაგრამ დემეტრაძეს?! ეს წარმოუდგენელი იყო. ჩვენთან ხომ გიორგი ძალიან უყვართ და აფასებენ. გასაგებია, რომ დონეცკის "მეტალურგის" ვიცე-პრეზიდენტმა დმიტრი სელიუკმა მას გონება აუმღვრია, მაგრამ გიორგი ხომ ლამის უკრაინელია? ასე რატომ გააკეთა? მომხდარის ახსნა ძალიან მიჭირს.

**- იქნებ, გიორგიმ ეს ყოველივე სელიუკის ზეწოლით გააკეთა?**

- მაინც არ უნდა გაეკეთებინა. ეტყობა, პოპულარობა მოაკლდა და ამგვარად პიარის გაკეთება გადაწყვიტა. ეს მაინც ვარაუდებია. თუმცა ვიმეორებ, გიორგის გადაწყვეტილება ძალიან გვეწყინა. მერწმუნეთ, ამიერიდან უკრაინის ნებისმიერ სტადიონზე "დემეს" ძალიან ცუდად მიიღებენ, ამაში ეჭვიც არ მეპარება. განსაკუთრებით, კიევში ჩასვლის უნდა ეშინოდეს, გიორგის სტვენით აიკლებენ.

**- უკრაინაში მოთამაშე სხვა ქართველებზე რას გვეტყვით და რომელი მოგწონთ?**

- რა თქმა უნდა, კანკავა. ეს ბიჭი უდავოდ გამორჩეულია. იგი წარმოუდგენელი ნიჭის პატრონია და ეჭვი არ მეპარება, "დნეპრში" გაცილებით უკეთ გამოჩნდება, ვიდრე "არსენალში". ძალიან მომწონს კრივბასელი გიგიაძეც.

**მერაბ მამულაშვილი**



ვლადიმერ დვალიშვილმა (მარჯვნივ) სიონთან დუბლი გააკეთა

მეორე წრე რუსთავის "ოლიმპმა" რიხით დაიწყო და გასული სეზონის ჩემპიონი, ბოლნისის "სიონი" ერთი ამოსუნთქვით დაამარცხა 3:0. მატჩის შემდეგ ერთ-ერთმა ცნობილმა ქართველმა მწვრთნელმა თქვა, ესენი საკუთარ თავს თუ შეუშლიან ხელს, თორემ სხვაგვარად ჩემპიონობას ვერავინ შეეცილებათო.
რუსთაველთა გამარჯვებაში ლომის წილი თავდამსხმელმა ლადო დვალიშვილმა დაიდო –დუბლი შეასრულა. და საერთოდაც, თუკი ეს გუნდი ჩემპიონატს ლიდერობს, ეს მისი დამსახურებაცაა.
ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული ფორვარდი "ოლიმპმა" საუკეთესოდ გამოაჩინა. 20 წლის ახალგაზრდა ათამაშდა და რუსთავული კლუბის ერთ-ერთი ლიდერია. ჩემპიონატის ლიდერი გუნდის წამყვანი მოთამაშეობა კი პატარა ტვირთი არაა.

ინტერვიუ ვლადიმერ დვალიშვილთან

# ოლიმპში ნდობამ ამათამაშა

**- ლადო, "დინამოს" ძირითადშიც ვერ ხვდებოდი, რუსთავში კი აბსოლუტურად შეცვლილი, გაცილებით აქტიური და მონდომებული ჩანხარ. ასეთი რა მოხდა შენს ცხოვრებასა და "ოლიმპში"?**

- გარემო, გუნდი შევიცვალე, ესაა მთავარი. "დინამოში" ძირითადში ვერ ვთამაშობდი, არ მენდობოდნენ და ვერ გავიხსენი. სულ დაძაბული ვიყავი, მათამაშებდნენ თუ არა – აი, ეს კითხვები მიტრიალებდა მუდამ თავში. როცა არ გენდობიან, რა თქმა უნდა, ადამიანი ითრგუნები.

ამიტომ, თვითონ მოვინდომე განათხოვრებით თამაში. მაშინ ბათუმის "დინამო" ძლიერდებოდა, დაუფიქრებლად წავედი და აშკარად უკეთესად ავთამაშდი. მერე რუსთავის "ოლიმპი" ჩამოყალიბდა, "დინამოდან" გამომისყიდეს და რაც მთავარია, აქ ნდობა ვიგრძენი. ასეთ გუნდში თამაშზე ყოველთვის ვოცნებობდი. ძალიან მეგობრული გუნდია, არანაირი ინტრიგები და დაპირისპირებები არაა. რომ იცოდეთ, ამიტომაც ვართ ლიდერები. შეკრულ გუნდს ვერავინ დაამარცხებს, ამაში ეჭვიც არ მეპარება. მეც ამ ნდობამ და მეგობრულმა ატმოსფერომ გამხსნა.

**- ძოძუაშვილის მოსვლით გუნდში რა შეიცვალა?**

- ფეხბურთელებს უპირველესად ეს გვაინტერესებდა. ძოძუაშვილი არა მარტო კარგი მწვრთნელი, ძალიან თბილი ადამიანი და კარგი ფსიქოლოგიც აღმოჩნდა. მან "ოლიმპის" სულისკვეთება შეინარჩუნა და ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

**- შენი საუბრიდან ხომ არ დავასკვნათ, რომ თითქოს უნდობლობაზე ყურებს ჩამოყრი და დასამკვიდრებლად აღარ იბრძოლებ? მოედანზე უფრო მებრძოლი ჩანხარ.**

- მე გამონაკლისი არ ვარ. თუკი მწვრთნელი მენდობა, მისთვის თავს დავდებ და ყველაფერს ვაკეთებ, რომ გავახარო. თუკი კაცი შანსს საერთოდ არ მაძლევს, მერე ძნელია მონდომება. აბა, ისეთი რა უნდა გავაკეთო, თავი რომ მოვაწონო? ხომ იცით, საცა არ სჯობს, გაცლა სჯობსო და მეც ასე გავაკეთე.

**- გამოდის, მხოლოდ გარემოს შეცვლა ნაგადგა. მე კი ვფიქრობდი, ალბათ, ბევრი ვარჯიშით მიაღწიე ამ შედეგს...**

- მონდომება არასდროს მაკლდა. თუ დამიჯერებთ, ვარჯიში ბავშვობიდან მიყვარდა. დასამალი არაა, ნიჭით დაჯილდოებული არ ვარ და ამის კომპენსირებას დამატებითი ვარჯიშებით ვცდილობდი. თუმცა მთავარი მაინც გარემოს შეცვლა იყო, ამან ჩემზე ძალიან კარგად იმოქმედა.

**- "სიონთან" დუბლით საუკეთესო გოლეადორ გელაშვილთან ჩამორჩენა შეამცირე. გულახდილად თქვი, პირველობის შანსი გაქვს?**

- ამაში მთელი გუნდი დამეხმარება. ლიდერ გუნდში გაცილებით ადვილია ბურთის გატანა. საერთოდ, ესაა ჩემი საქმე და, რა თქმა უნდა, ბომბარდირობაც მინდა. საუკეთესო გოლეადორობა ყველა თავდამსხმელის ოცნებაა, მით უფრო, როდესაც ამბიციურ გუნდში მოხვდები. თუმცა ეგოისტი არ ვარ, მხოლოდ გოლებზე ვიფიქრო, გუნდის ინტერესები დავივიწყო და თანაგუნდელებს პასი არ მივცე.

**- კაცმა რომ თქვას, ბომბარდირობის მსურველისთვის პირველ წრეში 4 გოლი ძალიან ცოტაა.**

- წმინდა თავდამსხმელი არც ვყოფილვარ. უფრო ცენტრფორვარდზე ვთამაშობდით. ცენტრში მხოლოდ ორჯერ ვითამაშე, მწვრთნელი სხვა დავალებას მაძლევდა და ამაზე გული არც მწყდებოდა. მე თამაში მიყვარს და რომელ პოზიციაზე ვიქნები უფრო სასარგებლო, მწვრთნელის გადასაწყვეტია.

**- შენი აზრით, არსებობს რაიმე ფაქტორი, რაც "ოლიმპს" ჩემპიონობაში ხელს შეუშლის?**

- თუკი მობილიზებულები არ ვიქნებით, "ზესტაფონი", "ამერი" და "დინამო" პატარა ფეხის დაცდენას არ გვაპატიებენ. სხვა რამ უნდა შეგვიშალოს ხელი? არც არაფერმა, ეჭვიც არ მეპარება, დღეისთვის "ოლიმპი" საქართველოს საუკეთესო გუნდია.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# გიგიაძის პირველი გოლი

## რა ბედი ელის ალადაშვილს?

"კრივბასის" კაპიტანმა **ვასილ გიგიაძემ** ტრავმა მოირჩინა და თამაში განაახლა. კრივოი როგელები ანთალიაში მორიგ საკონტროლო მატჩში დანიის ჩემპიონატის მერვეადგილოსან "რანდერსს" შეხვდნენ და 1:0 მოიგეს.

ერთადერთი ბურთი გიგიაძემ გაიტანა. მან პენალტი ზუსტად შეასრულა. აღსანიშნავია, რომ ქართველმა ფორვარდმა ტრავმის შემდეგ ძირითადში პირველი შეხვედრა ჩაატარა და თავიც გამოიჩინა. "კრივბასის" მწვრთნელი **ოლეგ ტარანი** ლიდერის მომჯობინებით კმაყოფილია.

ამასობაში უკრაინაში დასაქმებული კიდევ ერთი ქართველი **რეზო ბარაბაძე** "დნეპრში" პოზიციებს იმყარებს.

"დნეპრმა" ლიტვის ჩემპიონ "კაუნასს" რომ მოუგო, ამაზე უკვე ვწერდით. თუმცა ცნობილი გახდა შეხვედრის დეტალები. "დნეპრის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე მატჩის მიმოხილვაში მითითებულია, რომ უკრაინელებიდან განსაკუთრებით რეზო აქტიურობდა. ორჯერ თავის გამოჩენაც შეეძლო, მაგრამ ლიტველთა მეკარემ ორივე შემთხვევაში იხსნა თავისიანები.

კიევის "დინამო" ესპანეთშია და შაბათს ამხანაგურად რუსეთის პრემიერლიგელ "ტომს" შეხვდა და მოულოდნელად 0:1 დამარცხდა. **კახა ალადაშვილმა** ამჯერადაც შემცვლელის როლი შეასრულა. იგი მოედანზე მე-80 წუთზე **მარკოვიჩის** ნაცვლად გამოჩნდა.

კახას ერთ-ერთი კონკურენტი, რუსი **ანდრეი ეშჩენკო** კი "დინამომ" დნეპროპეტროვსკის "დნეპრში" გაანათხოვრა. თუმცა კახამ ძირითადში დასამკვიდრებლად კიდევ სხვა კონკურენტებს უნდა აჯობოს. მათ შორისაა უკრაინის ნაკრების წევრი **გუსევი**. საინტერესოა, **ანატოლი დემიანენკო** უკრაინის საფეხბურთო პოლიტიკის გათვალისწინებით, თავის "შვილს" თავს მოჭრის?

ეს საფრთხე ალადაშვილის წინაშე არსებობს. საქართველოს ნაკრების კანდიდატს კი ახლა სათამაშო პრაქტიკა ჰაერივით სჭირდება, თორემ **ტოპმიოლერმა** იგი მიწვეულთა სიიდან დიდი ხანია ამოაგდო.

**მერაბ მამულაშვილი**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადაჭდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

# საქართველოს XVIII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. მეორე წრე. XVI ტურის სტატისტიკა

## სულ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 14 | 11 | 2 | 1 | 35-5 | 35 |
| 2. ამერი | 14 | 10 | 3 | 1 | 30-8 | 33 |
| 3. ზესტაფონი | 14 | 10 | 3 | 1 | 26-4 | 33 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 14 | 9 | 4 | 1 | 30-16 | 31 |
| 5. დინამო | 14 | 10 | 0 | 4 | 26-11 | 30 |
| 6. ტორპედო | 14 | 7 | 4 | 3 | 16-8 | 25 |
| 7. სიონი | 14 | 7 | 2 | 5 | 19-13 | 23 |
| 8. ლოკომოტივი | 14 | 4 | 2 | 8 | 11-21 | 14 |
| 9. მერანი | 14 | 4 | 2 | 8 | 12-27 | 14 |
| 10. ბათუმი | 14 | 3 | 3 | 8 | 12-15 | 12 |
| 11. ბორჯომი | 14 | 3 | 3 | 8 | 15-27 | 12 |
| 12. ჩიხურა | 14 | 2 | 4 | 8 | 10-24 | 10 |
| 13. დილა | 14 | 0 | 3 | 11 | 7-40 | 3 |
| 14. კახეთი | 14 | 0 | 1 | 13 | 10-40 | 1 |

## შინ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ამერი | 8 | 7 | 1 | 0 | 19-2 | 22 |
| 2. ოლიმპი | 7 | 7 | 0 | 0 | 23-2 | 21 |
| 3. დინამო | 7 | 6 | 0 | 1 | 16-4 | 18 |
| 4. ზესტაფონი | 7 | 5 | 2 | 0 | 12-0 | 17 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 7 | 5 | 2 | 0 | 15-8 | 17 |
| 6. ტორპედო | 7 | 4 | 2 | 1 | 9-4 | 14 |
| 7. სიონი | 7 | 4 | 1 | 2 | 11-3 | 13 |
| 8. ლოკომოტივი | 7 | 4 | 0 | 3 | 9-11 | 12 |
| 9. ჩიხურა | 7 | 2 | 3 | 2 | 6-9 | 9 |
| 10. ბათუმი | 7 | 2 | 1 | 4 | 7-8 | 7 |
| 11. ბორჯომი | 7 | 1 | 3 | 3 | 9-14 | 6 |
| 12. მერანი | 6 | 1 | 1 | 4 | 4-11 | 4 |
| 13. კახეთი | 7 | 0 | 1 | 6 | 7-16 | 1 |
| 14. დილა | 7 | 0 | 1 | 6 | 1-19 | 1 |

## სტუმრად

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზესტაფონი | 7 | 5 | 1 | 1 | 14-4 | 16 |
| 2. ოლიმპი | 7 | 4 | 2 | 1 | 12-3 | 14 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 7 | 4 | 2 | 1 | 15-8 | 14 |
| 4. დინამო | 7 | 4 | 0 | 3 | 10-7 | 12 |
| 5. ამერი | 6 | 3 | 2 | 1 | 11-6 | 11 |
| 6. ტორპედო | 7 | 3 | 2 | 2 | 7-4 | 11 |
| 7. სიონი | 7 | 3 | 1 | 3 | 8-10 | 10 |
| 8. მერანი | 8 | 3 | 1 | 4 | 8-16 | 10 |
| 9. ბორჯომი | 7 | 2 | 0 | 5 | 6-13 | 6 |
| 10. ბათუმი | 7 | 1 | 2 | 4 | 5-7 | 5 |
| 11. ლოკომოტივი | 7 | 0 | 2 | 5 | 2-10 | 2 |
| 12. დილა | 7 | 0 | 2 | 5 | 6-21 | 2 |
| 13. ჩიხურა | 7 | 0 | 1 | 6 | 4-15 | 1 |
| 14. კახეთი | 7 | 0 | 0 | 7 | 3-24 | 0 |

## ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 1 | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 8 |
| 2-6 | იონანიძე (ზესტაფონი) | 7 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 7 |
| | გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია) | 7 |
| | ტატანაშვილი (ამერი) | 7 |
| | დოლიძე (ამერი) | 7 |
| 7-8 | იაშვილი (დინამო) | 6 |
| | დვალიშვილი (ოლიმპი) | 6 |
| 9-12 | წინამძღვრიშვილი (ამერი) | 5 |
| | ა. ალავიძე (სიონი) | 5 |
| | ჩასემი (სიონი) | 5 |
| | ბობოხიძე (დინამო) | 5 |
| 13-23 | ხუციშვილი (დინამო) | 4 |
| | ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ./დინამო) | 4 |
| | სირბილაძე (ოლიმპი/დინამო) | 4 |
| | სავჯაია (ზესტაფონი) | 4 |
| | გ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 4 |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 4 |
| | ვ. კვარაცხელია (ოლიმპი/ბათ.) | 4 |
| | გამეზარდაშვილი (ტორპედო) | 4 |
| | კიკნაძე (ბორჯომი/ვიტ ჯ.) | 4 |
| | ქებაძე (ოლიმპი) | 4 |
| | კახელიშვილი (ოლიმპი) | 4 |
| 24-35 | შ. ლონდაძე (ზესტაფონი) | 3 |
| | ს. დავითაშვილი (ამერი) | 3 |
| | გეწაძე (ოლიმპი) | 3 |
| | ევოჩე (სიონი) | 3 |
| | კაკალაძე (ჩიხურა/ბორჯომი) | 3 |
| | კრასოვსკი (ტორპედო) | 3 |
| | მუშკუდიანი (ტორპედო) | 3 |
| | დვალი (დინამო/ჩიხურა) | 3 |
| | მუჯირი (ბათუმი) | 3 |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 3 |
| | გ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია) | 3 |
| | გაგუა (მერანი) | 3 |

## ჰეთ-თრიქი

| | | |
|---|---|---|
| 1-4 | დვალი (დინამო/ჩიხურა) | 1 |
| | გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | გეწაძე (ოლიმპი) | 1 |
| | ჩასემი (სიონი) | 1 |

## მილეგბული გოლები

(მატჩების ნახევარზე მეტი)

| | | |
|---|---|---|
| 1 | ჭანტურია (ზესტაფონი) | 4 |
| 1 | მ. ალავიძე (ოლიმპი) | 5 |
| 3-4 | თოთლაძე (ბათუმი) | 6 |
| | ლორია (დინამო) | 6 |
| 5 | ქვაჩახია (ამერი) | 7 |

## წითელი ბარათები

| | | |
|---|---|---|
| 1-20 | ფარტენაძე (ბათუმი) | 1 |
| | ჯინჭარაძე (ბათუმი) | 1 |
| | კარსანიძე (მერანი) | 1 |
| | გ. კვახაძე (ლოკომოტივი) | 1 |
| | ელბაქიძე (ამერი) | 1 |
| | რაზმაძე (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | კახელიშვილი (ოლიმპი) | 1 |
| | ქარქუზაშვილი (ბორჯომი) | 1 |
| | სანიკიძე (ჩიხურა/სიონი) | 1 |
| | გუშარაშვილი (ლოკომოტივი) | 1 |
| | ბესარაშვილი (მერანი) | 1 |
| | პ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | ლაბაძე (ბორჯომი) | 1 |
| | აბრამიშვილი (დილა) | 1 |
| | მუჯირი (ბათუმი) | 1 |
| | მახვილაძე (ოლიმპი) | 1 |
| | გ. მერებაშვილი (დინამო) | 1 |
| | ნ. ნოზაძე (დილა) | 1 |
| | ტეტიაშვილი (კახეთი) | 1 |
| | მახარაძე (ჩიხურა) | 1 |

## საგოლე პასები

| | | |
|---|---|---|
| 1-8 | დილმელაშვილი (ვიტ ჯ./დინამო) | 4 |
| | ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ./დინამო) | 4 |
| | ს. დავითაშვილი (ამერი) | 4 |
| | წინამძღვრიშვილი (ამერი) | 4 |
| | ბოლქვაძე (ამერი) | 4 |
| | ჯელაძე (ამერი) | 4 |
| | აფციაური (ოლიმპი) | 4 |
| | ჩომახიძე (ჩიხურა/ლოკომ.) | 4 |
| 9-14 | დოლიძე (ამერი) | 3 |
| | ტატანაშვილი (ამერი) | 3 |
| | გურული (ტორპედო) | 3 |
| | დვალიშვილი (ოლიმპი) | 3 |
| | ლუჭაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 3 |
| | ა. ალავიძე (სიონი) | 3 |
| 15-35 | კობახიძე (დინამო) | 2 |
| | გ. მერებაშვილი (დინამო) | 2 |
| | იაშვილი (დინამო) | 2 |
| | ბობოხიძე (დინამო) | 2 |
| | ლ. ნოზაძე (დინამო) | 2 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 2 |
| | ვიეირა (ზესტაფონი) | 2 |
| | განუგრავა (ზესტაფონი) | 2 |
| | რ. ონიანი (ოლიმპი/ზესტაფონი) | 2 |
| | გ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 2 |
| | გველესიანი (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | გ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | ბავჯელიძე (სიონი) | 2 |
| | კახელიშვილი (ოლიმპი) | 2 |
| | გეწაძე (ოლიმპი) | 2 |
| | გაგუა (მერანი) | 2 |
| | გულორდავა (ლოკომოტივი) | 2 |
| | ზ. ჩხეტიანი (ტორპედო) | 2 |
| | ლ. მანწკავა (მერანი) | 2 |
| | შალამბერიძე (ბათუმი) | 2 |

## გოლი+პასი

| | | |
|---|---|---|
| 1-5 | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 9 (8+1) |
| | ტატანაშვილი (ამერი) | 9 (7+2) |
| | დოლიძე (ამერი) | 9 (7+2) |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 9 (7+2) |
| | დვალიშვილი (ოლიმპი) | 9 (6+3) |
| 6-10 | იონანიძე (ზესტაფონი) | 8 (7+1) |
| | იაშვილი (დინამო) | 8 (6+2) |
| | ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ./დინ.) | 8 (4+4) |
| | ა. ალავიძე (სიონი) | 8 (5+3) |
| | წინამძღვრიშვილი (ამერი) | 8 (5+3) |
| 11-13 | ბობოხიძე (დინამო) | 7 (5+2) |
| | გ.დათუნაიშვილი (ვიტ ჯორ.) | 7 (6+1) |
| | ს. დავითაშვილი (ამერი) | 7 (3+4) |
| 14-18 | აფციაური (ოლიმპი) | 6 (2+4) |
| | კახელიშვილი (ოლიმპი) | 6 (4+2) |
| | ჩასემი (სიონი) | 6 (5+1) |
| | გ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 6 (4+2) |
| | ბოლქვაძე (ამერი) | 6 (2+4) |
| 19-27 | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 5 (3+2) |
| | გ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია) | 5 (3+2) |
| | დილმელაშვილი (ვიტ ჯ./დინ.) | 5 (1+4) |
| | გაგუა (მერანი) | 5 (3+2) |
| | სირბილაძე (ოლიმ./დინამო) | 5 (4+1) |
| | ხუციშვილი (დინამო) | 5 (4+1) |
| | გეწაძე (ოლიმპი) | 5 (3+2) |
| | გამეზარდაშვილი (ტორ.) | 5 (4+1) |
| | სავჯაია (ზესტაფონი) | 5 (4+1) |
| 28-40 | ჯელაძე (ამერი) | 4 (0+4) |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 4 (4+0) |
| | ჩომახიძე (ჩიხურა/ბორჯ.) | 4 (0+4) |
| | ვ. კვარაცხელია (ოლიპ./ბათ.) | 4 (4+0) |
| | დვალი (დინამო/ჩიხურა) | 4 (3+1) |
| | გურული (ტორპედო) | 4 (1+3) |
| | მუშკუდიანი (ტორპედო) | 4 (3+1) |
| | კაკალაძე (ჩიხურა/ბორჯ.) | 4 (3+1) |
| | ევოჩე (სიონი) | 4 (3+1) |
| | ქებაძე (ოლიმპი) | 4 (4+0) |
| | გ. მერებაშვილი (დინამო) | 4 (2+2) |
| | შ. ლონდაძე (ზესტაფონი) | 4 (3+1) |
| | კიკნაძე (ბორჯ./ვიტ ჯორ.) | 4 (4+0) |
| 41-55 | დ. გოგოლაძე (ბათუმი) | 3 (2+1) |
| | მუჯირი (ბათუმი) | 3 (3+0) |
| | მ. ლონდაძე (ტორპედო) | 3 (2+1) |
| | კრასოვსკი (ტორპედო) | 3 (3+0) |
| | ზ. ჩხეტიანი (ტორპედო) | 3 (1+2) |
| | არუდაშვილი (კახეთი) | 3 (2+1) |
| | ნ. დავითაშვილი (კახეთი) | 3 (2+1) |
| | შ. ჯიქია (ბორჯომი) | 3 (2+1) |
| | გ. თოდუა (ოლიმპი) | 3 (2+1) |
| | ვ. უგრეხელიძე (სიონი) | 3 (2+1) |
| | კობახიძე (დინამო) | 3 (1+2) |
| | ლ. მანწკავა (მერანი) | 3 (1+2) |
| | ვიეირა (ზესტაფონი) | 3 (1+2) |
| | გუშარაშვილი (ლოკომ.) | 3 (2+1) |
| | ლუჭაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 3 (0+3) |

## ყვითელი ბარათები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ბესარაშვილი (მერანი) | 6 |
| 2-6 | დოლიძე (ამერი) | 5 |
| | ქებაძე (ოლიმპი) | 5 |
| | გ. კვახაძე (ლოკომოტივი) | 5 |
| | გუშარაშვილი (ლოკომოტივი) | 5 |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 5 |

## ყველაზე დიდი სხვაობა

| | | |
|---|---|---|
| 1 | ოლიმპი-კახეთი 7:0 | (II ტური) |
| 2 | დილა-ვიტ ჯორჯია 0:6 | (XII ტური) |
| 2-4 | დინამო-დილა 6:1 | (II ტური) |
| | სიონი-კახეთი 5:0 | (X ტური) |

## უხვგოლიანი მატჩები

| | | |
|---|---|---|
| 1-4 | დინამო-დილა 6:1 | (II ტური) |
| | ოლიმპი-კახეთი 7:0 | (II ტური) |
| | ბორჯომი-მერანი 3:4 | (IV ტური) |
| | ვიტ ჯორჯია-ამერი 4:3 | (XIII ტური) |

## ყველაზე ხშირი ანგარიშები

| | | |
|---|---|---|
| 1 | 0:0 | 11 |
| 2-3 | 1:0 | 10 |
| | 0:1 | 10 |
| 4-5 | 2:0 | 8 |
| | 3:0 | 8 |
| 6-7 | 2:1 | 6 |
| | 3:1 | 6 |
| 8 | 0:3 | 5 |
| 9-10 | 0:2 | 4 |
| | 1:3 | 4 |

## არბიტრები

(მატჩების რაოდენობა)

| | | |
|---|---|---|
| 1-2 | ვადაჭკორია | 10 |
| | ფანიაშვილი | 10 |
| 3 | კვარაცხელია | 9 |
| 4 | სილაგავა | 8 |
| 5-6 | ხარიტონაშვილი | 7 |
| | მაისურაძე | 7 |
| 7-9 | კრიჭაშვილი | 6 |
| | სანაია | 6 |
| | ბუქლიშვილი | 6 |
| 10-12 | კიკაჩეიშვილი | 5 |
| | პ. დოგრაშვილი | 5 |
| | ჭაჭუა | 5 |
| 13 | ხეცაძე | 4 |
| 14-16 | ნონიკაშვილი | 3 |
| | ბუიშვილი | 3 |
| | ელისაბედაშვილი | 3 |

## შემცვლელთა გოლები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ტატანაშვილი (ამერი) | 5 |
| 2-3 | ვ.კვარაცხელია (ოლიმპი/ბათ.) | 3 |
| | ბობოხიძე (დინამო) | 3 |
| 4-7 | ფიფია (ზესტაფონი) | 2 |
| | ქემაშვილი (მერანი) | 2 |
| | კიკნაძე (ბორჯ./ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | იაშვილი (დინამო) | 2 |
| 8-29 | მერებაშვილი (დინამო) | 1 |
| | ტეტიაშვილი (კახეთი) | 1 |
| | დოლიძე (ამერი) | 1 |
| | ჩიმაკაძე (ამერი) | 1 |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | გალოგრე (ბათუმი) | 1 |
| | წინამძღვრიშვილი (ამერი) | 1 |
| | კრასოვსკი (ტორპედო) | 1 |
| | სევასტოპულო (ამერი) | 1 |
| | ფარტენაძე (ბათუმი) | 1 |
| | ხუციშვილი (დინამო) | 1 |
| | ხოჯავა (ოლიმპი) | 1 |
| | მჭედლიშვილი (ამერი) | 1 |
| | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | მ. ლონდაძე (ტორპედო) | 1 |
| | კაკალაძე (ჩიხურა/ბორჯომი) | 1 |
| | ბერიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | მუშკუდიანი (ტორპედო) | 1 |
| | ალავერდაშვილი (ლოკომოტივი) | 1 |
| | ფურცელაძე (მერანი) | 1 |
| | ბ. ნოზაძე (ზესტაფონი) | 1 |
| | ბეჟანიძე (ბათუმი) | 1 |

## რეალიზებული პენალტები

| | | |
|---|---|---|
| 1-2 | სავჯაია (ზესტაფონი) | 3 |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 3 |
| 3-4 | კაკალაძე (ჩიხურა/ბორჯომი) | 2 |
| | გ. ონიანი (ოლიმპი) | 2 |
| 5-12 | შ. კაშია (დინამო) | 1 |
| | გ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | გამეზარდაშვილი (ტორპედო) | 1 |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | ბაქრაძე (ბორჯომი) | 1 |
| | ბობოხიძე (დინამო) | 1 |
| | ჩასემი (სიონი) | 1 |
| | ბოლქვაძე (ამერი) | 1 |

## გაცუდებული პენალტები

| | | |
|---|---|---|
| 1-7 | ტიაგო (ბათუმი) | 1 |
| | შ. კაშია (დინამო) | 1 |
| | ჩომახიძე (ჩიხურა/ლოკომოტივი) | 1 |
| | იაშვილი (დინამო) | 1 |
| | გულორდავა (ლოკომოტივი) | 1 |
| | ფეიქრიშვილი (ვიტ ჯორ./დინ) | 1 |
| | გაგუა (მერანი) | 1 |

## მოგერიებული პენალტები

| | | |
|---|---|---|
| 1-5 | ქვაჩახია (ამერი) | 1 |
| | ცინაძე (კახეთი) | 1 |
| | სეფიაშვილი (მერანი) | 1 |
| | ილურიძე (დილა) | 1 |
| | თოთლაძე (ბათუმი) | 1 |






ოლიმპი-სიონი. დიდი ხნის პაუზის შემდეგ ბაბუნაშვილი (მარცხნივ) ფეხბურთს დაუბრუნდა

## მეკარეთა მშრალი სერიები (წუთი)

| | | |
|---|---|---|
| 1 | ჭანტურია (ზესტაფონი) | 829 |
| 2 | მ. ალავიძე (ოლიმპი) | 769 |
| 3 | ქვაჩახია (ამერი) | 520 |
| 4 | ქვაჩახია (ამერი) | 454 |
| 5 | ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 306 |
| 6 | ბათიაშვილი (სიონი) | 305 |
| 7 | ჭანტურია (ზესტაფონი) | 302 |
| 8 | სეფიაშვილი (მერანი) | 263 |
| 9 | კოდალაევი (ტორპ/ბორჯ.) | 261 |
| 10 | ბოგლიაშვილი (სიონი) | 260 |

## მიმდინარე მშრალი სერიები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ქვილითაია (ტორპედო) | 180 |
| 2 | მ. ალავიძე (ოლიმპი) | 117 |
| 2 | ლორია (დინამო) | 116 |
| 4 | ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 97 |
| 5 | ქვაჩახია (ამერი) | 90 |

## დუბლი

| | | |
|---|---|---|
| 1-4 | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | იაშვილი (დინამო) | 2 |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 2 |
| | დვალიშვილი (ოლიმპი) | 2 |
| 5-22 | გ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | სირბილაძე (ოლიმპი/დინამო) | 1 |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 1 |
| | ლომაია (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | გ. მიქაძე (ჩიხურა) | 1 |
| | დ. გოგოლაძე (ბათუმი) | 1 |
| | არუდაშვილი (კახეთი) | 1 |
| | ქებაძე (ოლიმპი) | 1 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 1 |
| | მუჯირი (ბათუმი) | 1 |
| | ვ. კვარაცხელია (ოლიმპი/ბათ.) | 1 |
| | მუშკუდიანი (ტორპედო) | 1 |
| | გუშარაშვილი (ლოკომოტივი) | 1 |
| | ევოჩე (სიონი) | 1 |
| | გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | ბობოხიძე (დინამო) | 1 |
| | ა. ნოზაძე (მერანი) | 1 |

| გასულ ტურში | ჩემპიონატში |
|---|---|
| 19 გოლი (საშუალოდ მატჩში 2.71) | 259 გოლი (საშუალოდ მატჩში 2.64) |
| 21 ყვითელი ბარათი (საშუალოდ მატჩში 3.00) | 311 ყვითელი ბარათი (საშუალოდ მატჩში 3.17) |
| 1 წითელი ბარათი (საშუალოდ მატჩში 0.14) | 20 წითელი ბარათი (საშუალოდ მატჩში 0.20) |

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა





შოთა არველაძე აიაქსთან

# ყველაზე ქართული ლიგა

## მესიჯი ტოპმიოლერს: იაშვილი საუკეთესოა

**თანდათან, მეორე ბუნდესლიგა ყველაზე ქართულ ლიგად ყალიბდება, ყოველ შემთხვევაში, გამორჩევით წარმატებულად ჩვენი ლეგიონი სწორედ ამ ლიგაში ასპარეზობს. ბოლო ტურში სამი ქართული გოლი გავიდა (აშვეთიას დუბლი და იაშვილი) და ერთი საგოლე პასიც გაკეთდა (იაშვილი) და ეს ყველაფერი სწორედ მეორე ბუნდესლიგაში. ალექსანდრე იაშვილი ლიგის ლიდერია საგოლე პასების რაოდენობით: მას 11 შედეგიანი პასი დაუგროვდა. ერთობ პრინციპული მატჩი ჰქონდა შოთა არველაძეს. "ალკმაარი" ხომ კონკურენტ "აიაქსს" მასპინძლობდა..**

### კახასა და ლევანის გარეშე

კახა კალაძემ "სელტიკის" წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგის მატჩში მორიგი ტრავმა მიიღო, რის გამოც მას გუშინ "მილანისა" და "სამპდორიის" დაპირისპირებაში მონაწილეობა არ მიუღია.

არ უთამაშია ჩვენს კიდევ ერთ ტოპლეგიონერს, **ლევან კობიაშვილის**. "ლევერკუზენთან" მატჩში მისი უთამაშებლობის მიზეზი დისკვალიფიკაცია გახლდათ. სამწუხაროდ, ულევანოდ "შალკემ" საჩემპიონო შანსები შეიმცირა, რადგან შინ, "ლევერკუზენთან", მიუხედავად დიდი უპირატესობისა, 0:1 წააგო.

**ზურაბ ხიზანიშვილის** "ბლექბერნი" პრემიერლიგის მატჩში "პორტსმუთს" დაუხვდა. ჩვენი თანამემამულე სასტარტოში არ იყო, თუმცა შესვენების შემდეგ **მარკ ჰიუზმა** ის **სამბას** ნაცვლად გამოიყვანა. ზურა კარგად ჩაერთო თამაშში და ერთხელ მეტოქის კარსაც დაემუქრა: მე-80 წუთზე მისი ჩინებული შორეული დარტყმა სტუმართა მცველმა **მბუემამ** მოიგერია. "ბლექბერნმა" 3:0 მოიგო, **შაბანი ნონდამ** კი დუბლი შეასრულა. "ბლექბერნი" 37 ქულით მეათე ადგილზეა.

### სტატუს-კვო შენარჩუნდა

უპრინციპულესი მატჩი გაიმართა ალკმაარში, როგორც სატურნირო განლაგების თვალსაზრისით, ასევე კლუბისა და, პლუს ამას, თავად **შოთა არველაძისთვის**, რომელიც მის ყოფილ კლუბ "აიაქსს" ხვდებოდა, კლუბს, რომელშიც ქართველმა ფორვარდმა სახელი მოიპოვა. **ლუის ვან გაალმა** "აიაქსთან" სუპერშემტევი შემადგენლობა დააყენა: სასტარტოში სამი ფორვარდი მოხვდა: შოთა, **მუსა დემბელე** და **დენი კუვერმანსი**. ოღონდ, მწვრთნელმა ქართველი ცოტა უკან დახია. აიაქსელი **პერესის** გოლს, მე-80 წუთზე მასპინძელმა **მარტენსმა** უპასუხა და გუნდებს შორის სტატუს-კვო შენარჩუნდა. "ალკმაარს" მოგებაც შეეძლო, მით უფრო, რომ წითელი ბარათი მიიღო სტუმართა ძველმა „მგელმა" **ედგარ დავიდსმა**. "აიაქსი" 56 ქულით მეორეა, ხოლო "ალკმაარი" 55 ქულით - მესამე.

### იაშვილი: გოლი პლუს პასი

**მიხეილ აშვეთიას** დუბლზე, **გიორგი ლომაიას** მიერ თამაშიდან გაშვებულ პირველ გოლსა და **მათე ღვინიანიძის** ოპერაციაზე უკვე ვწერდით. გუშინ კიდევ ერთი ქართული დერბი ჩაიშალა - "ფრაიბურგი" **დავით სირაძის** გარეშე მოთამაშე "აუეს" ილებდა. საქართველოს ნაკრების ფორვარდს ანგინა აქვს...

გუშინ მეორე ბუნდესლიგაში უჩვეულო მატჩი გაიმართა: "ფრაიბურგმა" სეზონში პირველად გაიტანა ხუთი გოლი, თუმცა ძლივს მოიგო - 5:4. "ფრაიბურგის" ორივე ქართველი სასტარტოში იყო. **ალექსანდრე იაშვილმა** გოლითა და შედეგიანი პასით გამოიჩინა თავი. 49-ე წუთზე მან მისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა (ანგარიში 2:2 გახდა), ორიოდ წუთში კი საგოლედ უპასა **ანტარს**. იაშვილმა და **ოთარ ხიზანეიშვილმა** 90-90 წუთი ითამაშეს. "შპორტალმა" იაშვილის გარჯა 3 ბალით, ხიზანეიშვილისა კი 4.5-ით შეაფასა. ალექსანდრეს მეორე ბუნდესლიგაში სოლიდური სტატისტიკა აქვს: 21 მატჩში მან 4 გოლი გაიტანა და 11 საგოლე პასი შეასრულა. პასების მხრივ, ქართველი მეორე ბუნდესლიგაში პირველია (მეორეადგილოსანს ორი შედეგიანი გადაცემით უსწრებს), "გოლი პლუს პასი" სისტემით კი მე-3 ადგილზეა.

ამ მოგების შემდეგ, "ფრაიბურგმა" 35 ქულით მეექვსე ადგილამდე აინაცვლა, არადა, მეორე წრის განახლებამდე, **ფოლკერ ფინკეს** გუნდი გავარდნის რეალური კანდიდატი იყო. სირაძის "აუეს" კი 36 ქულა აქვს (მეხუთე ადგილი), ღვინიანიძის "მიუნხენს" 32 (მე-9), ხოლო აშვეთია-ლომაიას "კარლ ცაისს" 25 (მე-14).

### ორი ლევანის მოგება და ფრე

საბერძნეთი. გაიმარჯვა **ლევან ცქიტიშვილის** "პანიონიოსმა", რომელმაც შინ "კერკირა" 3:1 დაამარცხა, **ლევან მაღრაძის** "ქსანთი" კი მხოლოდ ფრეს დასჯერდა დედაქალაქურ "ეგალეოსთან" მატჩში - 0:0. ცქიტიშვილიმა 77-ე წუთამდე ითამაშა, მაღრაძემ ბოლომდე. "პანიონიოსს" 29 ქულა აქვს, "ქსანთის" 27.

გაიმართა კვიპროსის თასის მეოთხედფინალური მატჩებიც. ამ ეტაპამდე, კუნძულზე მოთამაშე სამივე ქართველის (**თემურ ქეცბაია, ლევან ქებაძე** და **კობა წიტაიშვილი**) გუნდმა მიაღწია. შინ 0:2 დამარცხა ნიტაიშვილის აეკ-ი, რომლის მეტოქეც "ომონია" იყო. ლევან ქებაძე მეორე ტაიმში შევიდა მოედანზე. მისი გამოჩენა უცებ დაეტყო "ახნასს" და გამოცოცხლებულმა სტუმრებმა, ბოლო წუთზე, აელ-თან მატჩში გამარჯვებასაც მიაღწიეს - 2:1. გუშინ ქეცბაიას "ანორთოსისი" "აპოლონს" მასპინძლობდა. თამაში 2:2 დასრულდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



გიორგი ლომაია

| ფეხბურთელი | მატჩი | ანგ. | შენიშვნა | სეზ. სტატ. |
|---|---|---|---|---|
| **ინგლისი** | | | | |
| **პრემიერლიგა, XXVIII ტური** | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი-პორტსმუტი | 3:0 | 45 წთ (შეცვლაზე) | 16 თ, 0 გ. |
| **იტალია** | | | | |
| **სერია A, XXV ტური** | | | | |
| კახა კალაძე | მილანი-სამპდორია | 1:0 | არ უთამაშია, ტრავმა | 12 თ, 1 გ. |
| **გერმანია** | | | | |
| **ბუნდესლიგა, XXIII ტური** | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე-ლევერკუზენი | 0:1 | არ უთამაშია, დისკვალიფიკაცია | 17 თ, 3 გ. |
| **II ბუნდესლიგა, XXIII ტური** | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი-აუე | 5:4 | 90 წთ. 1 გოლი, 1 პასი | 21 თ, 4 გ. |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი-აუე | 5:4 | 90 წუთი | 10 თ, 1 გ. |
| დავით სირაძე | ფრაიბურგი-აუე | 5:4 | არ უთამაშია, ანგინა | 19 თ, 2 გ. |
| გიორგი ლომაია | კარლ ცაისი-მიუნხენი | 3:1 | 90 წთ | 4 თ, -2 გ. |
| მიხეილ აშვეთია | კარლ ცაისი-მიუნხენი | 3:1 | 90 წთ, 2 გოლი | 4 თ, 3 გ. |
| მათე ღვინიანიძე | კარლ ცაისი-მიუნხენი | 3:1 | არ უთამაშია, ტრავმა | 12 თ, 0 გ. |
| **ჰოლანდია** | | | | |
| **ერედივიზიე, XXVI ტური** | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი-აიაქსი | 1:1 | 90 წუთი | 22 თ, 11 გ. |
| **სუპერლიგა, XXIII ტური** | | | | |
| ლევან ცქიტიშვილი | პანიონიოსი-კერკირა | 3:1 | 77 წთ (შეცვალეს) | 13 თ, 0 გ |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი-ეგალეო | 0:0 | 90 წუთი | 17 თ, 0 |
| **კვიპროსი** | | | | |
| **თასი** | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანორთოსისი-აპოლონი | 2:2 | არ უთამაშია | |
| კლიმენტი წიტაიშვილი | აეკ-ომონია | 0:2 | 90 წთ. | |
| ლევან ქებაძე | აელ-ეთნიკოსი | 1:2 | 26 წთ (შეცვლაზე) | |




№19
მაღალი ხარისხი, დიდი არჩევანი და კომფორტი
გვეწვიეთ, გელით

მარკეტი
ნუცუბიძის 19
თბილისი. ნუცუბიძის ქ. №19
ტელ: 394 600
e-mail: lashakap@mail.ru




საფეხბურთო კლუბი „დინამო თბილისი" მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართული ფეხბურთისა და „დინამოს" დიდი ქომაგი

**გურამ გოგიჩაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

ინგლისი. პრემიერლიგა. XXVIII ტური

# კრისტიანომ ჩელსის ცხრა ქულით გაუსწრო

**კრისტიანო რონალდომ** "ფულჰემს" გამარჯვების გოლი 87-ე წუთზე გაუტანა. "მანჩესტერ იუნაიტედმა" უახლოეს მდევარ "ჩელსის" 9 ქულით გაასწრო. "არისტოკრატებს" ერთი თამაში თადარიგში აქვთ.

ანგარიში მე-17 წუთზე მასპინძლებმა გახსნეს. გოლი **ბრაიან მაკბრაიდმა** გაიტანა. "ეშმაკებმა" **რაიან გიგზის** გოლის წყალობით გაათანაბრეს. "იუნაიტედი" ოდნავადაც არ სჯობდა მეტოქეს. ისე ჩანდა, რომ მაქსიმუმი, რისი მიღწევაც სტუმრებს შეეძლოთ, ერთი ქულა იყო. თამაშის მიწურულს რონალდო ბურთს საკუთარ ნახევარზე დაეუფლა, მეტოქის საჯარიმოს მიუახლოვდა და ძლიერად დასცხო, 1:2. პორტუგალიელმა გარემარბმა სეზონის მე-16 გოლი გაიტანა.

თამაშის დაწყებიდან ნახევარი საათის განმავლობაში ტერიტორიული უპირატესობა "ფულჰემს" ჰქონდა. მან მეტოქე ფლანგებიდანაც შეავიწროვა და ცენტრზეც ადვილად დაამყარა კონტროლი. ფულჰემელთა სისუსტე ის იყო, რომ ამ 30 წუთში მეტოქის კარში მხოლოდ ერთხელ გაგზავნა ბურთი.

მაკბრაიდის გოლი სტუმართა დაცვის უჩვეულო შეცდომას მოჰყვა. **მაიკლ ბრაუნის** ჩაწოდებას საფრთხე არ უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ **ედვინ ვან დერ სარი** და **ნემანია ვიდიჩი** ერთმანეთს შეასკდნენ. შედეგად ბურთი მაკბრაიდს მიუგორდა და მანაც შორ კუთხეში გაიტანა.

"მანჩესტერი" გამოცოცხლდა. მარჯვნივ შედარებით პასიური იყო რონალდო. სამაგიეროდ, მარცხნივ გიგზმა გაილაღა და ორი საგოლე მომენტი შექმნა. "ფულჰემი" გადარჩა. ამასობაში, მეტოქეებს შესვენებამ მოუსწრო.

მასპინძლებმა მეორე ნახევარი აქტიურად დაიწყეს და ერთმანეთის მიყოლებით შექმნეს მომენტები. მაიკლ ბრაუნის ჩაწოდებისას **ტომაშ რაძინსკიმ ვეს ბრაუნს** პოზიციური ბრძოლა მოუგო და ძლიერი თავურით ხარიხა შეაზანზარა. მომდევნო ეპიზოდში **საიმონ დევისმა პატრის ევრა** მოატყუა და მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ვან დერ სარმა აუღო. ჰოლანდიელმა მეკარემ მაკბრაიდის კიდევ ერთი თავური მოიგერია. სერ ალექსმა ნახევარმცველ **მაიკლ ქერიკის** ნაცვლად "ფულჰემის" ყოფილი თავდამსხმელი **ლუის საა** გამოიყვანა. ამ ცვლილებას ტაქტიკური გადაადგილებები მოჰყვა - **უეინ რუნიმ** მარჯვენა ფლანგზე გადაინაცვლა, ხოლო რონალდომ მარცხნივ. "მანჩესტერი" ნელ-ნელა დაეუფლა უპირატესობას და საბოლოოდ გაიტანა კიდეც.

რონალდოს გოლიდან ერთ წუთში ვან დერ სარმა საკუთარ საჯარიმოში **ჰეიდარ ჰელგუსონი** წააქცია, მაგრამ არბიტრმა **პიტერ უოლტონმა** პენალტი არ დანიშნა. შთამბეჭდავი თამაშის მიუხედავად, "ფულჰემი" უქულოდ დარჩა...

"ლივერპულის" თავკაცმა **რაფა ბენიტესმა** ბარსელონური შემადგენლობის ექვსი ფეხბურთელი თადარიგში დასვა და მაინც დიდი ანგარიშით მოიგო. მერსისაიდელებმა დაუმარცხებელი საშინაო სერია 30 მატჩამდე აიყვანეს. **სტივ ჯერარდმა** ოთხიდან ერთი გოლი გაიტანა, სამაგიეროდ, პირველ ნახევარში ორივე პენალტი მან მოიპოვა - **რობი ფაულერმა** დუბლი გამოაცხო. საინტერესოა, რომ "შეფილდი" და "ლივერპული" სეზონის პირველსავე ტურში შეხვდნენ ერთმანეთს. შეფილდელებმა მაშინაც ჯერარდი წააქციეს და პენალტი იმ სალამოსაც ფაულერმა გაიტანა. "იუნაიტედის" თავკაცმა **ნილ უორნოკმა** კი "ლივერპულის" კაპიტანს სიმულანტობაში დასდო ბრალი.

დავუბრუნდეთ შაბათის სალამოს. **იერჟი დუდეკმა** ამ სეზონში პირველად ითამაშა ძირითადში, ფაულერმა - მესამედ. "ლივერპულის" მაისურა პირველად მოირგო არგენტინელმა ახალწვეულმა **ხავიერ მასკერანომ**. **პეპე რეინა** და **კრეიგ ბელამი** განაცხადშიც კი არ ყოფილან. სათადარიგო გოლკიპერი იტალიის ახალგაზრდული ნაკრების კარის დარაჯი **დანიელე პადელი** იყო, რომელიც, მასკერანოს მსგავსად, იანვრის ბაზარზე შეიძინეს. ხავიერის ძირითადში დაყენებამ ჯერარდს წინ წასვლის საშუალება მისცა. ბენიტესმა ორი გარემარბი - **ჯერმენ პენანტი** და **მარკ გონსალესი** გამოიყვანა. აქვე გეტყვით, რომ **რობ ჰალსმა პიტერ კრაუჩს** თავი გაუტეხა. ეს უკანასკნელი 23-ე წუთზე **დირკ კუიტით** შეცვალეს.

"ლივერპულის" გოლების აღწერით თავს არ შეგაწყენთ. მხოლოდ გეტყვით, რომ მეორე ნახევრის დასაწყისში, როცა ანგარიში 2:0 იყო, "შეფილდ იუნაიტედს" გოლი არ ჩაუთვალეს. გვერდითმა მსაჯმა ჰალსზე თამაშგარე დააფიქსირა. შემდეგ იყო ხუთწუთიანი მონაკვეთი და კიდევ ორი ბურთი სტუმართა კარში. მე-80 წუთზე რობ ჰალსს პრესტიჟის გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ მხოლოდ ძელი შეაზანზარა...

"ჩარლტონმა" "ვესტ ჰემის" კუბოში კიდევ ერთი ლურსმანი ჩააჭედა. **ალან კერბიშლის** "ველი პარკზე" დაბრუნება მისი ახალი გუნდისთვის კატასტროფული აღმოჩნდა - 0:4. კერბიშლიმ "ვესტ ჰემში" მისვლის შემდეგ 10 მატჩი ჩაატარა და მხოლოდ ერთხელ მოიგო, ისიც "მანჩესტერ იუნაიტედთან". "ვესტ ჰემის" ყოფილმა ბოსმა **ალან პერდიუმ** კი ჩარლტონელებს მესამე გამარჯვება და მე-11 ქულა მოუტანა...

"რედინგმა" ათმატჩიანი წაუგებელი სერია მიდლსბროში შეწყვიტა. რივერსაიდელებმა **მარკ ვიდუკასა** და **იაკუბუს** გოლებით მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს. კიდევ ერთი საუცხოო მატჩი ჩაატარა მასპინძელთა ცენტრალურმა მცველმა **ჯონათან ვუდგეიტმა**. "რედინგის" შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა **მაიკლ დაბერის**. ის "სტოკ სიტიდან" იყიდეს. გულშემატკივარს დაბერი "ლიდსიდან" უნდა ახსოვდეს. თავის დროზე მან და ვუდგეიტმა აზიელ სტუდენტს სცემეს და ბოლო წლების ერთ-ერთ უდიდეს საფეხბურთო სკანდალში გაჰყვეს თავი...

პრემიერლიგის აუტსაიდერმა "უოტფორდმა" მორიგი მარცხი იწვნია. "ევერტონმა" მასპინძელს სამი უპასუხო გოლი გაიტანა და ევროპულ ზონაში მოხვედრის შანსი გაიუმჯობესა.

### მომდევნო ტური

3 მარტი. **ლივერპული-მანჩესტერ იუნაიტედი, შეფილდი-ევერტონი, უოტფორდი-ჩარლტონი, მანჩესტერ სიტი-ვიგანი, არსენალი-რიდინგი, ფულჰემი-ასტონ ვილა, პორტსმუთი-ჩელსი. 4 მარტი. ბოლტონი-ბლექბერნი, ვესტ ჰემი-ტოტენჰემი.**

ინგლისის ლიგის თასი. ფინალი

# ჩელსი: მეორედ, სამ წელიწადში

### ჩელსი-არსენალი 2:1

**ჩელსი:** ჩეხი, დიარა, ტერი (63. მიკელი), კარვალიო, ბრიჯი, მაკელელე (46. რობენი), ლემპარდი, ბალაკი, ესიენი, შევჩენკო (90. კალუ), დროგბა.

**არსენალი:** ალმუნია, ჰოიტი, კოლო ტურე, სენდეროსი, ტრაორე (66. ებუე), უოლკოტი, ფაბრეგასი, დენილსონი, დიაბი (68. გლები), ალიადიერი (80. ადებაიორი), ბაპტიშტა.

**გოლები:** 0:1 უოლკოტი (12), 1:1 დროგბა (20), 2:1 დროგბა (84).

**გაძევება:** მიკელი (90. ჩელსი), ადებაიორი (90. არსენალი), კოლო ტურე (90. არსენალი).

**გაფრთხილება:** 4-3; **დარტყმა:** 10(7)-15(10); **ჯარიმა:** 15-13; **კუთხური:** 2-6.

**მაყურებელი:** 70 073



ჩელსი ლიგის თასს დროგბას დუბლს უნდა უმადლოდეს

**დიდიე დროგბამ** დუბლი შეასრულა. "ჩელსი" ბოლო სამ წელიწადში მეორედ დაეუფლა ლიგის თასს. კოტდივუარელმა გამარჯვების გოლი 84-ე წუთზე შეაგდო. საგოლე პასი **არიენ რობენმა** მიიწერა. ანგარიში **თეო უოლკოტმა** მე-17 წუთზე გახსნა, მაგრამ "მეთოფეების" უპირატესობამ მხოლოდ სამ წუთს გასტანა. მე-20 წუთზე დროგბამ **მიხაელ ბალაკის** პასით ისარგებლა, "არსენალის" მეკარე **მანუელ ალმუნიას** გვერდი აუარა და წონასწორობა აღადგინა.

მეორე ტაიმის დასაწყისში უმძიმესი ტრავმა მიიღო **ჯონ ტერიმ**. რობენის კუთხურისას "ჩელსის" მცველმა ბურთზე თავის დარტყმა სცადა. არსენალელმა **აბუ დიაბიმ** ხელის შეშლა სცადა და მეტოქეს სახეში ფეხი უთავაზა. ტერი უგონოდ დაეცა. შეძრწუნებულმა ფეხბურთელებმა ექიმებს უხმეს. ჯონს ჟანგბადის ნიღაბი დასჭირდა. ის საკაცეზე მოათავსეს, კისერზე ფიქსატორი დაადეს და საავადმყოფოში გადაიყვანეს. უსიამოვნო ინციდენტის გამო მატჩი ექვსი წუთით შეწყდა. **ჟოზე მოურინიომ** ტერი **ჯონ ობი მიკელით** შეცვალა.

შეხვედრა 100 წუთს გაგრძელდა. მთავარმა მსაჯმა **ჰოვარდ ვებმა** მატჩს 10 წუთი დაუმატა. ემოციებმა პიკს მიაღწია. ატყდა ხელჩართული ჩხუბი. მთავარი მწვრთნელები - ჟოზე მოურინიო და **არსენ ვენგერი** მინდორზე შეცვივდნენ, რათა თავისი ფეხბურთელები დაემშვიდებინათ. ვითარების განმუხტვას რამდენიმე წუთი დასჭირდა. ვებმა წითელი ბარათები აუფრიალა ჩელსელ ობი მიკელსა და არსენალელ **კოლო ტურეს**. მატჩის განახლებამდე გასახდელისკენ მიუთითეს "არსენალის" კიდევ ერთ ფეხბურთელს, **ემანუელ ადებაორს**. გაფრთხილებები აკმარეს **ფრენკ ლემპარდსა** და **სესკ ფაბრეგასს**.

"არსენალმა" მოლოდინისამებრ სარეზერვო გუნდი გამოიყვანა. არ უთამაშიათ **ტიერი ანრის, იენს ლემანს, ჟილბერტო სილვასა** და **ტომაშ როსიცკის**. "ჩელსიმ" კი ზუსტად ის შემადგენლობა დააყენა, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის პირველ მერვედფინალში "პორტუსთან" ფრეს მიაღწია.

### ფულჰემი-მანჩესტერ იუნ. 1:2

**ფულჰემი:** ლაშტუვკა, ვოლცი, ბოკანეგრა, კრისტანვალი, როსენორი, რაძინსკი (72. ჯონი), ბრაუნი, დიოპი (71. დემპსი), სმერტინი, დევისი, მაკბრაიდი (79. ჰელგუსონი).

**იუნაიტედი:** ვან დერს სარი, ბრაუნი, ფერდინანდი, ვიდიჩი (59. ოში), ევრა (67. სილვესტრი), რონალდო, სქოულზი, ქერიკი (66. საა), გიგზი, რუნი, ლარსონი.

**გოლები:** 1:0 მაკბრაიდი (17), 1:1 გიგზი (29), 1:2 რონალდო (88).

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 16(6)-16(8); **ჯარიმა:** 16-12; **კუთხური:** 3-7.

**მაყურებელი:** 24 459

### ლივერპული-შეფილდ იუნ. 4:0

**ლივერპული:** დუდეკი, ფინენი, კარაგერი (77. აგერი), ჰიიპია, რიისე, პენანტი, ჯერარდი (74. ალონსო), მასკერანო, გონსალესი, კრაუჩი (23. კუიტი), ფაულერი.

**შეფილდი:** კენი, გირი, ჟაგიელკა, ლუკეტი (32. მორგანი), არმსტრონგი, კოზლუკი (25. კაზიმ რიჩარდსი), ტონგე, ფათი, მონტგომერი, სტივ ქუინი (66. სტიდი), ჰალსი.

**გოლები:** 1:0 ფაულერი (20-პენ), 2:0 ფაულერი (25-პენ), 3:0 ჰიიპია (70), 4:0 ჯერარდი (73).

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 8(4)-6(2); **ჯარიმა:** 12-9; **კუთხური:** 5-1.

**მაყურებელი:** 44 198

### ჩარლტონი-ვესტ ჰემი 4:0

**ჩარლტონი:** კარსონი, იანგი, ელ ქარქური, დიავარა, ტეტჩერი, ემბროუზი, ჰოლანდი, სონგი (85. ფაიე), ტომასი, მარკუს ბენტი (35. ჰასელბენკი), დარენ ბენტი (82. ჟენგი).

**ვესტ ჰემი:** გრინი, დეილი, ფერდინანდი, დევენპორტი, კონჩესკი, ბენაიუნი, მულინზი (72. ნიუტონი), კვოში, ეთერინგტონი (46. ჰერვუდი), ტევესი, კოული (59. ბლანკო).

**გოლები:** 1:0 ემბროუზი (24), 2:0 ტომასი (34), 3:0 დარენ ბენტი (41), 4:0 ტომასი (80).

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 13(5)-12(8); **ჯარიმა:** 13-7; **კუთხური:** 7-6.

**მაყურებელი:** 27 111

### მიდლსბრო-რედინგი 2:1

**მიდლსბრო:** შვარცერი, დევისი, ვუდგეიტი, პოგატეცი, ტეილორი, კატერმოული (74. მორისონი), ბოატენგი, არკა, დაუნინგი, ვიდუკა, იაკუბუ (85. ლი).

**რედინგი:** ჰანემანი, მერტი, დაბერი, ინგიმარსონი, შორი, ჰანტი (72. ოსტერი), სიდველი, ჰარპერი, ლიტლი, ლონგი (62. კიტსონი), ლიტა.

**გოლები:** 1:0 ვიდუკა (7), 2:0 იაკუბუ (69), 2:1 ოსტერი (87).

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 9(6)-10(4); **ჯარიმა:** 9-12; **კუთხური:** 9-12.

**მაყურებელი:** 26 412

### უოტფორდი-ევერტონი 0:3

**უოტფორდი:** ლი, მარიაპა, დემერიტი, მაკეი (46. დოილი), სტიუარტი, სმიტი, ფრენსისი, მაჰონი, ბუაზა (78. მაკნემი), ჰენდერსონი (46. პრისკინი), კაბა.

**ევერტონი:** ჰოვარდი, ნევილი, იობო, ლესკოტი, ნეისმითი, ფერნანდესი (81. ოსმანი), კარსლი, კაჰილი, არტეტა, ჯონსონი (77. ვოგანი), ბიტი.

**გოლები:** 0:1 ფერნანდესი (23), 0:2 ჯონსონი (25-პენ), 0:3 ოსმანი (90).

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 11(3)-13(5); **ჯარიმა:** 10-17; **კუთხური:** 5-9.

**მაყურებელი:** 18 761

### ვიგანი-ნიუკასლი 1:0

**ვიგანი:** ფილანი, რაიან ტეილორი, ჯექსონი, ბოისი, ბაინესი, ვალენსია (61. კამარა), ლანდზაატი, სკოკო, მაკალოხი, ჰესკი (37. კილბეინი), ფოლანი.

**ნიუკასლი:** გივენი, სტივ ტეილორი, ონიევუ, ბრემბლი, ჰანთინგტონი (87. ქეროლი), სოლანო (62. ნზოგბია), პარკერი, ბატი, დაფი (62. მილნერი), მარტინსი, სიბირსკი.

**გოლი:** 1:0 ტეილორი (40).

**გაფრთხილება:** 6-2; **დარტყმა:** 7(4)-5(2); **ჯარიმა:** 11-12; **კუთხური:** 8-5.

**მაყურებელი:** 21 179

### ბლექბერნი-პორტსმუთი 3:0

**ბლექბერნი:** ფრიდელი, ემერტონი, სამბა (46. ხიზანიშვილი), ანშო, უორნოკი, ბენტლი, მოკოენა, თუგაი, პედერსენი (75. დანი), ნონდა, დერბიშირი (54. რობერტსი).

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, ჯონსონი, პრიმუსი, კემპბელი, პამარო (46. კრანჩარი), ონილი, დევისი (46. კანუ), მენდესი (55. მვუემბა), ტეილორი, კოული, ლუალუა.

**გოლები:** 1:0 ნონდა (1), 2:0 ნონდა (25), 3:0 უორნოკი (50).

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 13(11)-13(6); **ჯარიმა:** 11-16; **კუთხური:** 7-4.

**მაყურებელი:** 17 434

### ტოტენჰემი-ბოლტონი 4:1

**ტოტენჰემი:** რობინსონი, შიმბონდა, დოსონი, როჩა, ლი, ლენონი, ზოკორა (90. სტალტერი), ჯენასი, ტაინიო (67. მაბრლანკი), ბერბატოვი, რობი კინი.

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, ჰანტი, მეიტე, ფაიე (25. თეიმურიანი), გარდნერი (63. პედერსენი), იანაკოპულოსი, ნოლანი (76. ვას ტე), კამპო, სპიდი, დიოუფი, ანელკა.

**გოლები:** 1:0 კინი (11), 2:0 ჯენასი (19), 3:0 კინი (22), 3:1 სპიდი (37-პენ), 4:1 ლენონი (90).

**გაძევება:** რობი კინი (35. ტოტენჰემი)

**გაფრთხილება:** 0-4; **დარტყმა:** 14(10)-10(6); **ჯარიმა:** 2-17; **კუთხური:** 5-5.

**მაყურებელი:** 35 747

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩ. იუნ | 28 | 22 | 3 | 3 | 66-19 | 69 |
| 2. ჩელსი | 27 | 18 | 6 | 3 | 48-19 | 60 |
| 3. ლივერპული | 28 | 16 | 5 | 7 | 44-19 | 53 |
| 4. არსენალი | 26 | 14 | 7 | 5 | 48-22 | 49 |
| 5. ბოლტონი | 28 | 14 | 5 | 9 | 33-32 | 47 |
| 6. რედინგი | 28 | 13 | 4 | 11 | 42-36 | 43 |
| 7. ევერტონი | 28 | 11 | 9 | 8 | 36-25 | 42 |
| 8. პორტსმუთი | 28 | 11 | 8 | 9 | 36-29 | 41 |
| 9. ტოტენჰემი | 28 | 11 | 6 | 11 | 36-40 | 39 |
| 10. ბლექბერნი | 28 | 11 | 4 | 13 | 33-38 | 37 |
| 11. ნიუკასლი | 28 | 10 | 6 | 12 | 34-37 | 36 |
| 12. მიდლსბრო | 28 | 9 | 8 | 11 | 32-34 | 35 |
| 13. ასტონ ვილა | 27 | 7 | 11 | 9 | 28-33 | 32 |
| 14. ფულჰემი | 28 | 7 | 11 | 10 | 30-43 | 32 |
| 15. მანჩ. სიტი | 26 | 8 | 6 | 12 | 20-32 | 30 |
| 16. შეფილდი | 28 | 8 | 6 | 14 | 24-40 | 30 |
| 17. ვიგანი | 28 | 8 | 5 | 15 | 29-44 | 29 |
| 18. ჩარლტონი | 28 | 6 | 5 | 17 | 24-47 | 23 |
| 19. ვესტ ჰემი | 28 | 5 | 5 | 18 | 18-46 | 20 |
| 20. უოტფორდი | 28 | 3 | 10 | 15 | 16-41 | 19 |

**ბომბარდირები:** 17 - დროგბა (ჩელსი); 16 - რონალდო (მანჩესტერ იუნ); 12 - აიეგბენი (მიდლსბრო); 11 - ვან პერსი (არსენალი); 10 - ლემპარდი (ჩელსი), დოილი (რიდინგი), მაკარტი (ბლექბერნი), რუნი (მანჩესტერ იუნ), ანრი (არსენალი), კანუ (პორტსმუტი), მარტინსი (ნიუკასლი).

### ჩემპიონატი

XXXV ტური

**კარდიფი-პრესტონი** 4:1

გოლები: 1:0 უიტინგემი (44), 2:0 ჩოპრა (51-პენ), 2:1 ალექსანდერი (53-პენ), 3:1 რ. ჯონსონი (54), 4:1 ჩოპრა (67)

**კრ.პალასი-ლუტონი** 2:1

გოლები: 1:0 მორისონი (45), 1:1 ჰადსონი (55-საკ. კარში), 2:1 მორისონი (68)

**კოლჩესტერი-ბარნსლი** 0:0

**ჰალი-ბირმინგემი** 2:0

გოლები: 1:0 უინდესი (10), 2:0 უინდესი (57-პენ)

**ლესტერი-ვესტ ბრომვიჩი** 1:1

გოლები: 0:1 დ. კამარა (27-პენ), 1:1 მაკოლეი (35)

**ნორვიჩი-ქოვენთრი** 1:1

გოლები: 0:1 ტები (42), 1:1 მარტინი (81)

**ქუინზ პარკი-პლიმუტი** 1:1

გოლები: 0:1 ნალისი (32), 1:1 კუკი (59)

**უენსლი-საუთენდი** 3:2

გოლები: 0:1 ჰანტი (15), 1:1 ტადგეი (16), 2:1 პრიორი (29-საკ. კარში), 2:2 ისტვუდი (61), 3:2 მაკლინი (90-პენ)

**საუთჰემპტონი-იფსვიჩი** 1:0

გოლი: 1:0 საგანოვსკი (1)

**სანდერლენდი-დერბი** 2:1

გოლები: 1:0 კონოლი (27-პენ), 1:1 ბარნსი (59), 2:1 მილერი (90)

**ვულვზი-ლიდსი** 1:0

გოლი: 1:0 კიტლი (76)

**სტოკი-ბარნსლი** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დერბი | 34 | 19 | 6 | 9 | 43-34 | 63 |
| 2. ვესტ ბრომვიჩი | 35 | 18 | 9 | 8 | 62-39 | 63 |
| 3. ბირმინგემი | 33 | 18 | 7 | 8 | 51-33 | 61 |
| 4. სანდერლენდი | 35 | 18 | 6 | 11 | 52-36 | 60 |
| 5. პრესტონი | 34 | 17 | 8 | 9 | 50-38 | 59 |
| 6. ვულვზი | 35 | 17 | 8 | 10 | 38-35 | 59 |
| 7. საუთჰემპტონი | 35 | 16 | 11 | 8 | 56-39 | 59 |
| 8. კარდიფი | 35 | 16 | 11 | 8 | 50-36 | 59 |
| 9. სტოკი | 34 | 14 | 11 | 9 | 42-27 | 53 |
| 10. კოლჩესტერი | 35 | 15 | 7 | 13 | 54-40 | 52 |
| 11. კრ. პალასი | 35 | 13 | 9 | 13 | 42-39 | 48 |
| 12. პლიმუთი | 34 | 11 | 14 | 9 | 46-44 | 47 |
| 13. უესლი | 34 | 12 | 8 | 14 | 49-53 | 44 |
| 14. ლესტერი | 34 | 11 | 11 | 12 | 37-40 | 44 |
| 15. ქოვენთრი | 35 | 12 | 6 | 17 | 35-47 | 42 |
| 16. ბარნსლი | 34 | 10 | 10 | 14 | 35-37 | 40 |
| 17. იფსვიჩი | 34 | 11 | 6 | 17 | 40-46 | 39 |
| 18. ნორვიჩი | 32 | 10 | 8 | 14 | 39-50 | 38 |
| 19. ლუტონი | 34 | 9 | 9 | 16 | 42-56 | 36 |
| 20. ბარნსლი | 34 | 10 | 5 | 19 | 38-58 | 35 |
| 21. ჰალი | 34 | 9 | 8 | 17 | 35-48 | 35 |
| 22. ქუინზ პარკი | 34 | 9 | 8 | 17 | 39-54 | 35 |
| 23. ლიდსი | 34 | 9 | 4 | 21 | 34-58 | 31 |
| 24. საუთენდი | 35 | 7 | 10 | 18 | 34-56 | 31 |

**ბომბარდირები:** 21 - ჩოპრა (კარდიფი); 19 - კამარა (ვესტ ბრომვიჩი); 17 - რასიაკი (საუთჰემპტონი), ირნშოუ (ნორვიჩი); 15 - ივეალუმო (კოლჩესტერი).

### I ლიგა

XXXV ტური

ჩესტერფილდი-ნოტინგემი 1:2; ბლეკპული-მილუოლი 0:1; ბრედფორდი-ბრენტფორდი 1:1; ბრაიტონი-ბრისტოლი 0:2; ჩელტენემი-კარლაილი 0:1; დონკასტერი-პორტ ვეილი 1:0; ჰადერსფილდი-ქრიუ 1:2; ლეიტონი-ტრანმერი 3:1; ნორთჰემპტონი-როტერჰემი 3:0; ოლდჰემი-ბორნმუთი 1:2; სკანთორფი-ჯილინგემი 3:1; იეოვილი-სუონსი 1:0.

### II ლიგა

XXXV ტური

აკრინგტონი-ლინკოლნი 2:2; ბოსტონი-ჰარტლპული 0:1; როვერსი-სტოკპორტი გადაიდო; ბერი-პიტერბრო 0:3; ჰერეფორდი-როჩდეილი 0:0; მაკლსფილდი-გრიმსბი 2:1; მენსფილდი-უიკომბი 3:2; ნოტსი-მილტონი 2:2; სუინდონი-ჩესტერი 1:0; ტორკი-დარლინგტონი 0:1; უოლსოლი-ბარნეტი 4:1; რექსჰემი-შრიუსბერი 1:3.

### კონფერენსი

XXVIII ტური

ალდერშოტი-რაშდენი 2:2; კემბრიჯი-საუთპორტი 2:2; დაგენჰემი-იორკი 2:1; ექსეტერი-ბარტონი 3:0; ფორესტ გრინი-მორეკამბი 1:3; სტ. ალბანსი-სტეფორდი 0:3; ტამუორტი-ოქსფორდი 1:3; უეიმაუთი-უოკინგი გადაიდო

იტალია. სერია A. XXV ტური

# ინტერი ჩვეულ რეჟიმში



ინტერმა კატანიას გოლების რიგი დაუყენა: გროსო, სოლარი, იბრაჰიმოვიჩი, კრუსი...

"პალერმოს" მოგება დაავიწყდა, მაგრამ იტალიური პრესის აზრით, ბერგამოში ნათამაშები ფრე სიცილიელებისთვის წარმატებად უნდა ჩაითვალოს. მიზეზი ისაა, რომ "პალერმოს" მორალურ-საბრძოლო კონდიციები ბოლო ხანს კატასტროფულად დაეცა. გუნდი უხალისოდ, მორცხვად, თავდაჯერების გარეშე თამაშობს და არაფერი აქვს საერთო იმ "პალერმოსთან", რომელიც სეზონის სტარტზე დაფრინავდა და სკუდეტოს პრეტენდენტადაც კი ცხადდებოდა. ერთი სიტყვით, **გუიდოლინის** გუნდი ცუდ ფორმაშია და, თითქოს ეს არ კმაროდა, შაბათს ოთხი წამყვანი მოთამაშეც გამოაკლდა: **ამაური** და **ბარძალი** ტრავმების გამო, **დი მიკელე** და **კორინი** დისკვალიფირებულები იყვნენ. ბერგამოელი **ძამპანიას** მიერ მე-13 წუთზე გატანილი გოლი მწარე დასასრულის პრელუდიას ჰგავდა, მაგრამ სიცილიელებმა მეორე ნახევარში გათანაბრება შეძლეს და შეხვედრა, იტალიური სამუსიკო ტერმინი რომ ვიხმაროთ, კრეშენდოთი დაამთავრეს. საბოლოოდ ყველა კმაყოფილი დარჩა, ტრიბუნებზე დაბრუნებული აბონემენტების მფლობელების გარდა, რომლებმაც "ულტრასებისგან" გამოტანებული ტრანსპარანტი გამოკიდეს: "მისი უდიდებულესობა ფული გვიხმობს და აი, ფეხბურთიც განახლდა! 15 დღე გარდაცვლილის დასავიწყებლად... გრცხვენოდეთ!" ისე გამოვიდა, რომ პოლიციას ახლა მთავრობა კი არა, "ულტრასები" უცხადებენ სოლიდარობას. ეტყობა, იტალიაში რაღაც იცვლება...

დავუბრუნდეთ თამაშს, რომელიც დიდი სანახაობა არ ყოფილა. "ატალანტა" საერთოდ იმ გუნდებიდანაა, სანახაობა ყველაზე ბოლოს რომ აინტერესებთ. მასპინძლებმა ისე დაიწყეს, როგორც სჩვევიათ: თავი ჩაღუნეს და საქმეს შეუდგნენ. პირველი სახიფათო მომენტი **ფონტანამ** განმუხტა, მეორეზე კი ვერაფერი გააწყო: ბრაზილიელი **დეფენდი** სტუმართა დაცვაში შეიჭრა და კარის გასწვრივ დაბალი ბურთი ჩააწოდა. მარტო დარჩენილმა ძამპანიამ ახლო მანძილიდან ერთი წაჰკრა და ანგარიში გახსნა. მასპინძლებს შეტევები არც ამის შემდეგ შეუწყვეტიათ, "პალერმო" კი წვალობდა და უძლებდა. 39-ე წუთზე მსაჯმა ბერგამოელების სასარგებლოდ აშკარა პენალტი არ დანიშნა. შესვენების შემდეგ სცენარი შეიცვალა. **ბრეშანოსა** და **სიმპლისიოს** კარგი თამაშის წყალობით, "პალერმო" ცენტრს დაეპატრონა და 13 წუთში გაათანაბრა კიდეც: სიმპლისიომ ბრწყინვალე პასით მოძებნა **პიზანო**, იმან საჯარიმოში ჩააწოდა და **დიანამ** გაიტანა. "ატალანტა", რეაგირების მაგივრად, საკუთარ საჯარიმოს მიეჯაჭვა, მაგრამ "პალერმო" მხოლოდ თამაშის გაკონტროლებით დაკმაყოფილდა და მეტად აღარ გარისკა. ბოლო ნახევარ საათში დასამახსოვრებელი მხოლოდ ორი ეპიზოდი იყო: **კარაჩოლოს** უძლიერესი დარტყმა და უძლიერესი შეჯახება **ლორიასა** და **ფონტანას** შორის, რაც ორივეს შეცვლით დასრულდა.

„ტორინომ" ზედიზედ მეექვსე შეხვედრა წააგო, მაგრამ **ალბერტო ძაკერონი** გაგდებას გადარჩა. ჯერჯერობით. პრეზიდენტმა **კაირომ** მწვრთნელს კიდევ ერთი და უკანასკნელი შანსი მისცა: ოთხშაბათს, შუასაკვირაო ტურში, "ტორინო" "კალიარის" ხვდება და თუ ვერ მოიგო, ძაკი ტურინს დაემშვიდობება. ამასობაში, უკვე საუბრობენ **კარლო მაცონეს** ან **სერსე კოზმის** დანიშვნაზე. ეს დამარცხება "ტოროსთვის" განსაკუთრებულად მძიმე და დამამცირებელი აღმოჩნდა. "კიევო" უკვე მეორე წუთზე იგებდა **ბოგდანის** ლამაზი გასროლის შედეგად. ალბანელმა ფორვარდმა, რომელიც ვერონელებმა იანვარში "სიენიდან" წამოიყვანეს, 45-ე წუთზე კიდევ ერთი ლამაზი, ამჯერად თავური გოლით, დუბლი გაიფორმა. ძაკერონის გუნდმა 90 წუთში ერთი საგოლე მომენტი შექმნა, როცა 39-ე წუთზე **სტელონე** მეკარის პირისპირ გავიდა, მაგრამ ფორვარდმა ძალიან უხეიროდ დაარტყა. ორი წუთის დაწყებული იყო მეორე ტაიმი, როცა **ობინამ** მარჯვნივ ყველას ჩაურბინა და საჯარიმოში დაბალი ბურთი შემოაგდო, იქ ყველას **ბრიგიმ** დაასწრო და ანგარიში გამანადგურებელი გახადა, 3:0. ვერონელებს მეტიც შეეძლოთ, მაგრამ **პელისიემ აბიატი** დაინდო და 11-მეტრიანიდან ბურთი კარს ააცილა.

კვირას "ინტერმა" ზედიზედ მე-17 შეხვედრა მოიგო, თუმცა ეს უკვე ჩვეულებრივ ამბად იქცა და აღარავის აკვირვებს. არაფერი შეუცვლია იმას, რომ მილანელებს **ვიეირა, კამბიასო, დაკური** და **ადრიანო** აკლდათ. "კატანიასთან" შეხვედრაში (ჩეზენაში, ნეიტრალურ მოედანზე და მაყურებლების გარეშე) ყველაფერი მოსალოდნელი სცენარით განვითარდა. სიცილიური გუნდი დიდად მონდომებული იყო და გაბრაზებულიც იმის გამო, რომ მშობლიური "მასიმინო" დაუხურეს და იძულებული გახადეს, საშინაო შეხვედრებისთვის ახალ-ახალ ქალაქებში თავისუფალი სტადიონები ეძებოს. მაგრამ პირველი ნახევრის ბოლოს **სამუელის** ერთმა თავურმა ყველაფერი თავის ადგილზე დაალაგა. "ნერაძურიმ" თავიდანვე ისე წაიყვანა თამაში, როგორც თავად სურდა – მშვიდად, აუღელვებლად და დაადასტურა **მანჩინის** სიტყვები, მართალია, "ვალენსიასთან" სასურველ შედეგს ვერ მივაღწიეთ, მაგრამ ტყუილად ეჭვობენ კრიტიკოსები, გუნდში ეს არეულობას მაინც ვერ გამოიწვევსო. 45-ე წუთზე **სტანკოვიჩმა** კუთხური მოაწოდა, საჰაერო ბრძოლაში ყველას სამუელმა აჯობა და "ინტერი" დააწინაურა. მეორე ტაიმი ვარჯიშს უფრო ჰგავდა, ვიდრე ოფიციალურ შეხვედრას. ასეთი ატმოსფეროს შექმნას ცარიელი ტრიბუნებიც ძალიან უწყობდა ხელს. "შავლურჯებს" ბურთები პანტა-პუნტით გაჰქონდა და არც მეტოქეს უშლიდნენ ამის გაკეთებას. გოლეადა 49-ე წუთზე დაიწყო, როცა **სოლარიმ** ბურთი მარჯვნიდან წამოიღო, შუაში შეიჭრა და საჯარიმოს მიახლოებულმა ცაციათი დასცხო: ბურთი ძელს მოხვდა და ბადეში გაეხვა, 2:0. რვა წუთში მილანელებმა მესამე და კურიოზული გოლი გაიტანეს: **გროსომ** კარის გასწვრივ ჩააწოდა, მაგრამ ბურთი, ისე, რომ არავის შეხებია, კარში აღმოჩნდა. აქ უკვე ყველაფერი გადაწყვეტილი იყო და გუნდებმა ყურადღება მოადუნეს. 65-ე წუთზე **სპინეზიმ კორდობას** უხეში შეცდომით ისარგებლა და სხვაობა შეამცირა, მაგრამ მხოლოდ ორი წუთით: სოლარიმ საჯარიმოში **იბრაჰიმოვიჩი** მოსძებნა და შვედმაც მეოთხე გაიტანა. ამის შემდეგ **კორონამ** (ისევ კორდობას შეცდომის წყალობით) და **კრუსმა** კიდევ თითო გოლი გაცვალეს და ვარჯიშიც ამით დასრულდა.

კიდევ ერთი საგოლე ფოიერვერკი მოაწყო "რომამ", ამჯერად, "რეჯინასთან". დედაქალაქელებისთვის ეს ზედიზედ მერვე საშინაო გამარჯვებაა ჩემპიონატში. ბოლო ხანს "რომამ" "ოლიმპიკოზე" ერთგვარი ტრადიცია დაამკვიდრა – პირველ ტაიმში მეტოქეს თითქოს მოსინჯავს, გოლების გატანას კი შესვენების შემდეგ იწყებს. ამჯერად დასაწყისი 55-ე წუთს დაემთხვა: **ტოტიმ** კარში შორიდან დაარტყა, მაგრამ ბურთი გზად **ტავანომ** შეაჩერა, გაისწორა და კარიდან გამოსულ მეკარეს რბილი დარტყმით გაუტანა. იანვარში "ვალენსიისგან" ნათხოვარი ფორვარდისთვის ეს სერია A-ში "რომას" მაისურით გატანილი პირველი გოლი იყო. ათ წუთში, **პისაროს** კუთხურს **მექსე** ძლიერი თავურით გამოეხმაურა და უპირატესობა ორ ბურთამდე გაზარდა. 83-ე წუთზე ტოტიმ 11-მეტრიანი გამოიმუშავა და ცხადია, თვითონვე შეასრულა, მაგრამ არცთუ ეშმაკური დარტყმის მიმართულებას **კამპანიოლო** ადვილად მიუხვდა და მოუგერია. ან კაპიტანს დაავიწყდა პენალტების კარგად დარტყმა, ან ნერვიულობს, ან მეკარეებმა შეისწავლეს მისი სტილი. სხვა როგორ უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ამ სეზონში ტოტიმ 9 მცდელობიდან უკვე მე-6 11-მეტრიანი გააფუჭა? ისე, ძალიან კი გალიზიანდა ფრანჩესკო. "რეჯინის" მეკარემ თავზე ხელი გადაუსვა, არა უშავს, ხდება ხოლმე, ამან კი საპასუხოდ ძველბიჭობა დაუწყო, თამაშის მერე გასახდელთან გამოხვალ და იქ ვილაპარაკოთო. თუმცა "რომა" იმდენ მომენტს ქმნიდა, რომ გაფუჭებული პენალტი ვის ახსოვდა. შეხვედრის ბოლო წუთზე მასპინძლებმა უსწრაფესი კონტრშეტევა წამოიწყეს, რაც **ვუჩინიჩის** პასითა და მეკარის საჯარიმოში შეჭრილი **პანუჩის** შედეგიანი დარტყმით დასრულდა, 3:0.

ბედნიერი დღე ჰქონდა მეორე რომაულ გუნდსაც, რომელმაც "კალიარი" მისსავე მოედანზე პირწმინდად დაჩაგრა. **კრიბარის** გოლითა და **როკის** ევროგოლით (რომელმაც ყველას 9-10 წლის წინანდელი **დელ პიეროს** გოლები გაახსენა – საჯარიმოს კუთხიდან მოჭრილი დარტყმა შორეულ კუთხეში) "ლაციომ" ყველაფერი პირველივე ტაიმში მოამთავრა და მეოთხე ადგილზე ამაყად წამოიჭიმა. თუმცა რომაელებს ამაში "ფიორენტინა" დაეხმარათ, რომელმაც ბოლო დროს ათამაშებული "ემპოლი" დაამარცხა. "ვიოლამ" თავისი ლიდერების გოლებით ზედიზედ მეოთხე შეხვედრა მოიგო და ნახეთ, უკვე სად არის? მე-6 ადგილზე 31 ქულით. თუ ამას დაკლებულ 15 ქულასაც დავუმატებთ, გამოდის, რომ ჩემპიონატის "მესამე ძალა" რეალურად **პრანდელის** გუნდია. ფლორენციაში ანგარიში **მუტუმ** 27-ე წუთზე გახსნა და **ტონიმ** 75-ეზე დახურა, მას შემდეგ, რაც **პასკუალის** ჩაწოდებულ ბურთს ახლო მანძილიდან დაამატა.

**კლაუდიო რანიერიმ** "პარმაში" მისვლის შემდეგ პირველი ქულა აიღო, მას შემდეგ, რაც მისი გუნდი **მალეზანის** "უდინეზეს" უხვგოლიან შეხვედრაში დაუზავდა. **ალბერტო კავაზინმა** კი "მესინის" მწვრთნელის როლში პირველი გამარჯვება იზეიმა. "სიენასთან" შეხვედრაში ყველაფერი 0:0-სკენ მიდიოდა, მაგრამ 92-ე წუთზე ჰონდურასელმა **ალვარესმა** იღბლიანად გაისროლა და თითქმის ოთხთვიანი პაუზის შემდეგ "მესინას" პირველად მოაგებინა. ორივე კართან შექმნილი მრავალი საგოლე მომენტის მიუხედავად, "ლივორნომ" და "ასკოლიმ" მიზანს ვერ მიაღწიეს და ნულოვან ფრეზე დაზავდნენ.

**მომდევნო ტური**

28 თებერვალი. სამპდორია-ატალანტა, ტორინო-კალიარი, ლაციო-კატანია, რეჯინა-ფიორენტინა, სიენა-ლივორნო, ემპოლი-მესინა, პალერმო-მილანი, ასკოლი-პარმა, კიევო-რომა, ინტერი-უდინეზე.

**კიევო-ტორინო 3:0**

**კიევო:** სკუიცი-6, მორო-6, მანდელი-6, დ'ანა-6.5, ლანა-6, ბრიგი-7, სამარკო-6, იტალიანო-6 (59. მარკოლინი-6), სემიოლი-6.5 (80. კოსოვსკი-5.5), ბოგდანი-8, ობინა-7 (60. პელისიე-5.5).

**ტორინო:** აბიატი-5, ი. ფრანჩესკინი-5, ო. ბრევი-6, ბოვო-5.5, პანკარო-5.5 (61. ბარონე-5.5), დე აშენტისი-6, არდიტო-5, ბალესტრი-5, ლაზეტიჩი-6, სტელონე-5, აბრუსკატო-5 (61. მუცი-6).

**გოლები:** 1:0 ბოგდანი (2), 2:0 ბოგდანი (45), 3:0 ბრიგი (48)

*62-ე წუთზე პელისიემ ვერ გაიტანა პენალტი (ძელი)*

**გაფრთხილება:** 4-3; **კუთხური:** 2-3; **ჯარიმა:** 19-32; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 11-6 (7-5); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 4 000

**ატალანტა-პალერმო 1:1**

**ატალანტა:** კალდერონი-6.5, რივალტა-6, ტალამონტი-6.5, ლორია-6 (76. კაროციერი-6), ბელინი-6.5, დეფენდი (58. პინტუ-5.5), ბერნარდინი-6.5, ტისონე-6, არიატი-6.5, კ. დონი-5.5, ძამპანია-7 (79. ვენტოლა-შ.გ).

**პალერმო:** ა. ფონტანა-6.5 (76. ალიარდი-6), კასანი-6.5, ბიავა-6, ძაკარდო-5.5, მ. პიზანო-6.5, დიანა-6.5, გუანა-7, ჩარამიტარო-5.5 (57. ჯოვ. ტედესკო-6), სიმპლისიუ-6 (90. ჯაკომაცი-შ.გ), ბრეშანო-7, კარაჩოლო-6.

**გოლები:** 1:0 ძამპანია (13), 1:1 დიანა (58)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 4-10; **ჯარიმა:** 13-18; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 11-16 (6-11); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 8 800

**კატანია-ინტერი 2:5**

**კატანია:** პანტანელი-5, სოტილი-5, ვარგასი-6.5, სტოვინი-5, ლუჩენტი-6, ბაიოკო-6.5, ჯ. კოლუჩი-5.5 (79. მორიმოტო-6), კაზერტა-6 (84. იცკო-შ.გ), ედუსეი-6, სპინეზი-4.5, მასკარა-4 (66. კორონა-6.5).

**ინტერი:** ჟულიო სეზარი-6, მაიკონი-7, სამუელი-6.5, კორდობა-5.5, მაქსველი-6 (74. გონსალესი-6) გროსო-6.5, ხ. ძანეტი-6, სტანკოვიჩი-6.5 (77. ბურდისო-შ.გ) სოლარი-6.5, იბრაჰიმოვიჩი-6.5 (69. ადრიანო-6), კრუსი-7.

**გოლები:** 0:1 სამუელი (45), 0:2 სოლარი (49), 0:3 გროსო (57), 1:3 სპინეზი (65), 1:4 იბრაჰიმოვიჩი (67), 2:4 ვარგასი (74), 2:5 კრუსი (78)

**გაძევება:** სპინეზი (88. კატანია)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 3-7; **ჯარიმა:** 8-23; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 11-22 (6-10); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 0 (ნეიტრალურზე)

**რომა-რეჯინა 3:0**

**რომა:** ა. დონი-7.5, ფერარი-6, მექსე-6.5, პანუჩი-7, ტონეტო-5.5, პისარო-7, ვილჰელმსონი-5.5 (86. ვუჩინიჩი-შ.გ), პეროტა-5.5 (75. კასეტი-შ.გ), დე როსი-5, ტოტი-6, ტავანო-6 (60. ტადეი-6).

**რეჯინა:** კამპანიოლო-8, ჯოზა-6.5, მოდესტო-5.5 (76. ბარილა-შ.გ), ა. ლუკარელი-6, არონიკა-6, ჯაკ. ტედესკო-6, მესტო-6.5, მისიროლი-5 (59. ამერინი-6), ტონიოცი-5.5, ბიანკი-6, ფოჯა-6.5 (80. ნილსენი-შ.გ).

**გოლები:** 1:0 ტავანო (55), 2:0 მექსე (65), 3:0 პანუჩი (90)

*84-ე წუთზე ტოტიმ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 9-7; **ჯარიმა:** 21-25; **თამაშგარე:** 0-7; **კარში დარტყმა:** 28-9 (16-5); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 30 000

**კალიარი-ლაციო 0:2**

**კალიარი:** ფორტინი-5.5, ბიანკო-5.5, აგოსტინი-5.5, ბისერა-5 (46. ლოპესი-6), ფერი-5.5, კაპონე-6 (68. მარკინი-5.5), ბიონდინი-5.5, კონტი-5.5, ბუდელი-6 (60. ლანჯელა-4), პეპე-5, სუასო-5.5.

**ლაციო:** ბალოტა-6, კრიბარი-6.5, ძაური-6, სივილია-6, ბელერი-6, ბეჰრამი-6.5 (85. ფირმანი-შ.გ), მაური-6, ლედესმა-7, მუტარელი-6.5, როკი-7 (90. ტარე-შ.გ), პანდევი-6 (64. ხიმენესი-5.5).

**გოლები:** 0:1 კრიბარი (21), 0:2 როკი (34)

**გაძევება:** ლანჯელა (78. კალიარი)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 25-15; **თამაშგარე:** 5-6; **კარში დარტყმა:** 13-13 (6-11); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 9 677

**ფიორენტინა-ემპოლი 2:0**

**ფიორენტინა:** ფრეი-6.5, გამბერინი-6, პასკუალი-6.5, დაინელი-6, უიფალუში-6.5, ლივერანი-6.5 (79. პაციენცა-შ.გ), მონტოლივო-6.5, იორგენსენი-6.5, ბლაზი-6.5, ტონი-7 (76. პაცინი-შ.გ), მუტუ-7 (83. რეჯინალდო-შ.გ).

**ემპოლი:** ბალი-6.5, პრატალი-5 (78. მარძორატი-შ.გ), ასკოლი-5.5, ლუკინი-6 (25. ვანილი-5.5), რაჯი-6, დ. მორო-6, ვანუკი-5, ბუშე-6, ალმირონი-6.5, პოცი-5.5, მატეინი-5.5 (46. მარიანინი-5.5).

**გოლები:** 1:0 მუტუ (27), 2:0 ტონი (75)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 23-16; **თამაშგარე:** 8-4; **კარში დარტყმა:** 18-9 (7-7); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 23 900

**უდინეზე-პარმა 3:3**

**უდინეზე:** დე სანქტისი-5.5, ზაპოტოჩნი-5, დოსენა-6, ნატალი-5, მოტა-6 (81. სიკეირა-შ.გ), კოდა-6, მუნტარი-6.5, ობოდო-6.5, პინცი-6, დი ნატალე-7.5, იაკუინტა-6 (54. გიანი-6).

**პარმა:** ბუჩი-6, პერნა-5.5, კასტელინი-6.5, პაჩი-6, ფერონეტი-5 (72. პიზანუ-შ.გ), კონტინი-5.5, პარავიჩინი-6, გრელა-6 (76. გასბარონი-6.5), დესენა-5, როსი-6.5, ბუდანი-7 (90. მუსლიმოვიჩი-შ.გ).

**გოლები:** 0:1 ბუდანი (8), 1:1 დი ნატალე (41), 2:1 დი ნატალე (68-პენ), 2:2 პარავიჩინი (78), 3:2 ობოდო (84), 3:3 როსი (86-პენ)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 18-26; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 23-13 (17-9); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 13 600

**მესინა-სიენა 1:0**

**მესინა:** კალიონი-7, ძანკი-5.5, პარიზი-6.5, ზორო-5.5, კანდელა-6, მაზიელო-5.5 (56. რიგანო-5.5), პესტრინი-5.5 (75. დე ვეცე-შ.გ), ლავეკია-6, დ'ავერსა-6, ფლოკარი-6, ილიევი-6 (84. ალვარესი-6.5).

**სიენა:** მანინგერი-6.5, პორტანოვა-6.5, მოლინარო-6, გასტალდელო-6, ბერტოტო-6.5, ვერგასოლა-6, კოცა-6 (71. ერიომენკო-5.5), ანტონინი-6, კოდრეა-5.5 (22. ე. ბრევი-6), მაკარონე-6, ფრიკი-5.5 (90. ნეგრო-შ.გ).

**გოლი:** 1:0 ალვარესი (90)

**გაფრთხილება:** 4-1; **კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 18-23; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 15-15 (4-5); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 6 000

**ლივორნო-ასკოლი 0:0**

**ლივორნო:** ამელია-6.5, გრანდონი-6, პავანი-6, პასკუალე-6, გალანტე-6, ბალერი-6.5 (66. სეზარი-5.5), კოპოლა-6 (79. პაულინიო-5), მორონე-5.5 (59. პასონი-6), ა. ფილიპინი-6, ფიორე-6, კ. ლუკარელი-6.5.

**ასკოლი:** ელეფთეროპულოსი-6.5, მელარა-6, კორალო-6.5, ნასტასე-6.5, ფოლიო-6, ფინი-7, ბუდიანსკი-6, პ. ძანეტი-6, პეშე-6.5 (78. ვასტოლა-შ.გ), სონჩინი-6, ბელანოვიჩი-შ.გ (16. პაოლუჩი-6/82. ბონანო-შ.გ).

**გაფრთხილება:** 2-4; **კუთხური:** 3-7; **ჯარიმა:** 20-22; **თამაშგარე:** 5-0; **კარში დარტყმა:** 14-16 (4-9); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 7 850

**მილანი-სამპდორია 1:0**

**მილანი:** დიდა-6.5, [illegible], [illegible], [illegible], იანკულოვსკი-6.5, გატუზო-6.5, ამბროზინი-7, ზეედორფი-5.5 (66. პირლო-6), [illegible] (73. ფ. ინძაგი-შ.გ), ოლივეირა-შ.გ (12. კაფუ-6).

**სამპდორია:** კასტელაცი-6, კ. ძენონი-6, ფალკონე-5.5, აკარდი-6, მაჯო-6, პალომბო-6, ვოლპი-6, ოლივერა-4.5, ციგლერი-5 (65. პაროლა-5.5), ბონაცოლი-5 (55. ბაძანი-5.5), კვალიარელა-6.

**გოლი:** 1:0 ამბროზინი (90)

**გაძევება:** ოდო (10. მილანი), ოლივერა (39. სამპდორია)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 7-7; **ჯარიმა:** 14-21; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 15-12 (6-6); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 35 166

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 24 | 21 | 3 | 0 | 54-19 | 66 |
| 2. რომა | 24 | 16 | 4 | 4 | 49-18 | 52 |
| 3. პალერმო | 25 | 13 | 5 | 7 | 41-30 | 44 |
| 4. ლაციო | 24 | 11 | 7 | 6 | 37-18 | 37 |
| 5. მილანი | 24 | 12 | 8 | 4 | 33-21 | 36 |
| 6. ემპოლი | 24 | 9 | 8 | 7 | 21-21 | 35 |
| 7. ფიორენტინა | 24 | 14 | 4 | 6 | 38-21 | 31 |
| 8. ატალანტა | 24 | 7 | 10 | 7 | 38-34 | 31 |
| 9. უდინეზე | 24 | 8 | 7 | 9 | 28-32 | 31 |
| 10. კატანია | 25 | 8 | 7 | 10 | 33-45 | 31 |
| 11. სამპდორია | 24 | 8 | 6 | 10 | 31-31 | 30 |
| 12. ლივორნო | 24 | 6 | 9 | 9 | 24-35 | 27 |
| 13. სიენა | 24 | 5 | 11 | 8 | 23-29 | 25 |
| 14. კალიარი | 24 | 4 | 11 | 9 | 18-28 | 23 |
| 15. კიევო | 24 | 5 | 7 | 12 | 25-33 | 22 |
| 16. ტორინო | 24 | 5 | 7 | 12 | 18-34 | 22 |
| 17. რეჯინა | 24 | 8 | 7 | 9 | 29-33 | 20 |
| 18. მესინა | 24 | 4 | 8 | 12 | 24-39 | 20 |
| 19. პარმა | 24 | 3 | 7 | 14 | 20-43 | 16 |
| 20. ასკოლი | 24 | 2 | 7 | 15 | 18-37 | 14 |

**ბომბარდირები:** 14 - ტოტი (რომა); 13 - ტონი (ფიორენტინა); 12 - ბიანკი (რეჯინა), სპინეზი (კატანია); 11 - იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), მუტუ (ფიორენტინა); 10 - კ. დონი (ატალანტა), იაკუინტა (უდინეზე), კ. ლუკარელი (ლივორნო), კვალიარელა (სამპდორია), როკი (ლაციო); 9 - ბუდანი (პარმა), რიგანო (მესინა); 8 - ამაური (პალერმო), ამორუზო (რეჯინა), კრესპო (ინტერი).

## სერია B

XXV ტური

**ლეჩე-ტრევიზო 1:1**

**გოლები:** 0:1 კუადრინი (7), 1:1 ტული (67)

**გაძევება:** კამორანი (40. ლეჩე)

**პიაჩენცა-ჯენოა 3:1**

**გოლები:** 1:0 კაჩა (16), 2:0 სტამილა (24), 2:1 დი ვაიო (55-პენ), 3:1 ნეფი (88)

**ბრეშა-ვერონა 0:0**

**გაძევება:** ლიმა (68. ბრეშა)

**სპეცია-ფროზინონე 1:1**

**გოლები:** 0:1 დი დეო (3), 1:1 გუიდეტი (52)

**ვიჩენცა-ბარი 3:0**

**გოლები:** 1:0 ფოტი (21), 2:0 შვოხი (64), 3:0 პაონესა (87)

**არეცო-ალბინოლეფე 2:1**

**გოლები:** 1:0 ფლორესი (5), 2:0 ვინია (63), 2:1 ფერარი (78)

**კროტონე-მანტოვა 2:1**

**გოლები:** 1:0 კარიელო (44), 2:0 ბაუ (56), 2:1 სპინალე (89)

**პესკარა-ჩეზენა 1:0**

**გოლი:** 1:0 ვანტაჯატო (84)

**გაძევება:** მეცავილა (55. ჩეზენა), ლაურო (90. ჩეზენა)

**ტრიესტინა-ნაპოლი 1:3**

**გოლები:** 1:0 ჩერონი (9), 1:1 კანავარო (33), 1:2 ბუკი (51), 1:3 დე ძერბი (76)

**რიმინი-ბოლონია 0:0**

**მოდენა-იუვენტუსი დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნაპოლი | 24 | 11 | 11 | 2 | 28-16 | 44 |
| 2. იუვენტუსი | 23 | 15 | 7 | 1 | 44-15 | 43 |
| 3. პიაჩენცა | 24 | 12 | 5 | 7 | 29-24 | 41 |
| 4. მანტოვა | 24 | 10 | 10 | 4 | 29-17 | 40 |
| 5. ჯენოა | 24 | 11 | 6 | 7 | 36-31 | 39 |
| 6. რიმინი | 24 | 10 | 8 | 6 | 36-24 | 38 |
| 7. ბოლონია | 24 | 11 | 5 | 8 | 25-21 | 38 |
| 8. ალბინოლეფე | 24 | 7 | 14 | 3 | 25-19 | 35 |
| 9. ჩეზენა | 25 | 9 | 8 | 8 | 34-34 | 35 |
| 10. ტრევიზო | 24 | 8 | 9 | 7 | 30-26 | 33 |
| 11. ფროზინონე | 24 | 8 | 9 | 7 | 26-26 | 33 |
| 12. ბრეშა | 24 | 7 | 9 | 8 | 23-26 | 30 |
| 13. ბარი | 24 | 7 | 8 | 9 | 21-22 | 29 |
| 14. ტრიესტინა | 24 | 7 | 9 | 8 | 18-23 | 29 |
| 15. ვიჩენცა | 24 | 7 | 7 | 10 | 28-26 | 28 |
| 16. სპეცია | 25 | 5 | 11 | 9 | 25-32 | 26 |
| 17. ლეჩე | 24 | 7 | 5 | 12 | 29-38 | 26 |
| 18. კროტონე | 24 | 4 | 10 | 10 | 19-34 | 22 |
| 19. მოდენა | 23 | 5 | 6 | 12 | 12-24 | 21 |
| 20. ვერონა | 24 | 4 | 7 | 13 | 10-24 | 19 |
| 21. პესკარა | 24 | 4 | 8 | 12 | 20-38 | 19 |
| 22. არეცო | 24 | 4 | 10 | 10 | 19-26 | 16 |

**ბომბარდირები:** 11 - ბელუჩი (ბოლონია), დელ პიერო (იუვენტუსი); 10 - პაპა ვაიგო (ჩეზენა); 9 - ადაილტონი (ჯენოა); 8 - აკვაფრესკა (ტრევიზო), კალაიო (ნაპოლი), ჟედა (რიმინი), მოსკარდელი (რიმინი), ნედვედი (იუვენტუსი), პელე (ჩეზენა), ტრეზეგე (იუვენტუსი), შვოხი (ვიჩენცა); 7 - ბუკი (ნაპოლი), კაჩა (პიაჩენცა), ლოდი (ფროზინონე), მარჯოტა (ფროზინონე), პოსანცინი (ბრეშა), სალვეტი (ჩეზენა).

## სერია C1/A

XXIV ტური

პრო სესტო-ჩიტადელა 0:2; პიზა-პისტოიეზე 2:1; ლუკეზე-სასუოლო 1:1; პადოვა-სანჯოვანეზე 2:0; პავია-ვენეცია 1:0; გროსეტო-მონცა 1:1; პიციგეტონე-კრემონეზე 1:0; მასეზე-ნოვარა 1:0; ივრეა-პროპატრია 2:2.

## სერია C1/B

XXIV ტური

პერუჯა-სალერნიტანა 1:1; რავენა-მანფრედონია 2:1; ლანჩანო-ტერნანა 0:0; ტარანტო-გალიპოლი 1:1; სამბენედეტეზე-ჯულიანოვა 2:0; ტერამო-სან მარინო 0:0; ფოჯა-ანკონა 2:1; კავეზე-მარტინა 2:1; იუვე სტაბია-აველინო 1:0.

გერმანია. ბუნდესლიგა. XXIII ტური

# ფრიადი ადლერს, შოკი შალკეს!

## გაგიკვირდებათ და, ჰამბურგი შავი ზონიდან ამოვიდა...



რენე ადლერის დებიუტი ბრწყინვალე გამოდგა

გავა დრო და **რენე ადლერი** თავის შვილიშვილებს უდიდესი სიამაყით მოუყვება, თუ რა შესანიშნავი დებიუტი ჰქონდა ბუნდესლიგაში 2007 წლის 25 თებერვალს. ეს გახლავთ "ლევერკუზენის" 22 წლის მეკარე, რომელმაც გუშინ გამოცდილი **ჰანს-იორგ ბუტი** (დისკვალიფიკაცია ჰქონა) შეცვალა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ურთულესი გამოცდა ფრიადზე ჩააბარა. სწორედ ადლერის დამსახურებაა ის, რომ "შალკე"-"ლევერკუზენი" 0:1 დასრულდა და არა, ვთქვათ, 4:1 ან 5:1. დიახ, ლიდერმა წააგო და ვინ იცის, იქნებ საჩემპიონო სამი ქულაც კი დაკარგა. მართალია, ვერც "ვერდერმა" მოიგო და ვერც "შტუტგარტმა" (მოწინავე ხუთეულიდან სამი ქულის მოპოვება მხოლოდ "ბაიერნმა" მოახერხა), მაგრამ ხომ იცით, რა უკუღმართები არიან გელზენკირხენელები. ფაქტი ის გახლავთ, რომ **ლევან კობიაშვილის** გუნდი (ქართველი დისკვალიფიცირებული იყო) მეორეადგილოსან "შტუტგარტს" მხოლოდ 4 ქულითღა უსწრებს, არადა, შეეძლო, 7 ქულიანი უპირატესობა შეექმნა. და თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ "შალკემ" წინა ტურშიც ბოლო წუთებზე დაკარგა სამი ქულა, ეს ყველაფერი ცუდის მომასწავებელია.

არადა, **მირკო სლომკას** გუნდს უნდა მოეგო. **კევინ კურანიმ** და კომპანიამ მეორე ტაიმში უამრავი მომენტი შექმნეს, მაგრამ შესანიშნავად თამაშობდა ადლერი, რომელმაც არაერთი მკვდარი ბურთი მოიგერია. რაც შეეხება "ლევერკუზენის" გოლს, რომლის ავტორიც **შტეფან კისლინგი** გახდა: ის "ფარმაცევტთა" ერთ-ერთ უიშვიათეს კონტრშეტევას, 85-ე წუთზე მოჰყვა. "ბაიერის" ახალგაზრდა ფორვარდმა ერთმანეთის მიყოლებით ჩამოიშორა სამი მცველი (სამივე მოძრაობაზე დაიჭირა) და ისე გაუტანა **ნოიერს**. "შალკე" შოკშია!

"ვერდერს" ზედიზედ სამი თამაში ჰქონდა წაგებული და მიმომხილველები მიიჩნევდნენ, რომ აუტსაიდერ "გლადბახს" მაინც დაამარცხებდა. მაგრამ გუშინ კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ბრემენული გუნდი კრიზისშია. "მუსიკოსები" ორჯერ უგებდნენ ბოლოადგილოსანს, მაგრამ "ბორუსიამ" ორჯერვე გაათანაბრა. მეორე გოლი შააფის შეგირდებმა სულაც მსაჯის მიერ დამატებულ მე-4 წუთზე (!) გაუშვეს.

შაბათს, **ლუკას პოდოლსკიმ** ბოლოს და ბოლოს გააკეთა ის, რაც ევალება - გაიტანა გოლი (მიმდინარე სეზონში მხოლოდ მეორე). მართალია, თერთმეტმეტრიანით, რომელიც მას თანაგუნდელებმა სამადლოდ დაარტყმევინეს (პენალტისტი **მაკაი** სკამზე იჯდა), მაგრამ მაინც, მთავარია რომ გაიტანა და ესეც არ იყოს, პოლდიმ, "რეალთან" მატჩისგან განსხვავებით, არცთუ ურიგოდ იასპარეზა. ვერ ვიტყვით, რომ "ბაიერნმა" იბრწყინა, მაგრამ დაგეგმილი 3 ქულა კი აიღო და მთავარიც ესაა. მადრიდული მატჩის შემდეგ ბავარიელები თავს რომ არ მოიკლავდნენ, ესეც ცხადი იყო, თუმცა მათ უნიათო თამაშს ვერც ჩემპიონთა ლიგას დავაბრალებთ. ჰოდა, მოდი, ასე ვთქვათ: "ბაიერნმა" ითამაშა ისე, როგორც ბუნდესლიგაში თამაშობს ხოლმე, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ქულები სულელურად ალარ დაკარგა. ვოლფსბურგელები რეკორდმაისტერის წინაალმდეგ, სადაც **ოტმარ ჰიტცფელდმა** სასტარტო შემადგენლობაში ორი ახალგაზრდა, **ანდრეას გიორლიტცი** და **კრისტიან ლელი** ათამაშა, გულიანად კი იბრძოდნენ, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. "მგლებმა" ჰიტცფელდის გუნდს სერიოზული პრობლემები მხოლოდ პირველ 10 წუთში შეუქმნეს, როცა **ოლივერ კანმა** ჯერ **მარსელინიოს** საჯარიმო დარტყმის დროს იხსნა თავისიანები, მერე კი **მადლუნგსაც** აუღო თავური დარტყმა. ამის შემდეგ ბურთი და მოედანი მთლიანად მასპინძლებს დარჩათ.

25-ე წუთზე "ვოლფსბურგის" საჯარიმოში **პისარომ** და მადლუნგმა ბურთისთვის იბრძოლეს, ამ უკანასკნელმა კი პერუელი თავდამსხმელის წინააღმდეგ თამაშის წესები დაარღვია და პენალტით დაისაჯა. როგორც ზემოთაც გითხარით, თერთმეტმეტრიანი პოდოლსკიმ აქცია გოლად და "ბაიერნი" წინ გაიყვანა. **კლაუს აუგენტალერის** შეგირდებს 44-ე წუთზე შეეძლოთ წონასწორობის აღდგენა, როცა **მაიკ ჰანკეს** დარტყმის შემდეგ ბურთი კანის კარის ძელს მოხვდა, იქიდან კი **დიეგო კლიმოვიჩს** მიუვიდა, რომელმაც წამით ჩათვლიმა და როცა გამოფხიზლდა, ბურთი უკვე აღარ ჰქონდა, რადგან გიორლიტცმა აართვა. მიუნხენელთა მეორე გოლის ავტორი კი **მარკ ვან ბომელი** გახლავთ, რომელმაც 54-ე წუთზე **შვაინშტაიგერის** პასით 19 მეტრიდან იხეირა. ჰოლანდიელმა გოლი ისევ მუშტების ქნევით იზეიმა, ოღონდ ამჯერად უხამსი ჟესტი აღარ გაუკეთებია (სად "ვოლფსბურგი" და სად "რეალი"?!).

"ვოლფებმა" 79-ე წუთზე ერთი ბურთი გაქვითეს (**ბოაკის** დარტყმის შემდეგ ბურთი ლელს მოხვდა და **მაკიადის** მიუვიდა, რომელმაც მყისვე გაუტანა კანს), მაგრამ მეტი ველარაფერი მოახერხეს. საფინალო სასტვენის შემდეგ კი პოდოლსკიმ ასეთი რამ თქვა: *"ვიცი, რომ "რეალთან" საშინლად ვითამაშე. სამაგიეროდ, დღეს კარგად გამოვიყურებოდი და მგონი, ამაში ყველა დამეთანხმება."* მართალია, მაგრამ ისევ და ისევ: სად "რეალი" და სად "ვოლფსბურგი"...

პარასკევს საგოლე მანქანა სახელად "შტუტგარტი" მოულოდნელად გაჩერდა. "აინტრახტისა" (4:0) და "ვერდერის" (4:1) განადგურების შემდეგ, შვაბებმა საკუთარ მოედანზე ბერლინის "ჰერტას" ვერ მოუგეს (0:0), რაც იმას ნიშნავს, რომ **არმინ ფეჰის** გუნდმა ზედიზედ შვიდი საშინაო გამარჯვების შემდეგ "გოტლიბდაიმლერშტადიონზე" პირველად დაკარგა ქულები. შესაძლოა, ეს იმის ბრალი იყო, რომ ფეჰი პატარებს ენდო - "შტუტგარტმა" არსებობის მანძილზე ყველაზე ახალგაზრდა გუნდით იასპარეზა - შვაბთა სასტარტო შემადგენლობის საშუალო ასაკი 23 წელი გახლდათ. მაგალითად, "ზებრები" **და სილვა** (28 წლის, ტრავმა) და **პაველ პარდო** (30 წლის, დისკვალიფიკაცია), **გენტნერმა** (21) და **ხედირამ** (19) შეცვალეს. მოედანი უგოლოდ დატოვა ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონის საუკეთესო ბომბარდირმა **მარიო გომესმაც**.

98 დღე - აი, ამდენ ხანს იმყოფებოდა "ჰამბურგი" გასავარდნ ზონაში. შაბათის შემდეგ კი პირველ წრეში განამებული HSV სამშვიდობოსაა, რადგან **ჰუუბ სტევენსთან** ერთად ამ გუნდმა ოთხი თამაშიდან სამი მოიგო. ჩრდილოელებმა ამჯერად ფრანკფურტის "აინტრახტი" დაამარცხეს. პარადოქსია ის, რომ "ჰამბურგმა" თითქმის ვერ დაჯაბნა **ფრიდჰელმ ფუნკელის** გუნდი, სამაგიეროდ ფორტუნა სტევენსის სამწყოსკენ იყო. მატჩის შემდეგ, იმ დროს, როცა "აოელ-არენაზე" შეკრებილი გულშემატკივრები მოგებასა და შავი ზონიდან ამოსვლას ზეიმობდნენ, სტევენსი ბრაზობდა: *"მოვიგეთ, მაგრამ ძალიან ცუდად ვითამაშეთ. ბიჭებისთვის ბევრი რამ მაქვს სათქმელი, თუმცა სახალხოდ არაფერს ვიტყვი, თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე დაველაპარაკები."*

ამბობენ, მხოლოდ ძლიერებსა და ღირსეულებს უმართლებთო - თამაშით ვერა, მაგრამ "ჰამბურგმა" გამარჯვება ბრძოლისუნარიანობის გამო კი ნაღდად დაიმსახურა. ანგარიში მე-7 წუთზე **რაფაელ ვან დერ ვაარტმა** გახსნა. HSV-ს ჰოლანდიელმა ლიდერმა **სანოგოს** ნაქცევისთვის დანიშნული ჯარიმა გაიტანა. ალსანიშნავია, რომ ვან დერ ვაარტს ამ სეზონში სულ 5 გოლი აქვს, აქედან 4-ჯერ ბოლო 3 თამაშში იხეირა. რაფაელი უბრალოდ გრანდიოზული გახლდათ, "ჰამბურგის" თითქმის ყველა შეტევა მისი წამოწყებული იყო, უკანაც ჩადიოდა და ხშირად მცველის ფუნქციებსაც ითავსებდა - მოკლედ, ვან დერ ვაარტი ყველაგან იყო. ფრანკფურტელებმა მეორე ტაიმში წონასწორობა აღადგინეს (59) და აბა გამოიცანით, ვინ გაიტანა? რა თქმა უნდა, **ნაოჰირო ტაკაჰარამ**, ფეხბურთელმა, რომელიც გასულ ზაფხულს "ჰამბურგიდან" გაუშვეს. ასე რომ, იაპონელმა თავისი ყოფილი გუნდის ბოსებზე ჯავრი იყარა. მაგრამ 77-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა **პიოტრ ტროხოვსკიმ** საოცნებო გოლი გაიტანა და HSV ისევ დააწინაურა. "ტროხემ" **ოკა ნიკოლოვის** კარი 16 მეტრიდან დალაშქრა. 83-ე წუთზე სტევენსის შეგირდებს მაგრად გაუმართლათ, როცა აინტრახტელმა **ალექს მაიერმა** 1 მეტრიდან (!) ვერ გაიტანა. წერტილი კი თამაშს, მსაჯის მიერ დამატებულ მე-3 წუთზე, **ივიცა ოლიჩმა** დაუსვა. ხორვატმა ფორვარდმა, რომელიც "ჰამბურგმა" იანვარში მოსკოვის ცსკა-დან 2 მილიონ ევროდ იყიდა, ბუნდესლიგაში თავისი პირველი გოლი შეაგდო.

"ჰანოვერი" უეფას თასის საგზურზე ოცნებას აგრძელებს. **დიტერ ჰეკინგის** გუნდმა შაბათს დორტმუნდის "ბორუსია" მიწასთან გაასწორა: 4:2. ამრიგად, წითლებს ბოლო ოთხ თამაშში 16 (!) გოლი აქვთ გატანილი და საერთოდ, "ჰანოვერმა" მეორე წრეში 6 თამაშიდან 4 მოიგო, 1 ფრედ დაასრულა და მხოლოდ ერთხელ წააგო (ისიც ბრემენში). რაც შეეხება "დორტმუნდს", აქ სათქმელი ბევრი არაფერია. BVB ისევ ამაზრზენად გამოიყურებოდა (2 მოგება და 4 წაგება მეორე წრეში). ალსანიშნავია, რომ 2007 წელს სამივე გასვლით შეხვედრაში "ბორუსიამ" პირველი გოლი პენალტით გაუშვა.

რატომ გაყიდა "ვერდერმა" **მოჰამედ ზიდანი?** ამ კითხვაზე პასუხი თვითონ ბრემენული კლუბის ბოსებმა უნდა გასცენ, რომლებიც აუცილებლად უნდა ნანობდნენ, ეგვიპტელი ფორვარდი "მაინცს" რომ დაუთმეს. **თომას შააფის** მიერ ჩამოწერილ ზიდანს "მაინცში" გოლი გოლზე გააქვს. შაბათს მან "ნიურნბერგს" შეუსრულა დუბლი და მეორე წრეში უკვე 6 გოლი აქვს (ამდენივე თამაშში). და საერთოდ, "მაინცი" მეორე წრის საუკეთესო გუნდია (16 ქულა 6 შეხვედრაში, ბურთების შეფარდება: 10:3). ჰო, მართლა, **ჰანს მაიერის** "ნიურნბერგმა" 11 მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა. ისე კი, ფრანკებმა მიმდინარე სეზონში მხოლოდ და მხოლოდ მე-3 მარცხი ინვნიეს.

### მომდევნო ტური

2 მარტი. შალკე-ჰამბურგი. 3 მარტი. **ჰერტა-ბაიერნი, არმინია-ნიურნბერგი, ლევერკუზენი-შტუტგარტი, ვოლფსბურგი-ბორუსია (მ), აინტრახტი-ჰანოვერი, ვერდერი-ბოხუმი. 4 მარტი. ალემანია-მაინცი, ბორუსია (დ)-კოტბუსი.**

### შტუტგარტი-ჰერტა 0:0

**შტუტგარტი**: ჰილდებრანდი-3.5, ტასკი-3.5, ოსორიო-4, დელპიერი-3.5, მანინი-2, ხედირა-3.5, ჰილბერტი-4, ჰიტცლშპერგერი-4, გენტნერი-4.5 (60. შტრელერი-4), კაკაუ-4 (80. ბოკა), გომესი-4.5.

**ჰერტა**: ფიდლერი-3, ჯ. ბოატენგი-4.5 (77. შორხი), ვან ბურიკი-3, შიმუნიჩი-2.5, ფათი-3, დარდაი-2.5, შმიდტი-3, ებერტი-4.5 (86. ნოიენდორფი), ჟილბერტო-5, ედე-4.5 (63. დეიაგა-5), პანტელიჩი-4.

**გაძევება**: დეიაგა (88. ჰერტა).

**გაფრთხილება**: 2-3; **დარტყმა**: 30-5; **კუთხური**: 6-0; **ჯარიმა**: 22-19; **ბურთის ფლობა**: 57%-43%.

**მაყურებელი**: 42 000.

### ბაიერნი-ვოლფსბურგი 2:1

**ბაიერნი**: კანი-2.5, სალიჰამიჯიჩი-3.5, ლუსიო-3, ლელი-4, ლამი-3.5, გიორლიტცი-2.5 (73. შოლი), ვან ბომელი-2.5, ჰარგრივსი-4, შვაინშტაიგერი-3.5 (92. ოტლი), პისარო-2.5, პოდოლსკი-3 (73. მაკაი).

**ვოლფსბურგი**: იენტცში-3, კიროგა-4, მადლუნგი-4.5 (46. მიორლე-4), ჰოფლანდი-3.5, შტეგმაიერი-4.5, ვან დერ ლეეგტე-4, მაკიადი-3.5, კრჟინოვეკი-4, მარსელინიო-4.5 (72. სანტანა), ჰანკე-3.5, კლიმოვიჩი-5 (76. ბოაკი).

**გოლები**: 1:0 პოდოლსკი (26-პენ), 2:0 ვან ბომელი (54), 2:1 მაკიადი (79).

**გაფრთხილება**: 2-4; **დარტყმა**: 19-10; **კუთხური**: 3-2; **ჯარიმა**: 17-23; **ბურთის ფლობა**: 61%-39%.

**მაყურებელი**: 69 000.

### მაინცი-ნიურნბერგი 2:1

**მაინცი**: ვახე-2.5, დემირტასი-3, მ. ფრიდრიხი-2.5, ნოვესკი-3, როზე-3.5, გერბერი-3, ანდრეასენი-4, აზაუაგი-3.5, სოტო-3.5 (40. ფოილნერი-4.5), ზიდანი-2 (77. ჟაბიში), რუმანი-3.5 (70. იოვანოვიჩი-3.5).

**ნიურნბერგი**: შეფერი-3.5, დ. რაინჰარდტი-4, ვოლფი-3.5, ბოშამი-5 (46. სიბონი-4), პინოლა-3.5, გალაშეკი-3.5 (86. კრისტიანსენი), პოლაკი-4, გრეშკო-3.5, ვიტეკი-3.5, შროთი-4.5, საენკო-4.

**გოლები**: 1:0 ზიდანი (20), 2:0 ზიდანი (27), 2:1 საენკო (64).

**გაძევება**: ანდრეასენი (85. მაინცი).

**გაფრთხილება**: 2-3; **დარტყმა**: 11-16; **კუთხური**: 2-6; **ჯარიმა**: 25-16; **ბურთის ფლობა**: 32%-68%.

**მაყურებელი**: 20 300.

### ჰანოვერი-ბორუსია (დ) 4:2

**ჰანოვერი**: ენკე-2.5, ჩერუნდოლო-2.5, ვინიციუსი-4, ჟურავი-3.5, ტარნატი-3, ბალიტში-4, ლალა-3.5, როზენტალი-4 (67. შტაინერი-1.5), იანკოვი-3 (67. ბრუგინკი-1), ჰუშტი-2 (73. შრიოტერი), ჰაშემიანი-4.

**ბორუსია (დ)**: ვაიდენფელერი-4, ფ. დეგენი-3.5, ამედიკი-3.5, მეტცელდერი-4.5, კრინგე-4, ტინგა-4, რიკენი-4, ნ. შაჰინი-4 (81. კრუსკა), ფრაი-3.5 (71. საკა), სმოლიარეკი-3, ვალდესი-5.5.

**გოლები**: 1:0 ჰუშტი (56-პენ), 2:0 შტაინერი (69), 3:0 ბრუგინკი (76), 4:0 ბრუგინკი (78), 4:1 სმოლიარეკი (87), 4:2 კრინგე (91).

**გაძევება**: ვალდესი (58. ბორუსია).

**გაფრთხილება**: 2-2; **დარტყმა**: 14-6; **კუთხური**: 3-0; **ჯარიმა**: 18-16; **ბურთის ფლობა**: 57%-43%.

**მაყურებელი**: 43 852.

### ჰამბურგი-აინტრახტი 3:1

**ჰამბურგი**: ფ. როსტი-3.5, აბელი-3.5, ბ. რაინჰარდტი-4, მატიისენი-4.5, ატუბა-3.5, იაროლიმი-4, ლაასი-3, მაჰდავიკია-4 (76. ბენ-ჰატირა), სორინი-4 (64. ტროხოვსკი-2.5), ვან დერ ვაარტი-2, სანოგო-4.5 (62. ოლიჩი-3).

**აინტრახტი**: ნიკოლოვი-3.5, პროისი-4.5, კირიაკოსი-3, რუსი-4, ოხსი-3.5, შტრაიტი-3.5, ვაისენბერგერი-4 (66. ა. მაიერი-4), ფინკი-4 (87. კრისი), კიოლერი-4, ტაკაჰარა-3, ჰელერი-5 (56. თურკი-4).

**გოლები**: 1:0 ვან დერ ვაარტი (7), 1:1 ტაკაჰარა (59), 2:1 ტროხოვსკი (77), 3:1 ოლიჩი (93).

**გაფრთხილება**: 0-2; **დარტყმა**: 10-12; **კუთხური**: 5-6; **ჯარიმა**: 24-17; **ბურთის ფლობა**: 54%-46%.

**მაყურებელი**: 57 000.

### კოტბუსი-არმინია 2:1

**კოტბუსი**: პიპლიცა-3, ჟელესი-3.5, მაკენა-4.5, კუკიელკა-3, კვიტანოვიჩი-3.5, ტ. როსტი-3.5, კიუნტცელი-4 (46. ბაუმგარტი-3), გუნკელი-4 (46. შაო-2.5), მუნტეანუ-5 (84. ბანდროვსკი), კიოიო-3.5, რადუ-2.5.

**არმინია**: ჰაინი-4.5, კორზინიტცი-4, ბოლმანი-3, გაბრიელი-3.5, შულერი-5, კუჩერა-4, ტ. მარქსი-4 (82. მასმანიდისი), კომპერი-4.5 (69. ზუმა-4), ბიომე-2.5, ვიხნიარეკი-5, აიგლერი-3.5 (43. ვატა-3.5).

**გოლები**: 0:1 გაბრიელი (15), 1:1 კუკიელკა (62), 2:1 რადუ (66).

**გაფრთხილება**: 3-2; **დარტყმა**: 15-13; **კუთხური**: 6-5; **ჯარიმა**: 13-16; **ბურთის ფლობა**: 54%-46%.

**მაყურებელი**: 12 227.

### ბოხუმი-ალემანია 2:2

**ბოხუმი**: დრობნი-4.5, შრიოდერი-4, მალტრიტცი-5, იაია-4, ბიონიგი-4, ეპალე-3.5 (80. იბიშევიჩი), დაბროვსკი-4 (61. ბეხმანი-4), ცდებელი-3.5, ტროიანი-4, მიშიმოვიჩი-4, გეკასი-3.

**ალემანია**: შტრაუბი-3, შტელე-4, ჰერციგი-4.5, კლიტცპერა-3.5, ლეივაკაბესი-4, მ. ლემანი-3.5, პლასჰენრიხი-4, რეგეკამპფი-4.5 (90. პინტუ), შლაუდრაფი-5 (46. დუმი-3.5), რიოსლერი-3, იბიშევიჩი-3 (81. ფილი).

**გოლები**: 1:0 გეკასი (25), 1:1 იბიშევიჩი (34), 2:1 ეპალე (52), 2:2 მ. ლემანი (57).

**გაფრთხილება**: 1-0; **დარტყმა**: 11-13; **კუთხური**: 5-1; **ჯარიმა**: 16-10; **ბურთის ფლობა**: 62%-38%.

**მაყურებელი**: 21 350.

### ბორუსია (მ)-ვერდერი 2:2

**ბორუსია (მ)**: კელერი-3.5, ბიოგელუნდი-4.5 (85. დ. დეგენი), ბ. სვენსონი-4 (68. სფერდი-3.5), ზე ანტონიო-4, ელ ფაკირი-4.5, გოჰური-3, კლუგე-3 (79. კომპერი), იანსენი-2.5, დელურა-3, ინსუა-4, რაფაელი-3.

**ვერდერი**: ვიზე-2.5, ნიმაიერი-4.5, ნალდო-3, მერტეზაკერი-3.5 (81. პასანენი), ვომე-2.5, ფრინგსი-3, დ. იენსენი-4, ბოროვსკი-3.5 (49. ვრანიეში-3), დიეგო-3, კლოზე-5, ალმეიდა-5 (56. ჰანტი-4).

**გოლები**: 0:1 ვომე (11), 1:1 დელურა (18), 1:2 ვრანიეში (84), 2:2 რაფაელი (94).

**გაფრთხილება**: 3-1; **დარტყმა**: 13-13; **კუთხური**: 4-8; **ჯარიმა**: 27-23; **ბურთის ფლობა**: 37%-63%.

**მაყურებელი**: 50 644.

### შალკე-ლევერკუზენი 0:1

**შალკე**: ნოიერი-3, რაფინია-3, ბორდონი-3.5, კრსტაიჩი-2.5 (68. ჰოოგლანდი-3), როდრიგესი-3.5, ფ. ერნსტი-3.5, ბაირამოვიჩი-3, ლინკოლნი-3.5, ჰამით ალთინთოპი-4.5 (72. იოზილი), ჰალილ ალთინთოპი-3.5 (87. ერვიგი), კურანი-3.5.

**ლევერკუზენი**: ადლერი-1, კასტრო-3.5, ჟუანი-3, ჰაგი-2.5, ბაბიჩი-4, რამელოვი-3.5, როლფესი-3.5, ფრაიერი-5 (72. კისლინგი), ბ. შნაიდერი-2.5, ბარნეტა-4 (93. შვეგლერი), ბარბარესი-5.

**გოლი**: 0:1 კისლინგი (85).

**გაძევება**: ლინკოლნი (93. შალკე).

**გაფრთხილება**: 2-4; **დარტყმა**: 21-7; **კუთხური**: 9-4; **ჯარიმა**: 20-19; **ბურთის ფლობა**: 47%-53%.

**მაყურებელი**: 61 482.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შალკე | 23 | 15 | 4 | 4 | 40-22 | 49 |
| 2. შტუტგარტი | 23 | 13 | 6 | 4 | 41-26 | 45 |
| 3. ვერდერი | 23 | 13 | 4 | 6 | 55-32 | 43 |
| 4. ბაიერნი | 23 | 12 | 4 | 7 | 35-27 | 40 |
| 5. ნიურნბერგი | 23 | 8 | 12 | 3 | 32-19 | 36 |
| 6. ჰერტა | 23 | 9 | 7 | 7 | 33-35 | 34 |
| 7. ჰანოვერი | 23 | 9 | 6 | 8 | 32-34 | 33 |
| 8. ლევერკუზენი | 23 | 9 | 5 | 9 | 36-34 | 32 |
| 9. ბორუსია (დ) | 23 | 7 | 7 | 9 | 27-32 | 28 |
| 10. მაინცი | 23 | 6 | 9 | 8 | 21-33 | 27 |
| 11. კოტბუსი | 23 | 6 | 7 | 10 | 25-32 | 25 |
| 12. ვოლფსბურგი | 23 | 5 | 10 | 8 | 23-28 | 25 |
| 13. ჰამბურგი | 23 | 4 | 12 | 7 | 27-27 | 24 |
| 14. ალემანია | 23 | 6 | 6 | 11 | 35-44 | 24 |
| 15. ბოხუმი | 23 | 6 | 6 | 11 | 27-36 | 24 |
| 16. არმინია | 23 | 5 | 8 | 10 | 28-31 | 23 |
| 17. აინტრახტი | 23 | 4 | 11 | 8 | 28-42 | 23 |
| 18. ბორუსია (მ) | 23 | 5 | 6 | 12 | 18-29 | 21 |

**ბომბარდირები**: 13 - გომესი (შტუტგარტი); 11 - კურანი (შალკე), კლოზე (ვერდერი), პანტელიჩი (ჰერტა), მაკაი (ბაიერნი); 10 - გეკასი (ბოხუმი); 9 - ფრაი (ბორუსია დ), დიეგო (ვერდერი), რადუ (კოტბუსი), საენკო (ნიურნბერგი); 8 - ტაკაჰარა (აინტრახტი), ჰანკე (ვოლფსბურგი); 7 - მუნტეანუ (კოტბუსი), კაკაუ (შტუტგარტი), ზიდანი (მაინცი).

### II ბუნდესლიგა

XXIII ტური

**ბრაუნშვაიგი-ესენი 0:1**

**გოლი**: 0:1 ლორენცონი (8)

**კარლ ცაისი-მიუნხენი 3:1**

**გოლები**: 1:0 ტაპალოვიჩი (7), 2:0 აშვეთია (9), 3:0 აშვეთია (11), 3:1 ვუჩიჩევიჩი (76)

**ოფენბახი-კობლენცი 2:3**

**გოლები**: 0:1 სუკალო (6), 1:1 ტოპმიოლერი (13), 2:1 ტურკერი (32), 2:2 სუკალო (35), 2:3 სუკალო (45)

**აუგსბურგი-კარლსრუე 3:1**

**გოლები**: 1:0 შტრაუსი (21), 2:0 ტაინერტი (33), 2:1 კაპლანი (66), 3:1 მიოლცლი (75)

**ფრაიბურგი-აუე 5:4**

**გოლები**: 0:1 იუსკოვიაკი (15), 1:1 პიტროიპა (34), 1:2 კლინკა (41), 2:2 იაშვილი (49-პენ), 3:2 ანტარი (51), 3:3 რანგელოვი (65), 4:3 პიტროიპა (76), 4:4 იუსკოვიაკი (81-პენ), 5:4 ბენჩიკი (85)

**კაიზერსლაუტერნი-უნტერჰახინგი 4:0**

**გოლები**: 1:0 ციმერი (4), 2:0 მაისნერი (24), 3:0 მაისნერი (39), 4:0 ბოლი (40)

**კიოლნი-პადერბორნი 1:1**

**გოლები**: 0:1 გრაეფი (18), 1:1 ჰელმესი (25)

**ბურგჰაუზენი-ფიურტი 3:4**

**გოლები**: 0:1 ფუხსი (36), 0:2 ტიმი (38), 1:2 ბურკხარდტი (51), 1:3 ტიმი (60), 2:3 კრეისი (71), 2:4 ფუხსი (80), 3:4 აიგნერი (87)

**დუისბურგი-ჰანზა** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კარლსრუე | 23 | 14 | 6 | 3 | 50-25 | 48 |
| 2. დუისბურგი | 22 | 11 | 10 | 1 | 42-23 | 43 |
| 3. ჰანზა | 22 | 11 | 9 | 2 | 34-18 | 42 |
| 4. კაიზერი | 23 | 10 | 10 | 3 | 32-18 | 40 |
| 5. აუე | 23 | 11 | 3 | 9 | 37-33 | 36 |
| 6. ფრაიბურგი | 23 | 9 | 8 | 6 | 31-29 | 35 |
| 7. ფიურტი | 23 | 9 | 6 | 8 | 35-28 | 33 |
| 8. აუგსბურგი | 23 | 8 | 9 | 6 | 25-21 | 33 |
| 9. მიუნხენი | 23 | 9 | 5 | 9 | 32-34 | 32 |
| 10. კიოლნი | 23 | 8 | 7 | 8 | 31-32 | 31 |
| 11. კობლენცი | 23 | 7 | 7 | 9 | 24-30 | 28 |
| 12. ოფენბახი | 23 | 8 | 4 | 11 | 29-36 | 28 |
| 13. პადერბორნი | 23 | 6 | 9 | 8 | 18-21 | 27 |
| 14. კარლ ცაისი | 23 | 6 | 7 | 10 | 26-39 | 25 |
| 15. უნტერჰახინგი | 23 | 5 | 7 | 11 | 21-29 | 22 |
| 16. ესენი | 23 | 5 | 6 | 12 | 22-27 | 21 |
| 17. ბურგჰაუზენი | 23 | 4 | 6 | 13 | 23-47 | 18 |
| 18. ბრაუნშვაიგი | 23 | 2 | 7 | 14 | 11-33 | 13 |

**ბომბარდირები**: 13 - ფედერიკო (კარლსრუე); 12 - კაპლანი (კარლსრუე); 11 - ტურკერი (ოფენბახი); 10 - კერნი (ჰანზა); 9 - შერცი (კიოლნი), ტიმი (ფიურტი), ლოური (აუგსბურგი), ლავრიჩი (დუისბურგი), ვუჩიჩევიჩი (მიუნხენი); 8 - ჰელმესი (კიოლნი), ანტარი (ფრაიბურგი), კლინკა (აუე).

### რეგიონალლიგა (ჩრ)

XXIII ტური

**ვუპერტალი-გლადბახი II 0:3; უნიონი-ლევერკუზენი II 4:0; დინამო (დ)-ოსნაბრიუკი 0:1; დორტმუნდი II-კილი 2:0; ჰერტა II-ემდენი 0:1; ლიუბეკი-ჰამბურგი II 1:4; მაგდებურგი-ალენი 0:2; ერფურტი-ფორტუნა 1:1; ვერდერი II-სტ.პაული გადაიდო.**

### რეგიონალლიგა (სამ)

XXI ტური

**კაიზერი II-ვეენი 0:0; კარლსრუე II-მიუნხენი II 2:1; პფიულენდორფი-ზიგენი 1:1; შტუტგარტი II-შტ.კიკერსი 1:0; დარმშტადტი-როიტლინგენი 2:2; ელვერსბერგი-ჰოფენჰაიმი 1:4; ინგოლშტადტი-პირმასენსი 3:1; აალენი-კასელი 0:2; ბაიერნი II-ზააბრიუკენი 0:0.**

ფეხბურთი

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXIV ტური

# ბარსელონა წინ გაიჭრა

## სამუელ ეტოომ ძირითად შემადგენლობაში დაბრუნება გოლით აღნიშნა




ეტომ დაბრუნება გოლით აღნიშნა

ტურის ცენტრალურ მატჩს "ვისენტე კალდერონმა" უმასპინძლა. მადრიდული დერბი ესპანური ფეხბურთის კლასიკადაა მიჩნეული. დედაქალაქური კლუბები პრინციპულ დაპირისპირებას განსხვავებული განწყობით შეხვდნენ. წინა ტურში "სევილიასთან" განცდილი წარუმატებლობის მიუხედავად, "ატლეტიკოს" ოპტიმიზმისთვის უფრო მეტი საფუძველი ჰქონდა. მოგეხსენებათ, "რეალმა" "ბაიერნთან" საჩემპიონთალიგო დაპირისპირებაში არცთუ სახარბიელო შედეგს მიაღწია. ესპანელებმა 3:2 გაიმარჯვეს. განმეორებით ორთაბრძოლაში მიუნხენელებს ერთი უპასუხო გოლიც კი ეყოფათ. ამ უსიამოვნო საღამოს "სანტიაგო ბერნაბეუზე" "ბეტისთან" დაკარგული ორი ქულა უძღოდა. ყველაფერს ისიც ერთვოდა, რომ საზოგადოებაში **ფაბიო კაპელოს** გადადგომასთან დაკავშირებით ჭორები ვრცელდებოდა. მართალია, იტალიელი სპეციალისტი ჯერჯერობით არსად წასულა, მაგრამ ფაქტია, შექმნილმა აურზაურმა სამეფო კლუბს ძალიან ცუდი სამსახური გაუწია. შედეგმაც არ დაახანა. "ვისენტე კალდერონზე" გამართულმა პაექრობამ "ატლეტიკოს" სრული უპირატესობით ჩაიარა...

მასპინძლები თამაშს ისე მოეკიდნენ, თითქოს სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ფინალს ატარებდნენ. **ხავიერ აგირეს** ბიჭებმა მოწინააღმდეგეები პირველივე წუთიდან პრესინგში მოაქციეს. "რეალი" ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. სტუმრებმა მატჩის სადებიუტო მონაკვეთში რამდენიმე მიუტევებელი შეცდომა დაუშვეს, რაც მათ გაშვებულ გოლად დაუჯდათ. **გალეტიმ** მწვავე კონტრშეტევა წამოიწყო. არგენტინელმა ეფექტური პასით **ფერნანდო ტორესი** ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა. "ელ ნინიომ" კი შანსი ხელიდან არ გაუშვა და ოსტატური მოჭრილი დარტყმით ანგარიში გახსნა. ზუსტად სამ წუთში **იკერ კასილიასის კარი პერეამაც** დალაშქრა, მაგრამ გვერდითმა არბიტრმა გაუგებარი გადაწყვეტილება მიიღო და ალამი ააფრიალა. მთავარმა მსაჯმა გოლი ისე გააუქმა, კოლეგის ნამოქმედარში ეჭვიც არ შეუტანია. კაპელოს შეგირდები იმდენად დაბნეულები იყვნენ, რომ "ატლეტიკოს" საჯარიმო მოედანთან მიახლოებასაც ვერ ახერხებდნენ. 25 წუთი ისე გაილია, სტუმრებს **ლეო ფრანკო** არ დაუნახავთ. არგენტინელი გოლკიპერი პირველად თანამემამულე **გონსალო იგუაინმა** შეაწუხა. ახალგაზრდა სამხრეთამერიკელმა კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთის კარში გადაგზავნა სცადა, მაგრამ არ გაუმართლა. შესვენების მოახლოებასთან ერთად, "როხიბლანკომ" ტემპი დააგდო. აგირეს ეს ტაქტიკური ჩანაფიქრი სულაც არ არის გასაკვირი. მასპინძლები იგებდნენ და თამაშის გამწვავება არ სჭირდებოდათ.

აი, მეორე ტაიმის დებიუტი კი "ატლეტიკოს" სრული ჰეგემონიით აღინიშნა. მათ ოდნავ მეტად რომ გამართლებოდათ, ანგარიშს ორამდე გაზრდიდნენ. აგირეს ბიჭებმა შუა ხაზში დამთრგუნველი უპირატესობა მოიპოვეს. **დევიდ ბექჰემი** თამაშს დისკვალიფიკაციის გამო დააკლდა. ინგლისელის გარეშე დარჩენილი "რეალის" ნახევარდაცვა საოცრად უსუსურად გამოიყურებოდა. ყოველივე ამის შემხედვარე ადამიანისთვის წარმოუდგენელი იქნებოდა იმაზე ფიქრი, რომ სამეფო კლუბი წონასწორობის აღდგენას შეძლებდა, თუმცა მოვლენები სწორედ ასე განვითარდა. ფაბიო კაპელომ ხანგრძლივი დროით მოკვეთილი **ანტონიო კასანო** შეცვლაზე შეუშვა. იტალიელმა ფორვარდმა ცოტა ხანში იგუაინი ფანტასტიკური პასით დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა. გონსალო მცველს დაუსხლტა და "რეალის" მაისურით პირველი გოლი გაიტანა. საფინალო სასტვენამდე დარჩენილ დროში, კვლავ "ატლეტიკო" დომინირებდა, მაგრამ მასპინძლებმა კასილიასის კარს გასალები ვეღარ მოუნახეს.

სამწუხაროდ, შეხვედრამ უსიამოვნო ინციდენტის გარეშე არ ჩაიარა. მას შემდეგ, რაც ფერნანდო ტორესმა ანგარიში გახსნა, დედაქალაქური კლუბების გულშემატკივართა შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა. მატჩის დასრულების შემდეგ კი ინჩასებმა ხელჩართული ჩხუბი გამართეს. 20-მა ადამიანმა სხვადასხვა სიმძიმის ტრავმა მიიღო. სამი გულშემატკივარი იმდენად სერიოზულად დაშავდა, რომ საავადმყოფოში გადასაყვანი შეიქნა.

კაპელოს ამ ინციდენტზე ყურადღება არ გაუმახვილებია. მან მხოლოდ სამატჩო პერიპეტიებზე ისაუბრა: *"ვფიქრობ, შედეგი სრულიად სამართლიანია. მართალია, "ატლეტიკო" უპირატესობას ფლობდა, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ რამდენიმე დღის წინ ჩემპიონთა ლიგის რთული დაპირისპირება გავმართეთ. ამის გათვალისწინებით, საკმაოდ კარგად გამოვიყურებოდით. ბიჭების თამაშით კმაყოფილი ვარ. ისინი დაკისრებულ მოვალეობებს ღირსეულად გაუმკლავდნენ. "ვისენტე კალდერონზე" ერთი ქულის მოპოვება ურიგო საქმე არ არის, რადგან აქ თამაში ყველას ძალიან უჭირს. ამასთან, დედაქალაქური დერბის სპეციფიკასაც უნდა გაესვას ხაზი."*

რაც შეეხება აგირეს, ის, რა თქმა უნდა, უკმაყოფილო გახლდათ: *"იმდენად დიდ უპირატესობას ვფლობდით, რომ ფრე საშინელ შედეგად მიმაჩნია. უბრალოდ, ფატალურად არ გაგვიმართლა. გარდა ამისა, მსაჯიც ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებდა. არბიტრების გაკრიტიკება არ მიყვარს, მაგრამ ზოგჯერ მათი საქციელი ყოველგვარ ზღვარს სცილდება. გაუგებარია, პერეას გოლი რატომ არ ჩაგვითვალეს."რეალი" მრავალი პრობლემის მიუხედავად, მსოფლიო ფეხბურთის უდიდეს გრანდად რჩება. ერთი შეხედვით, ფრე ცუდი შედეგი არ არის, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ჩვენ გამარჯვებას ვიმსახურებდით."*

როგორც ჩანს, "სოსიედადს" პრიმერა დივიზიონთან გამომშვიდობება მოუწევს. სანსებასტიანელებმა მშობლიურ "ანოეტაზე" მორიგი უსახური შეხვედრა ჩაატარეს და კიდევ ერთი მარცხი იგემეს. "დეპორტივოს" უმნიშვნელოვანესი სამი ქულა **არისმენდის** გოლმა მოუტანა. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წამით ადრე **ტაბორდას** ბურთი ხელზე შეეხო. ბასკები **ტურიენსო ალვარესს** ამაოდ სთხოვდნენ, გოლი გაეუქმებინა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მასპინძლები წონასწორობის აღდგენას შეტევის გაძლიერებით შეეცადნენ. მათ რამდენიმე კარგი მომენტიც შექმნეს, მაგრამ ეს ძალისხმევა გოლის გასატანად საკმარისი არ აღმოჩნდა. "დეპორტივოს" საოცრად უმართლებს. გეცოდინებათ, რომ ლაკორუნიელებს 2007 წელს ერთი შეხვედრაც არ წაუგიათ. ბოლოს ისინი 11 ტურის წინ დამარცხდნენ.

**ფუენტესის** მიერ 90-ე წუთზე გატანილმა გოლმა **მანუელ პელეგრინის** "ვილიარეალში" მუშაობის გაგრძელების საშუალება მისცა. შეგახსენებთ, რამდენიმე თვის წინ პრეზიდენტმა **ფრანსისკო როიგმა** ჩილელ სპეციალისტს კონტრაქტი ერთი წლით გაუხანგრძლივა. თუმცა მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა და "ყვითლების" დამრიგებელს სერიოზული პრობლემები დაემუქრა. პელეგრინის ახლა მუდმივად ბეწვის ხიდზე სიარული უწევს. მან ყოველ ტურში უნდა დაამტკიცოს, რომ "ელ მადრიგალზე" მუშაობას იმსახურებს. სენიორ მაურისიოს ამჯერადაც სერიოზული ნერვიულობა მოუხდა. ანგარიში "მალიორკამ" გახსნა. 26-ე წუთზე კუნძულელებმა კუთხური ჩამოაწოდეს. **ბარბოსამ** გამოსვლაზე ბრიყვული შეცდომა დაუშვა. **პერეირამ** საჩუქარი შეირგო და ბურთი ბადეში შეაგორა. "ყვითლები" შოკში აღმოჩნდნენ. მათ ძალიან გაუმართლათ, რადგან მომდევნო ხუთი წუთის განმავლობაში "მალიორკას" კიდევ ორი გოლის გატანის შესაძლებლობა ჰქონდა. მასპინძლები მიხვდნენ, რომ ინერტულობით საქმეს ვერ უშველიდნენ. პელეგრინის მითითებით შეტევა გააძლიერეს და მალე სასურველ შედეგსაც მიაღწიეს. 38-ე წუთზე **იონ დალ ტომასონმა მატიას ფერნანდესის** მიერ წამოწყებული იერიში მიიყვანა ლოგიკურ დასასრულამდე.

მეორე ტაიმმა ორივე გუნდში არსებული პრობლემები ნათლად გამოააშკარავა. ყველაზე მეტად გულშემატკივრები დაიჩაგრნენ, რადგან მათ მეტისმეტად მოსაწყენი და მომაბეზრებელი ფეხბურთი იხილეს. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, პელეგრინი პრეზიდენტთან უსიამოვნო საუბრისგან 90-ე წუთზე გატანილმა გოლმა იხსნა. ყველას ესმის, რომ ეს დროებითი მოვლენაა. "ვილიარეალი" ალბათ სადმე კვლავ წაიფორხილებს და ჩილელ მწვრთნელს ფრანსისკო როიგის კაბინეტში ატუზვით შესვლა არ ასცდება.

"ხეტაფე" მიმდინარე სეზონში ესპანეთის ჩემპიონატის ლიდერთა მესაფლავის იმიჯით სარგებლობს. "ელ კოლისეუმიდან" სამი ქულის წაღება ვერც "ბარსამ", ვერც "რეალმა" და ახლა უკვე ვერც "სევილიამ" შეძლო. კატალონიურმა და ანდალუსიურმა კლუბებმა ფრეს მიაღწიეს, მადრიდულმა გრანდმა კი გასულ შემოდგომაზე სამარცხვინოდ წააგო. მასპინძლებმა გუშინ მეასე პრიმერადივიზიონური დაპირისპირება გამართეს. გასაკვირი არ არის, რომ **ბერნდ შუსტერის** ბიჭები საიუბილეო თამაშს განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოეკიდნენ. დედაქალაქელებს ძალიან უნდოდათ, გულშემატკივრები მსოფლიოში საუკეთესო რეიტინგის მქონე "სევილიის" დამარცხებით გაეხარებინათ, მაგრამ მათ საგოლე მომენტების გამოყენება ვერ შეძლეს და ფრე იკმარეს. შედეგად მათ "ბარსელონას" ერთპიროვნული ლიდერის პოზიციის მოპოვების შესაძლებლობა მისცეს.

სატურნირო მდგომარეობის გაუმჯობესების ფანტასტიკური შანსი "ვალენსიამაც" ვერ გამოიყენა. როგორც ჩანს, **კიკე სანჩეს ფლორესის** ბიჭები "ბარსელონასა" და "ინტერთან" ბრძოლით ძალიან დაიღალნენ და წყალწაღებულ აუტსაიდერ "ხიმნასტიკს" ქულა აჩუქეს. არადა, ანგარიში სწორედ სტუმრებმა გახსნეს. 62-ე წუთზე **ხოაკინმა** მეკარესთან პირისპირ გასვლით ისარგებლა. ტარაგონელები ფრეს **რუბენ კასტროს** თავურ გოლს უნდა უმადლოდნენ.

ტური "ბარსელონისა" და "ბილბაოს" პაექრობით დასრულდა. **ფრანკ რიიკაარდმა** ტრავმისგან საბოლოოდ განკურნებული **სამუელ ეტოო** ძირითად შემადგენლობაში დააყენა. კამერუნელმა ფორვარდმა დაბრუნება გოლით აღნიშნა. "ლივერპულთან" წაგებით იმედგაცრუებულმა კატალონიელმა გულშემატკივრებმა კი ამჯერად სასიამოვნო მატჩი იხილეს. "ბარსა" "ბილბაოზე" ორი თავით მაღლა იდგა.

### მომდევნო ტური

**3 მარტი. ვალენსია-სელტა, სევილია-ბარსელონა. 4 მარტი. ბილბაო-ხიმნასტიკი, დეპორტივო-ბეტისი, ესპანიოლი-ვილიარეალი, რასინგი-ოსასუნა, სარაგოსა-სოსიედადი, მალიორკა-ლევანტე, რეკრეატივო-ატლეტიკო, რეალი-ხეტაფე.**

### სოსიედადი–დეპორტივო 0:1

**სოსიედადი:** ბრავო, ხერარდო (80. ნოვო), მიკელ გონსალესი, ვიქტორ ლოპესი, ლოპეს რეკარტე, არანბურუ, გარიტანო (75. მიკელ ალონსო), სავიო, ჩაბი პრიეტო, ერერა (75. დიას დე სერიო), კოვაჩევიჩი.

**დეპორტივო:** ავატე, კოლოჩინი, ჟორჟე ანდრადე, ლოპო, კაპდევილა, დე გუსმანი (46. ვერდუ), სერხიო, კრისტიანი (78. ფილიპე), ესტოიანოფი, ტაბორდა (65. ხუან როდრიგესი), არისმენდი.

**გოლი:** 0:1 არისმენდი (28)

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 16(3)-6(1); **კუთხური:** 4-3; **თამაშგარე:** 5-7; **ჯარიმა:** 13-23; **ბურთის ფლობა:** 63%-37%

**მაყურებელი:** 24 424

### ატლეტიკო–რეალი 1:1

**ატლეტიკო:** ლეო ფრანკო, სეიტარიდისი, პერეა, ზე კასტრო, ანტონიო ლოპესი, გალეტი (73. მისტა), მანიშე, ლუქსენი, ხურადო, ფერნანდო ტორესი, აგუერო.

**რეალი:** კასილიასი, მიჩელ სალგადო, კანავარო, ივან ელგერა, მიგელ ტორესი, რეიესი (46. კასანო), გუტი (77. მარსელო), ემერსონი, გახო (55. დიარა), რაული, იგუაინი.

**გოლები:** 1:0 ფერნანდო ტორესი (11), 1:1 იგუაინი (62)

**გაძევება:** კანავარო (84. რეალი)

**გაფრთხილება:** 2-7; **დარტყმა:** 23(7)-6(3); **კუთხური:** 11-3; **თამაშგარე:** 1-2; **ჯარიმა:** 14-28; **ბურთის ფლობა:** 59%-41%

**მაყურებელი:** 45 000

### ბეტისი–რეკრეატივო 0:0

**ბეტისი:** დობლასი, ილიჩი, მელი, ნანო, რომერო, რივერა (54. ფერნანდო), ასუნსაო, ხუანდე, რობერტი (74. დანი), პანკრატი, ჩისკო (54. სობისი).

**რეკრეატივო:** ლოპეს ვალიეხო, მერინო, მარიო, ბეტო, პოლი, კასორლა (67. აიტორი), არსო, ბარბერი, ხუანმა (87. დანი ბაუტისტა), სინამა პონგოლე, უჩე (61. როსუ).

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 17(7)-5(0); **კუთხური:** 5-2; **თამაშგარე:** 3-2; **ჯარიმა:** 22-22; **ბურთის ფლობა:** 57%-43%

**მაყურებელი:** 25 000

### სელტა–რასინგი 2:2

**სელტა:** პინტო, ტამაში, კონტრერასი, ანხელი, ირინეი, უბინია, გუსტავო ლოპესი (71. ნუნიესი), ბამოგო (62. ლეკი), ნენე, ჯონათანი, ბაიანო.

**რასინგი:** ტონიო, პინილიოსი (77. კრისტიან ალვარესი), რუბენი (68. ხუანხო), გარაი, ორიოლი, ვიტოლო, კოლსა, სკალონი, მუნიტისი, ოსკარ სერანო, ჟიგიჩი (90. ფელიპე).

**გოლები:** 1:0 ბაიანო (24-პენ), 2:0 ბამოგო (32), 2:1 მუნიტისი (54), 2:2 კრისტიან ალვარესი (78-პენ)

**გაფრთხილება:** 0-3; **დარტყმა:** 13(7)-15(6); **კუთხური:** 2-7; **თამაშგარე:** 1-4; **ჯარიმა:** 14-15; **ბურთის ფლობა:** 43%-57%

**მაყურებელი:** 28 000

### ხეტაფე–სევილია 0:0

**ხეტაფე:** ლუისი, კონტრა, ალექსისი, ბელენგერი, პარედესი, სელესტინი, მარიო კოტელო, კასკერო, ნაჩო, სოუზა (71. ალბანი), გუისა (88. პაჩონი).

**სევილია:** პალოპი, ჰინკელი, აიტორ ოსიო, ესკუდე, დრაგუტინოვიჩი, პოულსენი, რენატო (70. მარესკა), ხესუს ნავასი, დუდა, კანუტე (59. ჩევანტონი), ლუიშ ფაბიანო (78. კერჟაკოვი).

**გაფრთხილება:** 4-2; **დარტყმა:** 13(4)-17(6); **კუთხური:** 6-8; **თამაშგარე:** 2-0; **ჯარიმა:** 20-21; **ბურთის ფლობა:** 58%-42%

**მაყურებელი:** 21 000

### ლევანტე–სარაგოსა 0:0

**ლევანტე:** მოლინა, დესკარგა, ალექსისი, ხოსე სერანო, ჰარტი, კამაჩო, ტომაზი, ეტიენი (85. რეჯი), კაპო (80. რობერი), სალვა (90+2. დეუ), რიგა.

**სარაგოსა:** სესარი, დიოგო, პიკე, გაბი მილიტო, ხუანფრანი, საპატერი, მოვილია, დ'ალესანდრო, ლაფიტა (74. ოსკარი), ევერტონი, სერხიო გარსია (69. დიეგო მილიტო).

**გაძევება:** დესკარგა (90. ლევანტე)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 14(5)-8(2); **კუთხური:** 10-3; **თამაშგარე:** 3-4; **ჯარიმა:** 13-11; **ბურთის ფლობა:** 46%-54%

**მაყურებელი:** 19 000

### ოსასუნა–ესპანიოლი 0:2

**ოსასუნა:** რიკარდო, ისკიერდო, კუელარი (79. მუნიოსი), მიგელ ფლანიო, კორალესი, პუნიალი, რაულ გარსია, ხუანფრანი, ექტორ ფონტი (67. ხუანლუ), სოლდადო, მილოშევიჩი (54. ვებო).

**ესპანიოლი:** კამენი, ლაკრუსი, ხარკე, ტორეხონი, ჩიკა, ჯონათასი (72. კოსტა), მოისესი, მოა, კორო (79. დავიდ გარსია), ლუის გარსია, ტამუდო (84. პანდიანი).

**გოლები:** 0:1 კორო (12), 0:2 ტამუდო (65)

**გაძევება:** ხარკე (76. ესპანიოლი)

**გაფრთხილება:** 3-1; **დარტყმა:** 11(2)-7(5); **კუთხური:** 11-5; **თამაშგარე:** 7-4; **ჯარიმა:** 19-19; **ბურთის ფლობა:** 57%-43%

**მაყურებელი:** 20 000

### ვილიარეალი–მალიორკა 2:1

**ვილიარეალი:** ბარბოსა (46. ვიერა), ხავი ვენტა, ფუენტესი, სიგანი, ხოსე ენრიკე, ხოსიკო (71. კანი), სენა (73. სომოსა), მარკოსი, მატი ფერნანდესი, ტომასონი, ფორლანი.

**მალიორკა:** პრატსი, ვარელა, ბალესტეროსი, ნუნიესი, ნავარო, ტუნი (70. მაქსი ლოპესი), იბაგასა, იანკოვიჩი (61. ვიქტორი), არანგო, პერეირა (35. ხორდი), იონას გუტიერესი.

**გოლები:** 0:1 პერეირა (25), 1:1 ტომასონი (37), 2:1 ფუენტესი (89)

**გაფრთხილება:** 3-4; **დარტყმა:** 16(6)-12(7); **კუთხური:** 5-2; **თამაშგარე:** 2-3; **ჯარიმა:** 19-21; **ბურთის ფლობა:** 59%-41%

**მაყურებელი:** 30 000

### ხიმნასტიკი–ვალენსია 1:1

**ხიმნასტიკი:** ბრავო, კანელი, სუარეს ჩავასი, დავიდ გარსია, მინგოლ, მორალესი, კუელარი, ჩაბოდი (61. ხენერელო), პორტილიო, ხილი (67. რუბენ კასტრო), პინილია (82. გრანი).

**ვალენსია:** ბუტელი, კურო ტორესი, აიალა, ნავარო, მორეტი, მარჩენა, სილვა, უგო ვიანა (91. პალარდო), ხოაკინი (80. მიგელი), ანგულო (57. მორიენტესი), ვილია.

**გოლები:** 0:1 ხოაკინი (62), 1:1 რუბენ კასტრო (90+1)

**გაფრთხილება:** 6-2; **დარტყმა:** 11(3)-11(5); **კუთხური:** 7-7; **თამაშგარე:** 0-6; **ჯარიმა:** 21-21; **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 25 000

### ბარსელონა–ბილბაო 3:0

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი, ოლეგერი, ტიურამი, პუიოლი, ვან ბრონკჰორსტი, ედმილსონი (82. სილვინიო), ინიესტა, ჩავი, ჟიული (79. სავიოლა), ეტო'ო (67. მესი), რონალდინიო.

**ბილბაო:** არანსუბია, ესპოზიტო, სარიეგი, ამორებიეტა, კასასი, მურილიო (46. ადურისი), ირაოლა (78. ბერგარა), ხავი მარტინესი, იესტე, გაბილონდო, ურსაისი (54. ლორენტე).

**გოლები:** 1:0 ამორებიეტა (22-საკ. კარში), 2:0 ჩავი (29), 3:0 ეტოო (40)

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 15(8)-5(1); **კუთხური:** 9-0; **თამაშგარე:** 3-0; **ჯარიმა:** 13-20; **ბურთის ფლობა:** 66%-34%

**მაყურებელი:** 80 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 24 | 14 | 7 | 3 | 49-20 | 49 |
| 2. სევილია | 24 | 14 | 5 | 5 | 44-22 | 47 |
| 3. ვალენსია | 24 | 13 | 4 | 7 | 35-23 | 43 |
| 4. რეალი | 24 | 13 | 4 | 7 | 31-20 | 43 |
| 5. ატლეტიკო | 24 | 11 | 7 | 6 | 30-21 | 40 |
| 6. სარაგოსა | 24 | 11 | 6 | 7 | 35-24 | 39 |
| 7. რეკრეატივო | 24 | 11 | 4 | 9 | 33-30 | 37 |
| 8. ხეტაფე | 24 | 10 | 6 | 8 | 21-16 | 36 |
| 9. ესპანიოლი | 24 | 9 | 8 | 7 | 26-25 | 35 |
| 10. რასინგი | 24 | 8 | 9 | 7 | 26-29 | 33 |
| 11. დეპორტივო | 24 | 8 | 9 | 7 | 19-25 | 33 |
| 12. ვილიარეალი | 24 | 9 | 5 | 10 | 22-30 | 32 |
| 13. ოსასუნა | 24 | 9 | 3 | 12 | 30-31 | 30 |
| 14. ბეტისი | 24 | 6 | 9 | 9 | 23-28 | 27 |
| 15. ლევანტე | 24 | 6 | 9 | 9 | 21-31 | 27 |
| 16. სელტა | 24 | 6 | 8 | 10 | 26-34 | 26 |
| 17. მალიორკა | 24 | 7 | 5 | 12 | 22-35 | 26 |
| 18. ბილბაო | 24 | 6 | 7 | 11 | 26-34 | 25 |
| 19. სოსიედადი | 24 | 2 | 8 | 14 | 13-31 | 14 |
| 20. ხიმნასტიკი | 24 | 3 | 5 | 16 | 25-48 | 14 |

**ბომბარდირები:** 18 - კანუტე (სევილია); 16 - რონალდინიო (ბარსელონა); 15 - დიეგო მილიტო (სარაგოსა); 11 - ვან ნისტელროი (რეალი); 10 - ვილია (ვალენსია); 9 - მორიენტესი (ვალენსია), ბაიანო (სელტა), ტამუდო (ესპანიოლი); 7 - ფერნანდო ტორესი (ატლეტიკო), ლუიშ ფაბიანო (სევილია).

### II დივიზიონი

XXVI ტური

**კადისი–სალამანკა 2:0**

გოლები: 1:0 ერნანდესი (7), 2:0 პავონი (13)

**რეალი B–ნუმანსია 0:0**

**ტენერიფე–ალავესი 1:2**

გოლები: 0:1 ალოიზი (7), 1:1 ანხელი (71), 1:2 ლუკასი (79)

**ალმერია–კასტელონი 2:1**

გოლები: 0:1 ასასიეტე (13-საკ. კარში), 1:1 კრუსატი (71), 2:1 ფრანსისკო (82)

**ელჩე–ლას პალმასი 2:1**

გოლები: 0:1 მარკესი (2), 1:1 კასასი (29), 2:1 კასასი (73)

**ლორკა–ეხიდო 1:3**

გოლები: 1:0 სანჩესი (18), 1:1 სალასი (29), 1:2 სალასი (60-პენ), 1:3 სალასი (64)

**მალაგა–სპორტინგი 1:1**

გოლები: 0:1 კონგო (4), 1:1 გასკონი (6)

**მურსია–ერკულესი 3:1**

გოლები: 1:0 ალონსო (16), 2:0 ალონსო (62), 2:1 პიტი (65), 3:1 არანდა (88-პენ)

**პონფერადინა–სიუდადი 1:0**

გოლი: 1:0 რაპონი (33)

**ვესინდარიო–ალბასეტე 1:0**

გოლი: 1:0 კარლიტოსი (20)

**ვალიადოლიდი–ხერესი 1:1**

გოლები: 1:0 სისი (35), 1:1 მორენო (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვალიადოლიდი | 26 | 16 | 7 | 3 | 42-20 | 55 |
| 2. მურსია | 26 | 14 | 8 | 4 | 40-27 | 50 |
| 3. ალმერია | 26 | 14 | 5 | 7 | 42-28 | 47 |
| 4. კადისი | 26 | 11 | 9 | 6 | 31-25 | 42 |
| 5. ნუმანსია | 26 | 11 | 8 | 7 | 29-24 | 41 |
| 6. სიუდადი | 26 | 12 | 3 | 11 | 28-26 | 39 |
| 7. ეხიდო | 26 | 10 | 8 | 8 | 32-27 | 38 |
| 8. ხერესი | 26 | 10 | 7 | 9 | 30-23 | 37 |
| 9. ალავესი | 26 | 10 | 7 | 9 | 30-31 | 37 |
| 10. სპორტინგი | 26 | 11 | 3 | 12 | 31-27 | 36 |
| 11. სალამანკა | 26 | 10 | 6 | 10 | 33-30 | 36 |
| 12. ერკულესი | 26 | 10 | 6 | 10 | 30-28 | 36 |
| 13. ელჩე | 26 | 8 | 9 | 9 | 28-30 | 33 |
| 14. ალბასეტე | 26 | 9 | 6 | 11 | 30-33 | 33 |
| 15. მალაგა | 26 | 8 | 8 | 10 | 27-31 | 32 |
| 16. ტენერიფე | 26 | 9 | 5 | 12 | 24-31 | 32 |
| 17. რეალი B | 26 | 8 | 7 | 11 | 29-37 | 31 |
| 18. ლას პალმასი | 26 | 6 | 11 | 9 | 28-32 | 29 |
| 19. კასტელონი | 26 | 7 | 7 | 12 | 22-29 | 28 |
| 21. პონფერადინა | 26 | 7 | 7 | 12 | 22-32 | 28 |
| 20. ლორკა | 26 | 6 | 7 | 13 | 23-35 | 25 |
| 22. ვესინდარიო | 26 | 5 | 4 | 17 | 24-49 | 19 |

## საფრანგეთი

XXVI ტური

### ტულუზა-მარსელი 3:0

**ტულუზა:** დუშე, ებონდო, არიბაჟე, კონგრე, მატიო, დიოზი, ფაბინიო, პაულო სეზარი (90. ბატლი), ემანა, მანსარე (86. ბერგუნუ), ელმანდერი (86. სირიეი).

**მარსელი:** კარასო, ბეიე, ზუბარი, როდრიგესი, ტაივო, კანა, ოლემბე (52. მ'ბამი), ნასრი, რიბერი (68. ნიანგი), პაჟისი (52. მაულიდა), ჯ. სისე.

**გოლები:** 1:0 ელმანდერი (39), 2:0 ელმანდერი (49), 3:0 ემანა (63)

**გაფრთხილება:** 2-0

**მაყურებელი:** 35 000

### ტრუა-ლორიანი 3:0

**ტრუა:** ლე კრომი, ფერეირა, ეზნა იამისი, ი. ფეიე, პესლეი, მატუიდი, ლაშორი, ბარბოსა (88. ჟაზირი), ნივე, გილიოტი (69. იბ. ბანგურა), დანიკი (81. ლაკური).

**ლორიანი:** რე. რიუ, ჟალე, მარშალი, სიანი, მორელი (46. მულეკი), ნამუში, ევოლო (74. ტაედერი), ლე პენი, აბრიელი, საიფი, გინიაკი (57. ბურჰანი).

**გოლები:** 1:0 დინაკი (2), 2:0 გილიოტი (39), 3:0 დანიკი (71)

**გაფრთხილება:**-1-1

**მაყურებელი:** 13 000

### ლე მანი-მონაკო 0:2

**ლე მანი:** ი. პელე, იბ. კამარა, სედრანი, ბასა, კალვე, ლუვიონი (56. ის. ბანგურა), რომარიკი, მაცუი (82. დუიარი), სესენონი, დე მელო, გრაფიტე (70. სამასა).

**მონაკო:** რომა, დოს სანტოსი, ჟივე, ბოლივარი, მოდესტო, მონსორო, დ. პერესი, ლეკო, ი. ტურე (72. პლასილი), კოლერი, პიკიონი (46. კალონი).

**გოლები:** 0:1 პიკიონი (15), 0:2 დ. პერესი (47)

**გაფრთხილება:** 0-2

**მაყურებელი:** 10 388

### ლიონი-სოშო 3:3

**ლიონი:** კუპე, რევეიერი, კრისი, მიულერი (71. აბიდალი), ბერტო, ფაბიო სანტოსი, კლერკი (46. ვილტორი), კალსტრიომი, ჟუნინიო, ბენზემა (61. მალუდა), ბაროში.

**სოშო:** რიშერი, პიშო, აფოლაბი, ბრეშე, ტოშიჩი, პიტო, ნ'დავი, კ. ზიანი, ბირსა (76. ფ. დიავარა), ა. სანტოსი (80. ლე ტალეკი), დაგანო (63. გრაქსი).

**გოლები:** 0:1 ა. სანტოსი (9), 0:2 კ. ზიანი (29), 1:2 ბაროში (40), 1:3 გრაქსი (86), 2:3 ვილტორი (90), 3:3 ჟუნინიო (90+3-პენ)

**გაფრთხილება:** 3-4

**მაყურებელი:** 40 363

### ნანტი-ოსერი 1:1

**ნანტი:** ბარტეზი, გიიონი, პიერი, ელმურაბე, გ. ნორბერი (61. კესერუ), სა, და როშა, ა. კაპუე (84. საედუ), ფაე, მ. დიალო, პიერონი (74. როსი).

**ოსერი:** სორენი, მინო, გრიშტინგი, კაბული, სანია (83. მარტინი), ფ. ტომასი, ბე. შეირუ, პედრეტი, აკალე (88. ის. ბა), იელენი, ნიკულაე (89. მუ. ნ'დიაიე).

**გოლები:** 0:1 ბე. შეირუ (19), 1:1 კესერუ (76)

**გაფრთხილება:** 2-1

**მაყურებელი:** 25 000

### ნიცა-ლილი 2:1

**ნიცა:** ლორისი, ვარო, კანტე, აბარდონადო, ფანი, დიაკიტე, როოლი, ეშუაფნი (73. ვაირუა), ბალმონი, ლასლანდი, ბ. კონე (86. სკოტო).

**ლილი:** სილვა, ტაფორო, შმიტცი, პლესტანი, შალმე, მაკუნი, კაბეიე (85. ოდემვინგი), ბასტოსი (46. ობრანიაკი), ბოდმერი, ა. კეიტა, ოდჟელი (82. ფორვერგი).

**გოლები:** 1:0 ბ. კონე (43), 1:1 კაბეიე (62), 2:1 ბ. კონე (84)

**გაძევება:** ბალმონი (37. ნიცა), პლესტანი (37. ლილი)

**გაფრთხილება:** 2-1

**მაყურებელი:** 11 369

### რენი-სედანი 0:2

**რენი:** პუპლენი, დანზე (45. სოვი), ბორნი (84. ბრუ), ფატი, ედმანი, მბია, ბრ. შეირუ, სორლენი, მორეირა (77. კემბო-ეკოკო), უტაკა, ბრიანი.

**სედანი:** ტრევისანი, დუკურტუა, სარტრი, იაია (77. ბადიანი), ლაშორი, ამალფიტანო (70. ა. სისე), უადა (86. აბდუ), მარენი, ბელაჯი, ბუტაბუ, პუჟოლი.

**გოლები:** 0:1 პუჟოლი (14), 0:2 ბუტაბუ (86)

**გაფრთხილება:** 1-4

**მაყურებელი:** 22 032

### ლანსი-ნანსი 2:2

**ლანსი:** იტანჯე, ჟილე, ბიშევაცი, ჰილტონი, კარიერი (89. სი. კეიტა), მონტერუბიო, დემონი (72. ბუკარი), სე. კეიტა, კოვაჩევიჩი, რამოსი, დინდანე.

**ნანსი:** გრეგორინი, ანდრე ლუისი, მაკალუსო, სოგე, დიახატე, დუშემენი (73. გავანონი), ბრისონი, შრეტიენი, ნ'გემო (73. ბერენგერი), დია (73. ჰაჯი), ფორტუნი.

**გოლები:** 0:1 ფორტუნი (7), 1:1 დინდანე (18), 2:1 სე. კეიტა (24-პენ), 2:2 ჰაჯი (90)

**გაფრთხილება:** 1-5

**მაყურებელი:** 32143

### ბორდო-ვალანსი 2:1

**ბორდო:** რამე, ჟურიეტი, პლანუსი, მარანჟი, ენრიკე, მიკუ, ფერნანდო, ალონსო (85. ობერტანი), ვენდელი, შამახი (77. პერეა), იუსი.

**ვალანსი:** პენეტო, ფოაშე, უადუ, რიპერი, მატერი (74. ლირონი), პააუვე (68. ბრატუ), დუმენგი, ჰადადი (68. დოსევი), ჟეოვანიო, სავიდანი, ჰასლი.

**გოლები:** 1:0 ფერნანდო (25-პენ), 2:0 იუსი (44), 2:1 დოსევი (83)

**გაფრთხილება:** 3-2

**მაყურებელი:** 22 371

### პსჟ-სტ.ეტიენი 0:2

**პსჟ:** ლანდრო, მენდი, არმანი, როზენალი, დრამე (56. კალუ), ე. სისე, როტენი, შანტომი, ლუინდულა, პაულეტა, დიანე (68. ფრო).

**სტ. ეტიენი:** ჟანო, ონონი, ზ. კამარა, ილუნგა, პერკისი (76. ბაიალ სალი), ლანდრენი, საბლე (90. ოტკოერი), ფეინდუნო, დაბო, ილანი, გომისი (82. ჰაინცი).

**გოლები:** 0:1 პერკისი (32), 0:2 ილანი (44)

**გაფრთხილება:** 0-0

**მაყურებელი:** 45 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 26 | 18 | 4 | 4 | 47-21 | 58 |
| 2. ლანსი | 26 | 12 | 9 | 5 | 40-29 | 45 |
| 3. ტულუზა | 26 | 12 | 5 | 9 | 30-28 | 41 |
| 4. სოშო | 26 | 10 | 10 | 6 | 30-28 | 40 |
| 5. სტ. ეტიენი | 26 | 11 | 6 | 9 | 41-33 | 39 |
| 6. ლილი | 26 | 10 | 9 | 7 | 32-25 | 39 |
| 7. ბორდო | 26 | 12 | 3 | 11 | 28-29 | 39 |
| 8. მარსელი | 26 | 11 | 5 | 10 | 31-27 | 38 |
| 9. რენი | 26 | 9 | 9 | 8 | 23-22 | 36 |
| 10. ნანსი | 26 | 9 | 8 | 9 | 24-28 | 35 |
| 11. ლორიანი | 26 | 9 | 7 | 10 | 25-29 | 34 |
| 12. ლე მანი | 26 | 8 | 10 | 8 | 30-31 | 34 |
| 13. მონაკო | 26 | 9 | 6 | 11 | 31-28 | 33 |
| 14. ოსერი | 26 | 7 | 11 | 8 | 29-33 | 32 |
| 15. ტრუა | 26 | 7 | 9 | 10 | 27-34 | 30 |
| 16. ნიცა | 26 | 7 | 8 | 11 | 24-26 | 29 |
| 17. ვალანსი | 26 | 8 | 4 | 14 | 26-39 | 28 |
| 18. პსჟ | 26 | 6 | 10 | 10 | 27-32 | 28 |
| 19. ნანტი | 26 | 4 | 11 | 11 | 20-32 | 23 |
| 20. სედანი | 26 | 4 | 10 | 12 | 33-44 | 22 |

**ბომბარდირები:** 13 - სავიდანი (ვალანსი); 10 - დინდანე (ლანსი), პაულეტა (პსჟ); 9 - პიკიონი (სტ. ეტიენი); 8 - ის.ბანგურა (ლე მანი), პაჟისი (მარსელი), ბოდმერი (ლილი), ილანი (სტ. ეტიენი), ჟუნინიო (ლიონი), ზიანი (სოშო), აკალე (ოსერი), სე. კეიტა (ლანსი), ფრედი (ლიონი), გილიოტი (ტრუა).

### II დივიზიონი

XXVI ტური

| | |
|---|---|
| ბასტია-მონპელიე | 1:0 |
| ბრესტი-გინგამი | 2:3 |
| კაენი-ნიორი | 4:0 |
| გენიონი-შატორუ | 3:0 |
| ისტრი-ტური | 2:1 |
| ლიბურნი-ამიენი | 1:1 |
| რეიმსი-აიაჩო | 4:1 |
| სტრასბური-კრეტეი | 1:0 |
| მეცი-დიჟონი | 5:0 |
| გრენობლი-ჰავრი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეცი | 25 | 16 | 7 | 2 | 39-12 | 55 |
| 2. კაენი | 26 | 14 | 9 | 3 | 46-24 | 51 |
| 3. სტრასბური | 26 | 13 | 10 | 3 | 32-20 | 49 |
| 4. ჰავრი | 25 | 12 | 10 | 3 | 39-19 | 46 |
| 5. ამიენი | 26 | 12 | 5 | 9 | 33-31 | 41 |
| 6. შატორუ | 26 | 11 | 6 | 9 | 30-31 | 39 |
| 7. ბასტია | 26 | 10 | 8 | 8 | 33-29 | 38 |
| 8. დიჟონი | 26 | 10 | 8 | 8 | 26-30 | 38 |
| 9. რეიმსი | 26 | 10 | 7 | 9 | 34-30 | 37 |
| 10. გენიონი | 26 | 10 | 5 | 11 | 31-34 | 35 |
| 11. გრენობლი | 25 | 8 | 11 | 6 | 35-28 | 35 |
| 12. აიაჩო | 26 | 8 | 7 | 11 | 29-33 | 31 |
| 13. ლიბურნი | 25 | 7 | 7 | 11 | 31-36 | 28 |
| 14. მონპელიე | 26 | 7 | 7 | 12 | 27-32 | 28 |
| 15. ისტრი | 26 | 6 | 7 | 13 | 21-39 | 25 |
| 16. გინგამი | 26 | 5 | 10 | 11 | 27-32 | 25 |
| 17. ბრესტი | 26 | 4 | 13 | 9 | 27-32 | 25 |
| 18. ნიორი | 26 | 5 | 9 | 12 | 23-37 | 24 |
| 19. კრეტეი | 26 | 5 | 9 | 12 | 19-35 | 24 |
| 20. ტური | 26 | 5 | 5 | 16 | 22-40 | 20 |

## საბერძნეთი

XXIII ტური

| | |
|---|---|
| პაოკ-ლარისა | 1:3 |
| ატრომიტოსი-იონიკოსი | 1:0 |
| ქსანთი-ეგალეო | 0:0 |
| პანიონიოსი-კერკირა | 3:1 |
| ერგოტელისი-ოლიმპიაკოსი | 1:2 |
| აპოლონი-აეკ | 1:2 |
| პანათინაიკოსი-ირაკლისი | 3:0 |
| არისი-ოფი | 3:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკოსი | 23 | 19 | 2 | 2 | 51-16 | 59 |
| 2. პანათინაიკოს | 23 | 15 | 3 | 5 | 41-20 | 48 |
| 3. აეკ | 23 | 13 | 7 | 3 | 44-20 | 46 |
| 4. არისი | 23 | 7 | 12 | 4 | 23-19 | 33 |
| 5. პაოკ | 23 | 9 | 5 | 9 | 24-24 | 32 |
| 6. ლარისა | 23 | 8 | 7 | 8 | 26-30 | 31 |
| 7. ოფი | 23 | 8 | 6 | 9 | 28-32 | 30 |
| 8. ატრომიტოსი | 23 | 7 | 9 | 7 | 31-35 | 30 |
| 9. პანიონიოსი | 23 | 7 | 8 | 8 | 20-25 | 29 |
| 10. ქსანთი | 23 | 6 | 9 | 8 | 13-14 | 27 |
| 11. ერგოტელისი | 23 | 7 | 6 | 10 | 22-24 | 27 |
| 12. ეგალეო | 23 | 7 | 5 | 10 | 23-29 | 27 |
| 13. კერკირა | 23 | 6 | 8 | 9 | 22-26 | 26 |
| 14. აპოლონი | 23 | 6 | 7 | 10 | 19-28 | 25 |
| 15. ირაკლისი | 23 | 6 | 4 | 13 | 20-31 | 22 |
| 16. იონიკოსი | 23 | 2 | 3 | 17 | 9-43 | 4 |

*იონიკოსს დაკლებული აქვს 5 ქულა*

## თურქეთი

XXII ტური

| | |
|---|---|
| ერჩიესი-მანისა | 1:0 |
| გალათასარაი-დენიზლი | 1:1 |
| ანკარაგიუჯუ-გაზიანთეპი | 2:1 |
| ტრაბზონი-ბეშიქთაში | 3:2 |
| გენჩლერი-ქაისერი | 2:2 |
| რიზე-ანკარასპორი | 1:1 |
| საქარია-ბურსა | 1:3 |
| სივასი-კონია | 1:3 |
| ანთალია-ფენერბაჩე | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფენერბაჩე | 22 | 13 | 5 | 4 | 40-20 | 44 |
| 2. გალათასარაი | 22 | 10 | 8 | 4 | 39-22 | 38 |
| 3. ბეშიქთაში | 22 | 10 | 6 | 6 | 31-22 | 36 |
| 4. ქაისერი | 22 | 9 | 8 | 5 | 30-23 | 35 |
| 5. კონია | 22 | 9 | 7 | 6 | 30-25 | 34 |
| 6. გენჩლერი | 22 | 10 | 4 | 8 | 27-25 | 34 |
| 7. ბურსა | 22 | 9 | 5 | 8 | 26-24 | 32 |
| 8. სივასი | 22 | 9 | 4 | 9 | 23-27 | 31 |
| 9. ტრაბზონი | 22 | 8 | 6 | 8 | 29-26 | 30 |
| 10. მანისა | 22 | 8 | 5 | 9 | 33-32 | 29 |
| 11. ანკარაგიუჯუ | 22 | 7 | 8 | 7 | 24-23 | 29 |
| 12. ანთალია | 22 | 7 | 8 | 7 | 22-22 | 29 |
| 13. ანკარა | 22 | 5 | 12 | 5 | 24-24 | 27 |
| 14. გაზიანთეპი | 22 | 7 | 6 | 9 | 22-29 | 27 |
| 15. რიზე | 22 | 7 | 4 | 11 | 18-24 | 25 |
| 16. დენიზლი | 22 | 4 | 8 | 10 | 18-29 | 20 |
| 17. ერჩიესი | 22 | 4 | 7 | 11 | 18-40 | 19 |
| 18. საქარია | 22 | 3 | 7 | 12 | 13-30 | 16 |

## ჰოლანდია

XXVI ტური

| | |
|---|---|
| უტრეხტი-ნაიმეგენი | 3:0 |
| ეინდჰოვენი-გრონინგენი | 1:0 |
| როდა-ჰერენვენი | 1:0 |
| სპარტა-ჰერაკლესი | 0:0 |
| ტვენტე-ვილემი | 0:0 |
| ალკმაარი-აიაქსი | 1:1 |
| დენ ჰააგი-ფეიენოორდი | 3:3 |
| ექსელსიორი-ბრედა | 0:2 |
| ვაალვიკი-ვიტესი | 3:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ეინდჰოვენი | 26 | 20 | 3 | 3 | 62-15 | 63 |
| 2. აიაქსი | 26 | 17 | 5 | 4 | 61-28 | 56 |
| 3. ალკმაარი | 26 | 16 | 7 | 3 | 67-26 | 55 |
| 4. ტვენტე | 26 | 16 | 6 | 4 | 55-27 | 54 |
| 5. ფეიენოორდი | 26 | 14 | 4 | 8 | 51-51 | 46 |
| 6. ბრედა | 26 | 12 | 5 | 9 | 36-35 | 41 |
| 7. როდა | 26 | 11 | 7 | 8 | 31-31 | 40 |
| 8. ჰერენვენი | 26 | 11 | 5 | 10 | 42-33 | 38 |
| 9. უტრეხტი | 26 | 10 | 6 | 10 | 32-35 | 36 |
| 10. გრონინგენი | 26 | 10 | 5 | 11 | 38-45 | 35 |
| 11. ნაიმეგენი | 26 | 9 | 7 | 10 | 25-31 | 34 |
| 12. ვიტესი | 25 | 8 | 6 | 11 | 38-40 | 30 |
| 13. სპარტა | 26 | 8 | 4 | 14 | 30-49 | 28 |
| 14. ვილემი | 26 | 6 | 4 | 16 | 25-55 | 22 |
| 15. ჰერაკლესი | 26 | 4 | 8 | 14 | 20-48 | 20 |
| 16. ვაალვიკი | 26 | 4 | 7 | 15 | 24-49 | 19 |
| 17. ექსელსიორი | 26 | 4 | 5 | 17 | 31-52 | 17 |
| 18. დენ ჰააგი | 25 | 3 | 6 | 16 | 30-48 | 15 |

### II დივიზიონი

XXIX ტური

ჰელმონდი-გრააფსხაპი 0:0; მაასტრიხტი-აპელდოორნი 5:0; ტოპ ოსი-იგლზი 4:0; ვენლო-დორდრეჰტი 1:3; ვეენდამი-ომნივორლდი 0:2; ვოლენდამი-ემენი 6:1; ცვოლე-ტელსტარი 2:1; ფორტუნა-როსენდალი 2:2; ჰაარლემი-კამბური 3:1; ეინდჰოვენი A-დენ ბოში 0:2.

## ავსტრია

XXII ტური

| | |
|---|---|
| პაშინგი-მატერსბურგი | 2:0 |
| რაპიდი-ალტახი | 2:1 |
| ზალცბურგი-გრაცერი | 2:1 |
| შტურმი-რიდი | 1:1 |
| ტიროლი-ავსტრია | 2:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზალცბურგი | 22 | 14 | 5 | 3 | 46-13 | 47 |
| 2. მატერსბურგ | 22 | 10 | 4 | 8 | 30-35 | 34 |
| 3. პაშინგი | 22 | 9 | 7 | 6 | 27-23 | 34 |
| 4. ტიროლი | 22 | 7 | 8 | 7 | 24-29 | 29 |
| 5. ალტახი | 22 | 8 | 3 | 11 | 32-38 | 27 |
| 6. რაპიდი | 22 | 6 | 8 | 8 | 29-32 | 26 |
| 7. რიდი | 22 | 5 | 11 | 6 | 23-23 | 26 |
| 8. გრაცერი | 22 | 5 | 9 | 8 | 28-35 | 24 |
| 9. შტურმი | 22 | 7 | 5 | 10 | 21-28 | 23 |
| 10. ავსტრია | 22 | 4 | 10 | 8 | 23-27 | 22 |

*შტურმს დაკლებული აქვს 3 ქულა*

## ხორვატია

XX ტური

| | |
|---|---|
| მედიმურიე-კამენი | 2:0 |
| პულა-ზაგრები | 0:2 |
| შიბენიკი-რიეკა | 2:2 |
| სლავენი-სიბალია | 2:0 |
| ოსიეკი-ვარტექსი | 4:1 |
| დინამო-ჰაიდუკი | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 20 | 17 | 2 | 1 | 51-17 | 53 |
| 2. ჰაიდუკი | 20 | 15 | 2 | 3 | 36-12 | 47 |
| 3. ზაგრები | 20 | 12 | 1 | 7 | 32-19 | 37 |
| 4. მედიმურიე | 20 | 10 | 1 | 9 | 30-29 | 31 |
| 5. შიბენიკი | 20 | 9 | 4 | 7 | 31-27 | 31 |
| 6. ვარტექსი | 20 | 8 | 4 | 8 | 30-35 | 28 |
| 7. სლავენი | 20 | 8 | 3 | 9 | 21-23 | 27 |
| 8. ოსიეკი | 20 | 6 | 7 | 7 | 22-30 | 25 |
| 9. რიეკა | 20 | 7 | 3 | 10 | 33-36 | 24 |
| 10. პულა | 20 | 4 | 6 | 10 | 18-26 | 18 |
| 11. სიბალია | 20 | 3 | 2 | 15 | 16-38 | 11 |
| 12. კამენი | 20 | 3 | 1 | 16 | 18-46 | 10 |

## არგენტინა

III ტური

| | |
|---|---|
| ნუევა ჩიკაგო-არსენალი | 0:4 |
| ესტუდიანტესი-კოლონი | 2:2 |
| როსარიო-ბანფილდი | 1:1 |
| ინდეპენდიენტე-ბოკა | 1:3 |
| ველესი-არგ. ხუნიორსი | 0:2 |
| ლანუსი-ნიუელსი | 3:2 |
| ხიმნასია (ლ)-ხიმნასია (ხ) | 2:0 |
| გოდოი-კილმესი | 3:0 |
| რივერი-რასინგი | 4:2 |
| ს ლორენსო-ბელგრან | გვ. დასრულდა |

## მექსიკა

VIII ტური

| | |
|---|---|
| სან ლუისი-ხაგუარესი | 1:0 |
| მორელია-ტოლუკა | 2:1 |
| ტიგრესი-ვერაკრუსი | 1:0 |
| ნეკაქსა-ჩივასი | 2:4 |
| კერეტარო-მონტერეი | 2:1 |
| ატლასი-ატლანტე | 1:1 |
| პუმასი-კრუს ასული | 0:1 |
| ამერიკა-სან. ლაგუნა | გვ. დასრულდა |
| ტეკოსი-პაჩუკა | გვ. დასრულდა |

## ფინეთის ლიგის თასი

| | |
|---|---|
| ვაასა-ოულუ | 1:2 |
| ლაჰტი-მარიეჰამნი | 1:0 |
| ინტერი-იარო | 1:1 |
| ვიიკინგიტი-ჰონკა | 2:0 |
| ჰაკა-ტამპერე | 1:2 |
| ჰიკ-მიუპა | 2:0 |

## ბელგია

XXIII ტური

| | |
|---|---|
| ბრიუგე-სტ.ტრუიდენი | 1:0 |
| შარლერუა-ბევერენი | 2:1 |
| ბრიუსელი-სტანდარდი | 0:3 |
| გენკი-რუზელარე | 3:0 |
| ლიერსი-სერკლი | 0:2 |
| მუსკრონი-მონსი | 2:2 |
| ვესტერლო-ანტვერპენი | 1:1 |
| ლოკერენი-ანდერლეხტი | 1:1 |
| ვარეგემი-გენტი | 3:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გენკი | 23 | 16 | 5 | 2 | 53-21 | 53 |
| 2. ანდერლეხტი | 23 | 15 | 6 | 2 | 44-22 | 51 |
| 3. სტანდარდი | 23 | 14 | 4 | 5 | 49-29 | 46 |
| 4. გენტი | 23 | 12 | 4 | 7 | 38-30 | 40 |
| 5. ბრიუგე | 23 | 11 | 6 | 6 | 40-23 | 39 |
| 6. შარლერუა | 23 | 11 | 6 | 6 | 31-26 | 39 |
| 7. ვესტერლო | 23 | 10 | 5 | 8 | 29-27 | 35 |
| 8. რუზელარე | 23 | 8 | 7 | 8 | 34-36 | 31 |
| 9. ბეერსხოტი | 23 | 8 | 7 | 8 | 30-33 | 31 |
| 10. სერკლი | 23 | 8 | 4 | 11 | 20-24 | 28 |
| 11. ვარეგემი | 23 | 7 | 7 | 9 | 28-33 | 28 |
| 12. სტ. ტრუიდენ | 23 | 7 | 3 | 13 | 28-36 | 24 |
| 13. მონსი | 23 | 6 | 6 | 11 | 21-31 | 24 |
| 14. ბრიუსელი | 23 | 5 | 9 | 9 | 23-32 | 24 |
| 15. მუსკრონი | 23 | 5 | 8 | 10 | 32-42 | 23 |
| 16. ლოკერენი | 23 | 4 | 9 | 10 | 20-31 | 21 |
| 17. ბევერენი | 23 | 5 | 5 | 13 | 22-38 | 20 |
| 18. ლიერსი | 23 | 3 | 3 | 17 | 16-44 | 12 |

### II დივიზიონი

XXIII ტური

დესელი-კორტრიიკი 1:2; ანტვერპენი-ოსტენდე 5:1; დაინცე-რასინგი 0:2; ეუპენი-მეხელენი 1:5; ვაასლანდი-რონსე 1:1; ტუბეკე-ტინენი 0:1; დენდერი-ვირტონი 3:1; ჰეეერლე-ჰამე 3:2; სტ.ჟილი-ლომელი 4:0.

## სერბეთი

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ოფკ-ვოივოდინა | 0:1 |
| სარტიდი-ბეჟანია | 2:0 |
| ვოჟდოვაცი-ჰაიდუკი | 1:2 |
| ზემუნი-ბორაცი | 0:2 |
| მლადოსტი-ბანატი | 1:1 |
| ცრვენა ზვეზდა-პარტიზანი | 2:4 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ცრ. ზვეზდა | 18 | 13 | 3 | 2 | 30-12 | 42 |
| 2. პარტიზანი | 18 | 10 | 3 | 5 | 27-17 | 33 |
| 3. მლადოსტი | 18 | 8 | 6 | 4 | 17-10 | 30 |
| 4. ოფკ | 18 | 7 | 7 | 4 | 21-11 | 28 |
| 5. ვოივოდინა | 18 | 8 | 3 | 7 | 14-14 | 27 |
| 6. ჰაიდუკი | 18 | 8 | 1 | 9 | 14-19 | 25 |
| 7. ბეჟანია | 18 | 5 | 10 | 3 | 20-16 | 25 |
| 8. ბანატი | 18 | 6 | 5 | 7 | 15-20 | 23 |
| 9. სარტიდი | 18 | 5 | 7 | 6 | 14-16 | 22 |
| 10. ბორაცი | 18 | 5 | 5 | 8 | 10-13 | 20 |
| 11. ვოჟდოვაცი | 18 | 4 | 5 | 9 | 14-23 | 17 |
| 12. ზემუნი | 18 | 0 | 3 | 15 | 5-30 | 3 |

## პორტუგალია

XIX ტური

| | |
|---|---|
| სპორტინგი-ავეში | 0:0 |
| აკადემიკა-ბოავიშტა | 0:2 |
| ნავალი-ბელენენსეში | 2:3 |
| სეტუბალი-ნასიონალი | 1:1 |
| ბეირა მარი-პორტუ | 0:5 |
| ბრაგა-ამადორა | დღეს |
| ბენფიკა-ფერეირა | დღეს |
| მარიტიმუ-ლეირია | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 19 | 15 | 1 | 3 | 43-10 | 46 |
| 2. ბენფიკა | 18 | 12 | 3 | 3 | 36-14 | 39 |
| 3. სპორტინგი | 19 | 11 | 6 | 2 | 29-12 | 39 |
| 4. ბრაგა | 18 | 8 | 4 | 6 | 24-23 | 28 |
| 5. ლეირია | 18 | 8 | 4 | 6 | 15-16 | 28 |
| 6. ბელენენსეში | 19 | 8 | 3 | 8 | 21-20 | 27 |
| 7. ფერეირა | 18 | 6 | 8 | 4 | 20-23 | 26 |
| 8. ნასიონალი | 19 | 7 | 4 | 8 | 26-26 | 25 |
| 9. მარიტიმუ | 18 | 7 | 4 | 7 | 21-23 | 25 |
| 10. ნავალი | 19 | 6 | 6 | 7 | 17-20 | 24 |
| 11. ბოავიშტა | 19 | 5 | 8 | 6 | 22-22 | 23 |
| 12. ამადორა | 18 | 5 | 6 | 7 | 12-19 | 21 |
| 13. აკადემიკა | 19 | 5 | 4 | 10 | 21-28 | 19 |
| 14. სეტუბალი | 19 | 3 | 5 | 11 | 11-28 | 14 |
| 15. ბეირა მარი | 19 | 2 | 7 | 10 | 18-38 | 13 |
| 16. ავეში | 19 | 2 | 5 | 12 | 11-25 | 11 |

### II დივიზიონი

XIX ტური

ფეირენსე-ლეიქსოეში 1:1; გიმარაეში-მოსკავიდე 4:0; გონდომარი-პენაფიელი 2:1; ეშტორილი-სანტა კლარა 0:1; ოლანენსე-ვარზიმი 1:1; პორტიმონენსე-ვიზელა 0:0; ტროფენსე-ჟილ ვისენტე 0:1; რიუ ავე-შავეში 3:2.

## უნგრეთი

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ვაშაში-დებრეცენი | 0:1 |
| პაკში-ტატაბანია | 0:1 |
| რეაკ-დიოში | 2:0 |
| კაპოშვარი-ვაცი | 3:0 |
| პეჩი-ფეჰერვარი | 2:0 |
| სოპრონი-მტკ | 0:3 |
| ზალაეგერსეგი-დიოშდიოში | 2:2 |
| უიპეშტი-ჰონვედი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მტკ | 18 | 14 | 2 | 2 | 37-12 | 44 |
| 2. დებრეცენი | 18 | 12 | 3 | 3 | 34-13 | 39 |
| 3. ზალაეგერსეგ | 18 | 11 | 3 | 4 | 31-22 | 36 |
| 4. უიპეშტი | 17 | 9 | 2 | 6 | 23-15 | 29 |
| 5. დიოშდიოში | 18 | 9 | 2 | 7 | 26-24 | 29 |
| 6. ვიდეოტონი | 18 | 9 | 1 | 8 | 24-22 | 28 |
| 7. ვაშაში | 18 | 8 | 2 | 8 | 16-22 | 26 |
| 8. პეჩი | 18 | 6 | 6 | 6 | 21-25 | 24 |
| 9. ტატაბანია | 17 | 7 | 2 | 8 | 27-26 | 23 |
| 10. პაკში | 18 | 6 | 4 | 8 | 16-18 | 22 |
| 11. სოპრონი | 18 | 6 | 2 | 10 | 15-32 | 20 |
| 12. დიოში | 18 | 5 | 5 | 8 | 22-27 | 20 |
| 13. ჰონვედი | 17 | 5 | 4 | 8 | 23-25 | 19 |
| 14. კაპოშვარი | 18 | 5 | 2 | 11 | 19-25 | 17 |
| 15. რეაკ | 17 | 4 | 4 | 9 | 20-31 | 16 |
| 16. ვაცი | 18 | 1 | 6 | 11 | 12-27 | 9 |

## შოტლანდია

### I დივიზიონი

XXVII ტური

| | |
|---|---|
| კლაიდი-გრეტნა | 2:0 |
| ჰამილტონი-დანდი | 1:0 |
| როსი-ლივინგსტონი | 0:2 |

### II დივიზიონი

XXVII ტური

| | |
|---|---|
| ალოა-პიტერჰედი | 2:4 |
| ეირი-კოუდენბითი | 0:2 |
| ბრეჩინი-სტირლინგი | 1:4 |
| რეითი-ფორფარი | 2:1 |
| სტრანრარი-მორტონი | 2:1 |

### III დივიზიონი

XXVII ტური

| | |
|---|---|
| ალბიონი-ისტ ფაიფი | 0:3 |
| არბროა-ბერვიკი | 1:0 |
| დამბარტონი-ისტ სტირლინგი | 2:1 |
| ელჯინი-ქუინზ პარკი | 0:3 |
| სტენჰაუზმური-მონროუზი | 2:5 |

## შოტლანდიის თასი

### 1/4 ფინალი

| | |
|---|---|
| ქუინი-პიტერჰედი | 1:2 |
| დანფერმლაინი-პარტიკი | 2:0 |
| ინვერნესი-სელტიკი | 1:2 |

## შვეიცარია

XXI ტური

| | |
|---|---|
| გრასჰოპერსი-არაუ | 1:0 |
| ლუცერნი-ციურიხი | 2:0 |
| შაფჰაუზენი-სტ. გალენი | 0:1 |
| სიონი-ბაზელი | 0:0 |
| იანგ ბოიზი-ტუნი | 3:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ციურიხი | 21 | 14 | 2 | 5 | 39-19 | 44 |
| 2. სტ. გალენი | 21 | 13 | 2 | 6 | 33-24 | 41 |
| 3. გრასჰოპერსი | 21 | 11 | 5 | 5 | 37-19 | 38 |
| 4. ბაზელი | 21 | 11 | 4 | 6 | 43-31 | 37 |
| 5. სიონი | 21 | 9 | 6 | 6 | 35-30 | 33 |
| 6. იან ბოიზი | 21 | 10 | 3 | 8 | 33-28 | 33 |
| 7. ლუცერნი | 21 | 7 | 4 | 10 | 23-27 | 25 |
| 8. ტუნი | 21 | 4 | 5 | 12 | 14-40 | 17 |
| 9. შაფჰაუზენი | 21 | 3 | 6 | 12 | 21-38 | 15 |
| 10. არაუ | 21 | 4 | 1 | 16 | 17-39 | 13 |

### ჩელენჯლიგა

XIX ტური

იუვენტუის-კიასო 0:1; ვილი-ვოლენი 0:1; ივერდონი-კრინსი 0:1; ფონდსი-ლოკარნო 1:1; ლუგანო-კონკორდია 1:1; ვადუცი-ლოზანა 3:0; ბელინცონა-ქსამაქსი 1:1; დელემონი-სერვეტი 1:1.

## როიალლიგა

| | |
|---|---|
| ოდენსე-ბრანი | 3:2 |
| კოპენჰაგენი-ჰამარბიუ | 4:0 |

ჩელსი

# რომანმა ჟოზეს ზურგი აქცია

## ფანებთან სახელდახელო შეხვედრის დეტალები ტაბლოიდთა რეპორტაჟებში

კვირას ერთდროულად ორმა ბრიტანულმა ტაბლოიდმა - "ნიუს ოფ ზე უორლდმა" და "სანდი მირორმა" გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ **ჟოზე მოურინიოს** "ჩელსის" დატოვება მოუწევს. გაზეთებში მოთავსებული იყო რეპორტაჟი **რომან აბრამოვიჩისა** და ლონდონელი გულშემატკივრების სახელდახელო შეხვედრიდან. ის ოთხშაბათ სალამოს ("პორტუსთან" პირველი მერვედფინალური მატჩის შემდეგ), ოპორტოს სასტუმრო შერატონში გაიმართა. რუსი ოლიგარქი მეუღლესა და ვაჟთან ერთად იმ სასტუმროში იყო გაჩერებული. შეხვედრის მონაწილე ფანები იხსენებენ, რომ აბრამოვიჩი ჩინებულ ხასიათზე იყო, სტუმრებს სასმელით გაუმასპინძლდა, მათთან არაერთი ფოტო გადაიღო და ათეულობით ავტოგრაფი ჩამოარიგა, მაგრამ როგორც კი მოურინიოს ახსენებდნენ, თავს დაბლა ხრიდა და მწვრთნელზე საუბარს გაურბოდა. ქომაგები დარწმუნდნენ, რომ მწვრთნელის დღეები დათვლილია.

ეს სტატია გუშინ დილით გამოქვეყნდა. სალამოს "ჩელსი" "არსენალს" ლიგის თასის ფინალში შეხვდა. ვერ გეტყვით, გამოეხმაურა თუ არა მოურინიო ტაბლოიდთა სტატიებს. "პორტუსთან" ოთხშაბათის მატჩის წინ კი ასეთი განცხადება გააკეთა: *"ბოლო დროს რამდენჯერმე ვიფიქრე გადადგომაზე, მაგრამ გადავწყვიტე, რომ ეს არ გავაკეთო. მწვრთნელი გუნდიდან სამ შემთხვევაში მიდის - როცა მას ასე სურს, როცა კონტრაქტი უმთავრდება ან როცა კლუბი კარისკენ უთითებს. მე მხოლოდ ორი ვარიანტი მაქვს - ან კონტრაქტი დამიმთავრდება და 2010 წელს წავალ, ან გამიშვებენ. გადამწყვეტ სიტყვას ყოველთვის კლუბი ამბობს."*

### ვესტ ჰემი: ვენეიბლზი თუ ბილიჩი?

"ვესტ ჰემი" გასაჭირშია. ინგლისელმა მიმომხილველებმა "ჩარლტონთან" შაბათის მარცხი (0:4) მის კუბოში ჩაჭედებულ ლურსმანს შეადარეს. მთავარ მწვრთნელად **ალან კერბიშლის** დანიშვნის შემდეგ გუნდმა 10 მატჩი ჩაატარა და მხოლოდ ერთხელ მოიგო. "ჩაქუჩები" ქვედა დივიზიონისაკენ მიექანებიან. პრემიერლიგიდან გავარდნა კლუბის ახალ მფლობელებს გვარიანად დააზარალებს. დირექტორატი გამოსავალს ეძებს. ერთი ვარიანტი კერბიშლის დათხოვნა და ავტორიტეტული სპეციალისტის მიწვევაა. გუშინდელმა "სანდი მირორმა" გვაუწყა, რომ ინტენსიურად განიხილება ინგლისის ნაკრების მეორე მწვრთნელის, **ტერი ვენეიბლზის** კანდიდატურა. მწვრთნელობის კანდიდატია ახალგაზრდა ხორვატი სპეციალისტი **სლავენ ბილიჩიც**, რომელიც ამჟამად თავისი ქვეყნის ნაკრებში მოღვაწეობს და დებიუტანტის კვალობაზე შთამბეჭდავი შედეგები აქვს. ბილიჩს ოთხი სეზონი (1996-2000) ინგლისში აქვს გატარებული. 1996-97 წლების სეზონში ის სწორედ "ვესტ ჰემის" ღირსებას იცავდა.

### ტოტენჰემმა, შეიძლება, უემბლიზე ითამაშოს

"ტოტენჰემმა", შეიძლება, "უემბლიზე" დაიდოს ბინა - ჯერჯერობით, მხოლოდ ორი წლით. "მამლებს" "უაით ჰართ ლეინის" განახლება ან მისი დანგრევა და თავიდან აშენება სურთ. სამშენებლო სამუშაოები მინიმუმ ორ წელს გასტანს. სავსებით შესაძლებელია, ამ ხნის განმავლობაში "ტოტენჰემმა" საშინაო მატჩები ინგლისის უმთავრესი არენაზე ჩაატაროს. "უემბლის" ბოსებს ჯერ არცერთ კლუბთან არ გაუმართავთ მოლაპარაკებები, მათ შორის, არც "ტოტენჰემთან", მაგრამ ადასტურებენ, რომ მზად არიან, ნებისმიერი სარფიანი წინადადების განსახილველად. სხვათა შორის, უემბლის გარდა, "არსენალის" "ემირიტს სთედიუმზე" შეხიზვნის ვარიანტიც განიხილებოდა, მაგრამ გამოკითხვამ ცხადყო, რომ ამ იდეას არც "ტოტენჰემის" და არც "არსენალის" ფანები არ უჭერენ მხარს. რეკონსტრუქციის (ან ხელახლა აშენების შემდეგ) "უაით ჰართ ლეინის" ტევადობა 36 ათასიდან 55 ათასამდე უნდა გაიზარდოს. ინფრასტრუქტურის განახლება კლუბს დღევანდელზე ბევრად მეტ შემოსავალს მოუტანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ძიუდო. ჰამბურგის სუპერთასი



ლაშა გუჯეჯიანმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა

# გუჯეჯიანი ბრძოლაში ჩაერთო

პარიზის სუპერთასის შემდეგ ქართველი ძიუდოისტები ჰამბურგის ანალოგიურ ტურნირზეც მოკრძალებულად, თუმცა ოდნავ უკეთ გამოვიდნენ - **ლაშა გუჯეჯიანმა** ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. სამწუხაროდ, მის გარდა არათუ მედალოსნებში, შვიდეულშიც კი არავინაა ქართველი. სამაგიეროდ, ამ ერთმა ბრინჯაომ მძიმე წონაში არსებული კონკურენცია გაამძაფრა.

ნაკრების თავკაცმა **შოთა ხაბარელმა** 7-8 აპრილს ბელგრადში, კონტინენტის პირველობაზე წასაყვანი გუნდის ბირთვი კი გამოავლინა, მაგრამ 81, 100 და მძიმე წონებში კონკურენცია ისევ რჩებოდა. უფრო სწორად, მწვრთნელმა ლიდერები კი შეარჩია, მაგრამ ჰამბურგში მათ კონკურენტებსაც ცდიდა - თუ რომელიმე იქაც გამოიჩენდა თავს, კანდიდატებს ბოლო შანსს მომავალ უქმეებზე ვარშავაში მისცემდა.

ამ სამთაგან ყველაზე დაძაბული ვითარება მაინც მძიმეში იყო, რადგან აქ ნაკრებიდან ამოვარდნა მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორს ემუქრებოდა. ხაბარელი ადრეც ამბობდა, რომ გუჯეჯიანს ევროპულ შანსს გერმანიაში სამეულში შესვლა შეუნარჩუნებდა. მოვლენები მართლაც ასე განვითარდა და მწვრთნელი ვარშავაში **ზვიად ხანჯალიაშვილთან** ერთად მასაც გამოცდის.

გუჯეჯიანმა პირველ წრეში ყოველმხრივ დაჩაგრა ჩერნოგორიელი **მარკო რადულოვიჩი** - გაფრთხილებაც მიაღებინა, კოკაც აართვა, ბოლოს კი ბეჭებზეც დასცა. მეორე წრეში მასპინძელი **მატიას შმუნკი** იუკო-ვაზარით გაიარა, მესამეში კი სლოვენიელი **მატიას სერაი** დააიპონა. ნახევარფინალში ჩვენებური რუსთა უტიტულოვანეს ფალავან **ტამერლან ტმენოვთან** წმინდად დამარცხდა, სამაგიეროდ, დამამშვიდებლის ფინალში ასევე სუფთად მოუგო უნგრელ **ბარნა ბორს**.

მძიმე წონის მსგავსი დილემის წინაშე ხაბარელი 81-ში და 100-შიც იდგა. მეტ-ნაკლებად, იქაც გაირკვა ყველაფერი. კერძოდ, ევროპაზე წამსვლელთა რიგებს საბოლოოდ გამოაკლდა **ნოდარ მეტრეველი**. სუპერთასის დებიუტანტი პირველად გამოცდილ კუბელ **ორეიდის დესპაინთან** დამარცხდა. მერე დამამშვიდებელში გადაერთო, სადაც ფრანგ **სირილ მარეტს** ვაზარით აჯობა, მაგრამ ბრაზილიელ მსოფლიოს ბრინჯაოსან **ლუსიანო კორეასთან** წააგო. ცხადია, ეს შედეგი საევროპო შანსების შესანარჩუნებლად საკმარისი არაა და ხაბარელის გადაწყვეტილებით, ვარშავაში ამ წონაში მხოლოდ **ლომერ ჟორჟოლიანი** იჭიდავებს.

ცოტა გაურკვეველია 81-ის საკითხი. აქ გრიგოლ შინჯიკაშვილი პირველივე წრიდან გავარდა იაპონელ მსოფლიოს პრიზიორ **ტაკაში ონოსთან** მარცხის შემდეგ (მეორე წრეში აზიელმა მოულოდნელად წააგო პორტუგალიელ ევროპის ჩემპიონ **სერგეი აშვანდენთან**), **საბა გავაშელიშვილმა** კი ჯამში სამი ბრძოლა მოიგო და სამივე წმინდად. სუპერთასის დებიუტანტმა ძირითადში ამერიკელი **ტრევის სტივენსი** და ლიტველი **რადვისლავ მატუკასი** დააიპონა, დამამშვიდებელში - ბელგიელი **დანიელ ფერნანდესი**. იგი ძირითადში იუკოთი დამარცხდა ბრაზილიელ ოლიმპიურ პრიზიორ **ფლავიო კანტოსთან**, სანუგეშოში - ებრაელ **ავისარ შნეიმანთან**.

ამ ეტაპზე ხაბარელმა მხოლოდ ის გაარკვია, რომ საევროპო ნაკრებში გიორგი ბაინდურაშვილის მოცილედ გავაშელიშვილი დარჩა, შინჯიკაშვილი კი ბრძოლას გამოეთიშა. მართალია, ურიგო ფალავანთან არც მას წაუგია, მაგრამ გავაშელიშვილის მხარეს კიდევ ერთი კოზირია - შინჯიკაშვილს თბილისის ტურნირზე ბრინჯაოსთვის ბრძოლაში პირადი შეხვედრა მოუგო. მაგრამ ხაბარელს ჯერ არ გადაუწყვეტია, წაიყვანოს თუ არა გავაშელიშვილი ვარშავაში. მთავარი მწვრთნელი გუნდს გერმანიაში არ გაჰყოლია - მის ნაცვლად იქ **გურამ მოდებაძე** იყო. იქვეა **ამირან ტოტიკაშვილიც** და ხაბარელი საბოლოო გადაწყვეტილებას მათთან კონსულტაციის შემდეგ მიიღებს.

გავბედავთ და ამ საკითხზე ჩვენს აზრსაც გამოვთქვამთ. ხაბარელის მსგავსად, გავაშელიშვილის ჭიდაობის ხარისხზე ვერც ჩვენ ვისაუბრებთ, თუმცა ამ რანგის ტურნირზე სამი შეხვედრის წმინდად მოგება გვაფიქრებინებს, რომ ცუდად არ უჭიდავია. იგი ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონიცაა, თუმცა იმ გამარჯვების მერე გარკვეული ჩავარდნა მოუვიდა. სავარაუდოდ, კრიზისი უკვე დაძლია, რადგან ბოლო ხანებში საკმაოდ სტაბილურად გამოდის - შემოდგომაზე ევროპის 23-წლამდელთა ჩემპიონატზე მესამეზე გავიდა, წლეულს კარგად იჭიდავა საქართველოს ჩემპიონატში და თბილისის ტურნირზე, ახლა - ჰამბურგშიც. გვეეჭვება, ამ ეტაპზე იგი ბაინდურაშვილს სჯობდეს, მაგრამ ვარშავაში მისი ჭიდაობა მაინც გამართლებულად მიგვაჩნია - იქ გამოსვლა მისთვის კარგი სკოლა იქნება.

რაც შეეხებათ დანარჩენ ქართველებს, მათგან განსაკუთრებულ წარმატებებს არც ველოდით და არც მომხდარა - ორი შეხვედრა მოიგო **დავით კუპრაშვილმა** (73), თითო - **ამირან პაპინაშვილმა** (60), **გიორგი ფერსაშვილმა** (66) და **დავით ლორიაშვილმა** (90), **სერგო ციხელაშვილი** (66) პირველივე შეხვედრაში დამარცხდა და გავარდა, **ლევან წიკლაურს** (90)კი საერთოდ არ უჭიდავია. ამათგან სანუგეშოში მხოლოდ ფერსაშვილი გადაერთო. შეგახსენებთ, რომ ევროპაზე ჭიდაობა ადრევე გაინაღდეს **ნესტორ ხერგიანმა** (60), **ზაზა კედელაშვილმა** (66) და **ირაკლი ცირეკიძემ** (90). ვარშავაში ესენიც გამოვლენ, როგორც ევროპის პირველობისთვის სასტარტო შეჯიბრებაზე.

ჰამბურგში საქართველოდან ქალთა ნაკრებიც გამოდიოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა ჩვენებური - **დუსკა ქერიმოვა** (57), **ანა ძაძამია** (63), **ენძელა სოლოღაშვილი** (70), **ლია გვიანიძე** (78), **მარიამ ჩადუნელი** (+78) და **ირინე ლეონიძე** (+78) პირველივე შეხვედრებში დამარცხდნენ. მათგან სანუგეშოში მხოლოდ ლეონიძე გადაერთო, (ის მომავალ ჩემპიონთან, რუსთა სახელით მოჭიდავე **თეა დონღუზაშვილთან** დამარცხდა) თუმცა უშედეგოდ.

**ირაკლი თავაძე**

| 60 კგ. |
| --- |
| 1. ჰოვანეს დავთიანი (სომხეთი) |
| 2. იასმანი პიკერი (კუბა) |
| 3. ტადაჰირო ნომურა (იაპონია) |
| 3. მასუდ ჰაჯი ახუნზადე (ირანი) |
| **66 კგ.** |
| 1. ბენჟამენ დარბელე (საფრანგეთი) |
| 2. იორდანის არენსიბია (კუბა) |
| 3. ჟოაო დერლი ჟუნიორი (ბრაზილია) |
| 3. ჩაგანბაატარ ხაშბაატარი (მონღოლეთი) |
| **73 კგ.** |
| 1. რინატ იბრაგიმოვი (ყაზახეთი) |
| 2. ჰენრი სხუმანი (ჰოლანდია) |
| 3. მარიო შენდელი (გერმანია) |
| 3. კიოში უემაცუ (ესპანეთი) |
| **81 კგ.** |
| 1. იუნგ ვო კვონი (კორეა) |
| 2. დამდინსურენ ნიამხუუ (მონღოლეთი) |
| 3. ოლე ბიშოფი (გერმანია) |
| 3. ფლავიო კანტო (ბრაზილია) |
| **90 კგ.** |
| 1. ილიას ილიადისი (საბერძნეთი) |
| 2. დავიდ ალარსა (ესპანეთი) |
| 3. ნიკოლას ბრისონი (საფრანგეთი) |
| 3. ივან პერშინი (რუსეთი) |
| **100 კგ.** |
| 1. არიელ ზეევი (ისრაელი) |
| 2. რუსლან გასიმოვი (რუსეთი) |
| 3. კეიჯი სუძუკი (იაპონია) |
| 3. ნაიდან ტუვშინ ბაიარი (მონღოლეთი) |
| **მძიმე** |
| 1. ტამერლან ტმენოვი (რუსეთი) |
| 2. პაოლო ბიანკესი (იტალია) |
| 3. ტედი რინერი (საფრანგეთი) |
| 3. ლაშა გუჯეჯიანი (საქართველო) |

## ჭადრაკი

### საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა

# ამ ოთხეულს არავინ ელოდა

კვირას დასრულდა საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის ტურნირი. გაირკვა იმ ოთხეულის ვინაობა, ვინც სამი კვირის შემდეგ უმაღლეს ლიგაში ითამაშებს. აქედანვე ვიტყვით, რომ ისეთი კვარტეტი გამოვიდა, ყველაზე თამამი პროგნოზითაც რომ ვერ ინინასწარმეტყველებდი...



დავით არუთინიანი

პირველ ადგილზე 6.5 ქულით ბათუმელი **გაიოზ ნიგალიძე** გავიდა, მეორეზე - თბილისელი **პარმენ გელაზონია** (6.5), მესამე ადგილი **შოთა აზალაძეს** (6) ერგო, მეოთხეზე **დავით არუთინიანია** (6). ამ ოთხეულიდან მხოლოდ დავითს აქვს წოდება, თანაც დიდოსტატის და სოლიდური რეიტინგითაც გამოირჩევა - 2550. ნიგალიძეს, გელაზონიას და აზალაძეს კი ფიდეს ოსტატის წოდებითაც კი არ შეუძლიათ თავის მოწონება. რაც შეეხება მათ რეიტინგებს - ნიგალიძის მაჩვენებელია - 2224, გელაზონიასი - 2268, ხოლო აზალაძისა - 2332, ეს კი ქალთა შორისაც კი დაბალ მაჩვენებლად ითვლება.

ისე არ უნდა გაგვიგოთ, რომ ამით მათ ოსტატობას ვაკნინებდეთ - აქ სხვა საკითხი დგება: ქართული საჭადრაკო სკოლა საკმაოდ ძლიერია, რეიტინგის ნაკლებობა კი იმით არის გამოწვეული, რომ ჩვენს მოჭადრაკეებს საერთაშორისო ტურნირებზე სისტემატურად თამაშის საშუალება არ აქვთ. არც საქართველოში ტარდება მსგავსი ტურნირები და უთამაშებლად ქულებს, ცხადია, ვერ დააგროვებ.

მიუხედავად ამისა, მოულოდნელობა მაინც სახეზეა: ვინც ოთხეულს მიღმა დარჩა, იმათ გამარჯვებულებზე ბევრად დიდი გამოცდილება და სათამაშო პრაქტიკა აქვთ. თუმცა სპორტსმენს არასდროს უნდა დაავიწყდეს, რომ დროთა განმავლობაში ახალგაზრდობა იზრდება, ძლიერდება და კონკურენციაც მატულობს. შესაძლოა, ფავორიტები კარგად ვერ განეწყვნენ - არუთინიანმაც კი, რომელმაც 2006 წელს საქართველოს ნაკრებში ოლიმპიადაზეც ითამაშა და, არცთუ ურიგოდ, ბოლო წამს შეძლო ოთხეულში მოხვედრა - გელაზონიასთან ბოლო პარტიაში თეთრებით აშკარად უარესი პოზიცია მიიღო, თუმცა პარმენს, რომელმაც მერვე ტურში გამარჯვებით ერთპიროვნული ლიდერობა შოთა აზალაძეს აართვა, ყაიმიც ჰყოფნიდა და ალბათ არ გარისკა.

არუთინიანი რეიტინგით ამ ტურნირში პირველი იყო, აზალაძე - მეჩვიდმეტე, გელაზონია - 25-ე და ნიგალიძე - 29-ე.

ბოლოს ესეც ვთქვათ - ოთხეულის წევრებმა მართლაც ყველაზე უკეთ ითამაშეს და უმაღლესი ლიგის საგზური ღირსეულად დაიმსახურეს. განსაკუთრებით გამოსარჩევი მაინც 17 წლის გაიოზ ნიგალიძის წარმატებაა. ამ ბიჭს ლელო მხოლოდ თავისი ნიჭით გააქვს - კვალიფიციური მწვრთნელი არ ჰყავს, რადგან ამისათვის დიდი თანხებია საჭირო. გაიოზს მხოლოდ **ელგუჯა ანთაძე** ეხმარება, რომელიც, თავის მხრივ, ჭადრაკს მთელ დროს ვერ უთმობს და სხვა სფეროში საქმიანობს...

ნიგალიძემ პირველი ლიგის შესარჩევიც მოიგო ერთი თვის წინ, შემდეგ 18-წლამდელთა საქართველოს ჩემპიონატს მთელი ტურნირი ლიდერობდა, მაგრამ ბოლო ტურში მარცხით დაკარგა პირველ-მეორეზე გასვლის და მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატის საგზურის მოპოვების შესაძლებლობა. მისი სახით ქართულ ჭადრაკს მართლაც ნიჭიერი ოსტატი ეზრდება და ეგებ ჭადრაკის ფედერაციამ, აჭარის ხელმძღვანელობამ და სხვებმაც, ვისაც ქართული სპორტისთვის დახმარება შეუძლია, მის მიმართ ყურადღება გამოიჩინონ.

სამწუხაროდ, ეროვნული ჩემპიონატების პირველ ლიგას არ ენიჭება ისეთი სტატუსი, რომელიც საერთაშორისო წოდების მოპოვების საშუალებას მისცემდა მოჭადრაკეებს. ამიტომ, ჩვენს უწოდებო გამარჯვებულების სტატუსის გრაფაში კვლავ არაფერი იქნება მინიშნებული. არადა, ასეთ ძლიერ ტურნირში 6.5 ქულის, თუნდაც ექვსის დაგროვება საერთაშორისო ოსტატის ნორმის შესრულებას ნიშნავს.

საბოლოოდ ათეული ასეთი გამოვიდა:
**1. გაიოზ ნიგალიძე - 6,5; 2. პარმენ გელაზონია - 6,5; 3. შოთა აზალაძე - 6; 4. დავით არუთინიანი - 6; 5. გიორგი მარგველაშვილი - 6; 6. ზეგლარ ჯობავა - 6; 7. დავით ჯოჯუა - 6; 8. დავით ზარქუა - 6; 9. კონსტანტინე შანავა - 6; 10. დავით მაღალაშვილი - 5.5.**

საგზური პირველმა ოთხმა მოჭადრაკემ მიიღო, მაგრამ არაა გამორიცხული, მეხუთე და მეექვსე ადგილოსნებმაც შეძლოს უმაღლეს ლიგაში თამაში. ეს კი მაშინ არის შესაძლებელი, თუკი რომელიმე მონაწილე უარს იტყვის თამაშზე. შეგახსენებთ, უმაღლეს ლიგაში 12 მონაწილე ითამაშებს, 8 მოჭადრაკე უკეთესი რეიტინგის გამო პირდაპირ დაუშვეს, 4 პირველი ლიგიდან დაემატა. ადრევე ცნობილი იყო, რომ არ ითამაშებდა **ზვიად იზორია**, რომელიც ამერიკაშია და ვერ ჩამოდის. დანარჩენებიდან ყველამ განაცხადა წინასწარი თანხმობა. ესენი არიან: **ბაადურ ჯობავა** (2650), **ზურაბ აზმაიფარაშვილი** (2632), **ლევან ფანცულაია** (2612), **თამაზ გელაშვილი** (2612), **მერაბ გაგუნაშვილი** (2611), **გია გიორგაძე** (2610), **გიორგი ყაჭეიშვილი** (2587) და **მიხეილ მჭედლიშვილი** (2583).

**ზვიად შათირიშვილი**

## ჭიდაობა

### ორი ვერცხლი

ამ უქმეებზე კიევში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც საქართველოდან თითქმის უძლიერესი გუნდი გამოდიოდა. როგორც შევიტყვეთ, ჩვენებურთა მონაგარი ორი ვერცხლის მედალია - ერთი **გელა სალირაშვილის** (74) ნადავლია, მეორე - მძიმეწონოსან **დავით მოძმანაშვილისა**.

24 25

### ნაგებები ანთალიაში

გუშინ ანთალიაში დამთავრებულ „ანტიკოსთა" მსოფლიო თასზე ჩვენი ნაკრები წარუმატებლად გამოვიდა. ეს ტურნირი გუნდური პრინციპით ტარდება და ამჯერად მასში მასპინძლები, ირანელები, რუსები, ამერიკელები და უკრაინელები გამოდიოდნენ.

ჩვენები პირველად სწორედ უკრაინელებს შეხვდნენ და 2:5 წააგეს. ჩვენებურთაგან **დავით ბედინაძემ** (60) და **რამაზ ნოზაძემ** (90) იმარჯვეს, **ირაკლი ჭოჭუა** (55), **მუხრან მაჭუტაძე** (66), **მანუჩარ კვირკველია** (74), **აკაკი ჯოხაძე** (84) და **რევაზ ჭელიძე** (მძიმე) კი დამარცხდნენ.

მეორე წრეში ასევე უკრაინელებთან განბილებული მასპინძლები გველოდნენ და - 6:1 მოგვიგეს. ჩვენებურთაგან ეს ერთადერთი შეხვედრა ისევ ბედინაძემ მოიგო. ნოზაძემ ორგზის ოლიმპიურ და მსოფლიო ჩემპიონ **ჰამზა ერლიქაიასთან** წააგო, ჯოხაძემ - მსოფლიო ჩემპიონ **ნაზმი ავლუჯასთან,** მაჭუტაძე კი ასევე მსოფლიო ჩემპიონ **სერეფეროღლუსთან** დამარცხდა.

წუხელ ჩვენები მეხუთე ადგილისთვის ირანელებს უნდა დაჭიდებოდნენ. რომც მოეგოთ, დაგვეთანხმებით, ეს დიდი ვერაფერი შედეგია, მაგრამ ნაკრების თავკაცთათვის მთავარი საშეჯიბრო პრაქტიკა იყო და არა ჯილდოები.



## ვახტანგიშვილის იმედად

ესპანურ ხაკაში დასრულდა ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები, სადაც საქართველოს წარმომადგენლებმაც მიიღეს მონაწილეობა. ხუთი ქართველიდან ხაკაში წარმატებით მხოლოდ **კოტე ვახტანგიშვილმა** იასპარეზა. 15 წლის სამთომოთხილამურემ ყველა დანარჩენ ჩვენებურს აჯობა. როგორც აღმოჩნდა მის მიერ სპეციალურ სლალომში ნაჩვენები 28-ე შედეგი შემთხვევითობა სულაც არ ყოფილა - სამთომოთხილამურეთა ბოლო დისციპლინაში, გიგანტურ სლალომში კოტე ვახტანგიშვილმა კიდევ უფრო გააუმჯობესა შედეგი. პირველ ცდაზე კოტე 1:09,35 წუთში დაეშვა, მეორეში კი - 1:08,45. მართალია, გამარჯვებულს ქართველი თითქმის ათი წამით ჩამორჩა, მაგრამ მისი შედეგი 24-ე ადგილისთვის აღმოჩნდა საკმარისი. წლეულს ხაკაში გამოსვლამდე ვახტანგიშვილი იტალიურ შეჯიბრებში ასპარეზობდა, FIS-ის ეგიდით გამართულ ტურნირებში ყველაზე უკეთ ვახტანგიშვილმა სან კონდიდოში ისრიალა, სადაც 31-ე ადგილი დაიკავა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

საქართველოს ჩემპიონატი. სუპერლიგა. XIV ტური

# ავიამშენი-აზოტი, ისევე, როგორც ფინეთი-საქართველო

## ხოშტარია ნაკრებსაც ხომ არ აკლდა?



ავიამშენი-აზოტი

ნუგზარ სუარიძის ფოტო

...დიახ, "აზოტში" შაბათს ისეთი ვერავინ მოიძებნა, რომელიც გაჭირვების ჟამს ორ სროლას ზედიზედ ჩააგდებდა და თანაგუნდელებსაც აიყოლიებდა. ეს საქმე შედარებით გამოცდილს უნდა შეესრულებინა, მაგრამ "აზოტში" ასეთი მხოლოდ სამი კალათბურთელი იყო - **რამაზ გოგობერიშვილი** (რომელმაც 7-დან 1 სამქულიანი ჩააგდო), **ვაკო ბეჟანიშვილი** (რომელიც "ავიასთან" ვერაფერს გამორჩა) და **დავით ბერძენიშვილი** (რომელიც წონაშია მომატებული და ფორმას ნელ-ნელა ილდგენს). ხოლო ახალგაზრდებს (მაგალითად, ტულუშსა და გამყრელიძეს) ლიდერობა ხან გამოსდით, ხან - არა, ისევე, როგორც ზაზა ფაჩულიას (ფინეთთან შარშანდელი და შარშანწინდელი მატჩები გაიხსენეთ).

მოკლედ, "აზოტს" "ავიამშენთან" აკლდა **ირაკლი ხოშტარიასნაირი** კალათბურთელი. თვალსაჩინოებისთვის ერთწუთიანი მონაკვეთი გამოგვადგება: საფინალო სირენამდე 7 წუთით ადრე ანგარიშში სხვაობა 9 ქულას შეადგენდა (66:57 "ავიას" სასარგებლოდ). ამ დროს "აზოტმა" თითქოს თამაშიც დაალაგა, მაგრამ ირაკლი ხოშტარიას მატჩის ბედის გადასაწყვეტად ზუსტად ერთი წუთი ეყო - ჯერ ორქულიანი ჩააგდო, შემდეგ გოგობერიშვილის ტექნიკური შენიშვნისთვის განკუთვნილი ორი საჯარიმო, ბოლოს - სამქულიანი ...და სირენამდე 6 წუთით ადრე ტაბლოზე "ავიამშენის" სასარგებლოდ 74:57 დაფიქსირდა. დარჩენილ დროში რუსთაველთა მიერ სიტუაციის გამოსწორების მცდელობა ისევე ამაო გამოდგა, როგორც საქართველოს ნაკრებისა ფინეთში...

მიმოხილვის წერას მანამ შევუდგებოდი, კითხვებს ნამდვილად არ შევუწუხებივარ, ბოლოს კი ერთი ისეთი კითხვა დამებადა, რომელიც შეიძლება ბევრ მკითხველსაც გასჩენოდა: იქნებ, ეროვნულ ნაკრებსაც ირაკლი ხოშტარია აკლდა? მით უმეტეს, რომ მისებრ გამოცდილი ეროვნულში მხოლოდ ერთი კაცია - **ვახტანგ ნაცვლიშვილი**. ორივე 1976 წელსაა დაბადებული. **გორდონ ჰერბერტის** გუნდში მისი გამოძახებისთვის საკმარისი თუნდაც ის უნდა იყოს, რომ ირაკლიმ აზოტელ ნაკრების წევრებს **ტულუშს, გამყრელიძეს, უგრეხელიძესა** და **ბოისას** წელს უკვე მეორედ აჯობა.

რუსთაველთა თავკაცის მატჩისშემდგომი კომენტარი უკვე შემოგთავაზეთ. ახლა "ავიატორებს" მოვუსმინოთ.

მთავარი მწვრთნელი, **ლევან მოსეშვილი**: *"ამ შეხვედრის ჩვენს სასარგებლოდ დასრულება ძნელად წარმომედგინა. აზოტელები ცოტას ნერვიულობდნენ, ამის მიზეზიც ჰქონდათ, თასის ფინალში ხომ სწორედ ჩვენთან დამარცხდნენ. მაგრამ მეგონა, რომ ბოლოს მაინც მოახერხებდნენ დაწყნარებას და თამაშის დალაგებას. ჩვენდა სასიხარულოდ, ასე არ მოხდა."*

ირაკლი ხოშტარია: "ეს მატჩი რომ წაგვეგო, რეგულარული ჩემპიონატის პირველ ადგილზე დასრულების შანსს ნაადრევად დავკარგავდით. ახლა კი მცირე შანსი შევინარჩუნეთ, რომ ფინალის გადამწყვეტი შეხვედრა საკუთარ მოედანზე ჩავატაროთ."

**ვაჟა სიმონიშვილი**

### 24 თებერვალი

**სტუ-დინამო 77:83**

13:36, 23:18, 21:14, 20:15

სტუ: კოხრეიძე (11ქ, 5ფ), ძიძიგური (6ქ, 9პ, 5შ), მაისურაძე (11ქ, 9მ, 5პ, 5შ), დევიძე (21ქ), ახალკაცი (18ქ, 9მ, 3პ, 5შ), ბარბაქაძე (10ქ, 4პ, 4ჩ), სებისკვერაძე

დინამო: გულისაბედაშვილი (14ქ, 7მ), ბადრიძე (9ქ,9პ), ტაბატაძე, სიგუა(3ქ, 3პ), მ-ურჯიკნელი (6ქ,5ფ), კეშელავა (30ქ), ფაიქრიძე (2ქ), გაბაშვილი, ნ. ნოზაძე (8ქ, 3ჩ), კოლუაშვილი (11ქ, 5მ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, ხ. გაბედავა

**თსუ-მაკაბი 111:97**

30:18, 27:33, 31:19, 23:27

თსუ; არწივიძე, ბ. ბერიშვილი (33ქ, 6მ, 3პ, 4ჩ), ფანჩულიძე (4ქ), ლეჟავა (27ქ, 5პ), მარხვაშვილი(3ქ, 5პ), ვეფხვაძე (4ქ,6პ), შანიძე (9ქ, 4პ), მათიაშვილი (12ქ, 7მ), ხეცურიანი (12ქ), იმნაძე (2ქ), მ. ბერიშვილი (5ქ), ტყეშელაშვილი

მაკაბი: დოლიძე (8ქ, 8პ, 6შ), ენუქიძე (3ქ), გ. შერმადინი (52ქ, 20მ, 4პ, 6დ, 5შ), ჯგერენაია (5ქ, 5მ, 3პ), კორძაძე, კორკოტაძე (10ქ, 5შ), ს. შერმადინი (12ქ, 4პ), პირველაშვილი (7ქ, 3პ), ბარსეგიანი

მსაჯები: დ. არეშიძე, მ. ანდლულაძე

**ავიამშენი-აზოტი 91:79**

17:20, 27:18, 15:15, 32:26

ავიამშენი : დ. ბერიშვილი (15ქ, 5მ, 7პ), ბაბიაშვილი (20ქ, 13მ, 3პ), ხოშტარია (28ქ, 5მ), ნიკოლაძე (14ქ, 7მ, 5პ), ი. ბერიშვილი (2ქ), კეიდია 95ქ), როდუმტა 95ქ, 7მ, 5ფ), სუხიშვილი (3ქ)

აზოტი: გამყრელიძე (10ქ, 5მ, 6პ), ბერძენიშვილი (5ქ), ბეჟანიშვილი (4ქ), ბოისა (10ქ, 4პ), ცეკვავა, ტულუში (15ქ, 4პ, 5ფ), მარკოიშვილი (9ქ), უგრეხელიძე (18ქ, 10მ), გოგობერიშვილი (3ქ), ტუჯანი (5ქ, 9მ)

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, დ. არეშიძე

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. აზოტი | 14 | 13 | 1 | 27 |
| 2. ავიამშენი | 14 | 12 | 2 | 26 |
| 3. თსუ | 14 | 9 | 5 | 23 |
| 4. დინამო | 14 | 4 | 10 | 18 |
| 5. მაკაბი | 14 | 2 | 12 | 16 |
| 6. სტუ | 14 | 2 | 12 | 16 |

მომდევნო ტური. 2 მარტი: აზოტი-სტუ, 3 მარტი: დინამო-მაკაბი, თბილავიამშენი-თსუ

*"დღეს თამაში არ გამოგვივიდა. ჩემი გუნდის მხრიდან, ფაქტობრივად, ბრძოლაც არ იყო. ამის კონკრეტულ მიზეზს ვერ დავასახელებ, თუმცა, ეტყობა, გარკვეული ჩავარდნა გვაქვს და ვეცდებით, მალე ყველაფერი გამოვასწოროთ"*, - ასეთი კომენტარი გაუკეთა მატჩს რუსთაველთა მწვრთნელმა **დავით უსტიაშვილმა**.

მისი სიტყვების მოსმენისთანავე კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის **ბესიკ ლიპარტელიანის** ნათქვამი გამახსენდა: *"მთლიანად გუნდმა ვერ ითამაშა. რატომ? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მიჭირს, მაგრამ ფაქტია, რომ რაღაც აკლდა."* ...ოღონდ სიტყვა გუნდში არა "აზოტს", არამედ ფინეთთან მატჩში ეროვნულ ნაკრებს გულისხმობდა.

გუშინ რუსთაველები სწორედ ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, როგორშიც ნაკრები ჰელსინკში (ორჯერ). ორივეს რაღაც აკლდა, *"რაღაც ნაპერწკალი, რომელიც ბიჭებს თვალებს აუნთებდა და ემოციური მუხტის მოედანზე გადმოფრქვევას შეუწყობდა ხელს. ეს ნაპერწკალი შეიძლება ქომაგი ყოფილიყო, შეიძლება ლიდერი"*... - ასკვნის 1961 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელი ვალერი ალთაბაევი.



ბურთით ირაკლი ხოშტარია

ნუგზარ სუარიძის ფოტო

# შერმადინმა რეკორდი დაიბრუნა

### ტურის მოვლენა

ფლეი ოფის მოახლოებასთან ერთად ეროვნული ჩემპიონატი იძაბება და დამატებით ხიბლს იძენს. გეხსომებათ, რომ მე-13 ტურში **კოტე ტულუშმა** 11 სამქულიანი 100-პროცენტიანი სიზუსტით სტყორცნა და **გიორგი შერმადინის** სეზონის რეკორდი გააუმჯობესა - 45 ქულა ჩააგდო. შერმადინმაც არ დააყოვნა და შაბათს ახალი რეკორდი დაამყარა – 52 ქულით პირველობა დაიბრუნა. თსუ-სთან მატჩისას მან 22-დან 15 ორქულიანი, 6-დან 2 სამქულიანი, 18-დან 16 საჯარიმო გამოიყენა, თუმცა თანაგუნდელებს გამარჯვებაში მაინც ვერ დაეხმარა – თსუ-მ "მაკაბი" 111:97 დაამარცხა. აქვე გაგახსენებთ, რომ ეროვნული ჩემპიონატების რეკორდი დინამოელ **დავით ჩიქოვანს** ეკუთვნის – 74 ქულა. მეორეა **დავით თორთლაძე** (65 ქულა), ხოლო მესამე – **გიორგი მარხვაშვილი** (63).

რაც შეეხება ზოგადქართულ რეკორდს, იგი გიორგი შერმადინს ეკუთვნის - ამა წლის იანვარში საქართველოს თასის გათამაშებისას სტუ-ს კალათში 76 ქულა მოათავსა.

### ტურის მოთამაშე

ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზიდან შინ რომ დავბრუნდი, მეგობარმა მკითხა: თუკი შერმადინმა 52 ქულა ჩააგდო, ტურის საუკეთესოდ რატომ არ დაასახელეთ, მეტი რა უნდა გაეკეთებინა?

შაბათს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა – "აზოტი" ამ ჩემპიონატში პირველად დამარცხდა. იცით ვისთან? – **ირაკლი ხოშტარიასთან**. ამბობენ, ერთ კაცს 12-ის ძლევა არ შეუძლიაო, მაგრამ ირაკლიმ საპირისპიროში წლეულს უკვე მეორედ დაგვარწმუნა. პირველად ეს 29 იანვარს გააკეთა – თასის ფინალში ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე რუსთაველთა დაცვაში დიდი ხვრელი მონახა, 30 ქულა ჩააგდო და "ავიამშენს" თასი მოაგებინა.

მე-14 ტურში ხოშტარიამ ორით ნაკლები, 28 ქულა (4-დან 3 სამქულიანი) მიითვალა. ზედაც 5 მოხსნა და თითო ჩაჭრა-დაფარება მიაყოლა.

### ტურის ფრაზა

- დღეს ფინალია?
- არა, რატომ მეკითხები?
- აბა, ამდენი მაყურებელი რატომ მოვიდა?

აი, ასეთი დიალოგი მოვისმინე ზურგსუკან. აქ მნიშვნელოვანი არა პირველი მოსაუბრის გაუთვითცნობიერებლობაა, არამედ კითხვის ობიექტი: მაისში გამართული ფინალების შემდეგ ვერის ბაღის დარბაზში ამდენი ქომაგი არ შეკრებილა, დასაჯდომი ადგილების მონახვა იოლი ნამდვილად არ ყოფილა. ამის მიზეზზეც მოგახსენებთ: სუპერლიგის ხელმძღვანელობამ მატჩის წინ "თბილავიამშენის" ქარხანაში შეიარა და "აზოტის" წინააღმდეგ "ავიას" საქომაგოდ მცირე აგიტაცია (!?) ჩაატარა. სუპერლიგის „ინიციატივამ" გაამართლა და ამ სეზონში უშუალო დაპირისპირებისას "ავიატორთა" გულშემატკივრებმა რუსთაველებს აჯობეს. ქომაგის ფაქტორმა მატჩზეც იქონია გავლენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## რაგბი

# მოგება და წითელი ბარათი

**საფრანგეთის** ჩემპიონატის მეორე დივიზიონში 21-ე ტურის შეხვედრები გაიმართა. ყველაზე საინტერესო დაპირისპირება ტულონში შედგა, სადაც ადგილობრივი გუნდი ლანგედოკურ "ბეზიეს" დაუპირისპირდა.

**გია ლაბაძისა** და **გიორგი კუთარაშვილის** "ტულონმა" **ირაკლი მაჩხანელის** "ბეზიეს" აშკარად აჯობა და 25:11 დაამარცხა. შედეგად ტულონელებმა სატურნირო ცხრილში ლანგედოკელებს გადაასწრეს. "ტულონის" კაპიტანმა **გია ლაბაძემ** თამაში ძირითად შემადგენლობაში დაიწყო და 78-ე წუთზე მეტოქესთან ჩხუბისთვის წითელი ბარათი უჩვენეს. კუთარაშვილი თამაშში მე-60 წუთიდან ჩაერთო, მაჩხანელი განაცხადში არ ყოფილა.

ილია ზედგინიძის "ოშმა" პლეი ოფში გასასვლელად მებრძოლი კიდევ ერთი გუნდი,"ლა როშელი" დაამარცხა. 22:9. ზედგინიძე განაცხადში არ იყო.

საკუთარ მოედანზე, მინიმალური ანგარიშით დამარცხდა "გაიაკთან" **ლევან ლვაბერიძის** "გრენობლი" 15:16. ალპელების შემადგენლობაში ლვაბერიძეს ისევ არ უთამაშია.

ასევე საკუთარ მოედანზე დამარცხდა "ოიონაქსთან" **მამუკა მაგრაქველიძისა** და **დავით აშვეთიას** "მეტრო რასინგი" 12:15. პარიზელებმა ამ მარცხით ლიდერთა ჯგუფთან მიახლოებისა და პლეი ოფისთვის ბრძოლის შანსი დაკარგეს.

სტუმრად ერთ-ერთ კონკურენტ "ტარბთან" დამარცხდა **მერაბ კვირიკაშვილის** "პო" - 5:9. "მეკოს" გუნდიდან ერთადერთი ლელო რუმინელმა **რაზვან მავროდინმა** გაიტანა.

საფრანგეთი. II დივიზიონი. XXI ტური. **კოლომიე-ლიონი 9:22, გრენობლი-გაიაკი 15:16, ტულონი-ბეზიე 25:11, ლიმოჟი-ბორდო 25:20, ტარბი-პო 9:5, მეტრო რასინგი-ოიონაქსი 12:15, ოში-ლა როშელი 22:9, დაქსი-მონ დე მარსანი 29:17.**

1. **ოში - 82** ქულა / 2. დაქსი - 64, **3. ტულონი - 64, 4. ბეზიე - 60,** 5. ლა როშელი - 60 / 6. ლიონი - 59, 7. ოიონაქსი - 52, **8. მეტრო რასინგი - 46,** 9. გაიაკი - 44, **10. გრენობლი - 40,** 11. ბორდო - 40, 12. ტარბი - 39, **13. პო - 37** / 14. მონ დე მარსანი - 36, 15. ლიმოჟი - 35, 16. კოლომიე - 24.

**ბესიკ ჯანგავაძე**



ექვსი ერი. III ტური

# ორი ისტორიული მატჩი

მესამე ტური აღინიშნა ირლანდიის მიერ ინგლისის ჯერარნახული განადგურებით "კროუკ პარკზე". აქამდე ინგლისის ამ ყოფილი კოლონიისგან ყოფილი მეტროპოლიის ძლევის რეკორდი 22:0 იყო, მთელი 60 წლის წინ დამყარებული. ისტორიული შედეგი აჩვენა იტალიამაც - პირველი საგარეო მოგება "ექვსი ერის" ისტორიაში - მე-6 წუთზე სტუმრები სამი ლელოთი, 21:0 იყვნენ წინ! უკვე ერთპიროვნული ლიდერი, საფრანგეთი, თავიდან 3:14 ჩამორჩა უელსთან, მაგრამ **დავიდ სკრელას** საჯარიმოებით საბოლოოდ მაინც გაიმარჯვა. მეოთხე ტურში საკვანძო მატჩია - თუ ინგლისი შინ საფრანგეთის დამარცხებას მოახერხებს, მაშინ ირლანდიელებს გაუჩენს ფრანგების დაწევის შანსს.

**ირლანდია–ინგლისი 43:13**

ირლ: (15-9) **დემპსი, ჰორგანი, ოდრისკოლი, დარსი, ჰიკი, ოგარა, სტრინგერი** (1-8) **ჰორანი, რ.ბესტი, ჰეიესი, ოკალაჰანი, ოკონელი, ისტერბი, დ. ვოლისი, ლიმი** / (16-22) ფლენერი, ს.ბესტი, ნ. ბესტი, მ.ოდრისკოლი; ბოსი, პ. ვოლისი, თრიმბლი - **4ლ (დემპსი, დ. ვოლისი, ჰორგანი, ბოსი); 4გ,5ს (ოგარა)**

ინგ: (15-9) **მორგანი, ლუსი, თინდოლი, ფარელი, სტრეტლი, ვილკინსონი, ელისი** (1-8) **ფრეშუოტერი, ჩატერი, ვიკერი, დიკონი, გრუკოკი (სბ 28), ვორსლი, ლუნდი, ქორი** / (16-22) მეირსი, ვაითი, პალმერი, რიისი; პერი, ფლუდი, ტეიტი - **ლ (სტრეტლი); გ,2ს (ვილკინსონი)**

**შოტლანდია–იტალია 17:37**

შოტ: (15-9) **საუსველი, შ. ლემონი, დიროლო, დუი, პატერსონი, გოდმენი, კაზიტერი;** (1-8) **ქერი, ჰოლი, ი. მარი, ჰაინსი, ს.მარი, ტეილორი (სბ 20), ბრაუნი, კალემი** / (16-22) ფორდი, ჯეკობსენი, ჰამილტონი, ჰოგი; ლოუსონი, ჰენდერსონი, ვოკერი - 2ლ (დუი, პატერსონი), **2გ,ს (პატერსონი)**

იტა: (15-9) **დემარინი, რობერტსონი, კანალე (სბ 80), მირკო ბერგამასკო, მაზი, სკანავაკა, ტრონკონი** (1-8) **ლოჩიჩერო, ფესტუჩა, კასტროჯოვანი, დელაპე, ბორტოლამი** (სბ 35), **ძანი, მაურო ბერგმასკო, პარისე** / (16-22) ონგარო,პერუჯინი, ნიეტო, ბერნაბო; ძაფირი, გრიფენი, პესი - **4ლ (მაურო ბერგამასკო, სკანავაკა, რობერტსონი, ტრონკონი); 4გ,3ს (სკანავაკა)**

**საფრანგეთი–უელსი 32:21**

საფ: (15-9) **პუატრენო, კლერი, მარტი, ჟოზიონი, დომინისი, სკრელა, მინიონი** (1-8) **მილუ, იბანესი, მასი, ნალე, თიონი, ბეტსენი, ბონერი, ვერმიულენი** / (16-22) ოგიუსტი, მარკონე, ლამბოლეი, არინორდოკი; იაშვილი, ბოსი, რუჟერი - **2ლ (დომინისი, ნალე); 2გ (სკრელა), 6ს (სკრელა-5, ბოსი)**

უელ: (15-9) **ბირნი, შ.ვილიამსი, შენკლინი, ჰუკი, მ. ჯოუნზი, ს. ჯოუნზი, პილი** (1-8) **ჯენკინსი, რიისი, ჰორსმენი, გაფი, ა.ვ. ჯოუნზი, პოპემი, მ. ვილიამსი, რ. ჯოუნზი** / (16-22) რ.თომასი, დ.ჯოუნზი, კოკბეინი, ჯ.თომასი; ფილიპსი, სვინი, რობინსონი - **3ლ (პოპემი, შენკლინი, რობინსონი), 3გ (ს.ჯოუნზი)**

3 ტურის შემდეგ: საფრანგეთი-6, ირლანდია, ინგლისი-4, იტალია, შოტლანდია-2, უელსი-0

მეოთხე ტური. **10 მარტი:** შოტლანდია-ირლანდია, იტალია-უელსი; **11 მარტი:** ინგლისი-საფრანგეთი; მეხუთე ტური. **17 მარტი:** იტალია-ირლანდია, საფრანგეთი-შოტლანდია, უელსი-ინგლისი

ზე 14. XIV ტური

# ლიდერი შეიცვალა

ზე-14-ის მეოთხე ტური ნაკლული იყო, ისვენებდნენ "ვორათაზი" და "შარქსი". აფრიკელი "ზვიგენების" დასვენებით უმალ ისარგებლეს "ბლუზმა" და "ჰარიკენზმა" და ცხრილში გადაასწრეს მეტოქეს.

"ბლუზი" ოკლენდში "რედსს" მასპინძლობდა. ორი ლელო გაიტანა შეცვლაზე შესულმა გარემარბმა **რუდი ვულფმა,** რომელიც შესანიშნავ ფორმაშია. კარგად ითამაშეს **ისა ნათევამ, ჯერომ კაინომ** და განსაკუთრებით **ლუკ მაკალისტერმა.** ავსტრალიური "რედსი" კი მხოლოდ უდისციპლინო თამაშით გამოირჩა.

ველინგტონშიც ზელანდიური კლუბი გამოვიდა გამარჯვებული ზელანდიურ-ავსტრალიური ჯახიდან. "ჰარიკენზმა" **თომას ვოლდრომის** ლელოს წყალობით მოუგეს "ბრამბიზს". ველინგტონში კოკისპირულად წვიმდა, თუმცა მატჩის დროს გადაიღო, ასე რომ, მორიგი მცირექულიანი მატჩი "ვესტპარკის" სტადიონზე წვიმის ბრალი არაა.

ბლუმფონტეინში ჩემპიონმა პირველად აჩვენა რეალური ძალა, "კრუსეიდერზმა" ექვსი ლელო გაიტანა და "ჩიტაზი" 49:28 მოსრა. არადა წინა ტურში ზელანდიურმა კლუბმა ექვს წელიწადში პირველად ვერ შეძლო ლელოს გატანა. შაბათს **სტივენ ბრეტმაც** კარგად ურტყა საჯარიმოები და გარდასახვები. სხვა მატჩებიდან აღსანიშნავია "ლაიონზის" პირველი გამარჯვება ავსტრალიაში.

არა ზე-14-ეული სიახლეებიდან კი გამოვყოფთ IRB-ის ინიციატივას, რომელიც სამხრეთული რაგბის ბობოლებისგან (სანზარი) უკვე მომავალი წლიდანვე ითხოვს არგენტინის ჩართვას "სამი ერის" გათამაშებაში. ასე რომ, დიდი შანსია მომავალი წლიდან "ოთხი ერის" მომსწრენი გავხდეთ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ჰარიკენზი–ბრამბიზი 11:10**

ჰარიკენზი (ზელ): ლ (ვოლდრომი), 2ს (გოპერთი)
ბრამბიზი (ავს): ლ (უოლეს-ჰარისონი), გ,ს (ჰაქსლი)

**ჰაილენდ.–სტორმერზი 35:24**

ჰაილენდერზი (ზელ): 4ლ (სონდერსი 2, ვაკასედუადუა, საჯარიმო), 3გ, 3ს (ორი)
სტორმერზი (აფრ): 4ლ (ბეკერი, პოლსე, ფანდერმერვე, უოტსონი), 2გ (გრანტი)

**ბლუზი–რედსი 38:13**

ბლუზი (ზელ): 4ლ (ვულფი 2, ნათევა, კაინო), 3გ (ნათევა 2, მაკალისტერი), 3ს (მაკალისტერი 2, ნათევა)
რედსი (ავს): ლ (ფეტოაი), გ, 2ს. (შიფკოვსკი)

**ვესტ. ფორსი–ლაიონზი 24:25**

ფორსი (ავს): 2ლ. (შეპარდი, ჰარდი), გ, 4ს (შეპარდი)
ლაიონზი (აფრ): ლ (ფური), გ (სტრაიდომი), 5ს (სტრაიდომი 4, პრეტორიუსი), ა (პრეტორიუსი).

**ბულზი–ჩიფსი 30:27**

ბულზი (აფრ): 3ლ (ბ. ბოთა, სტინკემპი, ჰაბანა), 5ს. (შტაინი 3, ჰუხარდი 2)
ჩიფსი (ზელ): 3ლ (მასაგა 2, სვინი), 3გ, 2ს (დონალდი)

**ჩიტაზი–კრუსეიდერზი 28:49**

ჩიტაზი (აფრ): 3ლ (ნილი 2, კრუგერი), 2გ, 2ს (ბოსმანი), ა. (კრუგერი)
კრუსეიდერზი (ზელ): 6ლ. (ლაულალა, როლფი 2, ჰამილტონი 2, ბრეტი), 5გ, 3ს (ბრეტი)

| | მ | ფ | წ | ბ | პრ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბლუზი | 3 | 0 | 1 | 111-76 | 2 | 14 |
| ჰარიკენზი | 3 | 0 | 1 | 89-89 | 1 | 13 |
| შარქსი | 3 | 0 | 0 | 62-28 | 0 | 12 |
| ლაიონზი | 3 | 0 | 1 | 61-58 | 0 | 12 |
| კრუსეიდერზი | 2 | 0 | 2 | 110-93 | 3 | 11 |
| ჰაილენდერზი | 2 | 0 | 2 | 65-65 | 3 | 11 |
| ბრამბიზი | 2 | 0 | 2 | 52-46 | 2 | 10 |
| ჩიტაზი | 2 | 0 | 2 | 105-108 | 2 | 10 |
| ფორსი | 2 | 0 | 2 | 83-63 | 2 | 10 |
| ბულზი | 2 | 0 | 2 | 84-94 | 1 | 9 |
| ვორათაზი | 1 | 0 | 2 | 60-68 | 1 | 5 |
| ჩიფსი | 0 | 0 | 4 | 90-111 | 5 | 5 |
| რედსი | 1 | 0 | 3 | 63-93 | 1 | 5 |
| სტორმერსი | 1 | 0 | 3 | 57-100 | 1 | 5 |



ფაჩულია ჰიუსტონთან მატჩში

## კალათბურთი

ქართველები NBA-ში

# თბილისი, ანუ მოტივაცია

როგორც იცით, ვარსკვლავური უიქენდისას **ზაზა ფაჩულია** რამდენიმე დღით თბილისს ეწვია. ჩვენი ვარსკვლავის ქართული ვოიაჟის მიზეზზე საუბარი არაეთიკურია, ზაზას პრივატული თემების გარჩევას ნამდვილად არ ვაპირებთ. უბრალოდ, ფაჩულიას უთქვამს, საქართველოში რომ ჩამოვდივარ, მერე ნებისმიერ მატჩში, ნებისმიერი ოპონენტის წინააღმდეგ გაათმაგებული ენერგიით გავდივარ მოედანზეო.

ჩვენმა თანამემამულემ ეს "სან ანტონიოსთან" უმაღლეს დონეზე ჩატარებულ მატჩში დაამტკიცა, ამჯერად კი ზაზამ "ჰიუსტონთანაც" საკმაოდ კარგად ითამაშა და "ატლანტის" გამარჯვებაში არცთუ მოკრძალებული წვლილი შეიტანა.

"ატლანტა", რომელიც ფლეი ოფში აგერ უკვე 7 წლის განმავლობაში ვერ გადის, სახლში თამაშს თუ გააუმჯობესებს, აღმოსავლეთის 8 საუკეთესო გუნდში ნაღდად შევა.

**მაიკ ვუდსონის** გუნდი წლევანდელი რეგულარულის ნამდვილი პარადოქსია. "ჰოქსი" შინ გასვლაზე უარესად თამაშობს. საკუთარ არენაზე გამართულ 26 შეხვედრაში "ატლანტას" მხოლოდ 10 გამარჯვება აქვს მოპოვებული, მაშინ, როდესაც სტუმრად "ქორებმა" 29 ჯახი გამართეს და 12-ჯერ იმარჯვეს.

აღმოსავლეთში "ატლანტაზე" მეტი გასვლითი გამარჯვება მხოლოდ კონფერენციის ულაპარაკო ლიდერს, **ჩონსი ბილაპსისა** და **რაშიდ უოლასის** "დეტროიტ პისტონზს" აქვს მოპოვებული (17), ზაზა და მისი თანაგუნდელები კი 12 საგარეო მოგებით "კლივლენდთან" ერთად მეორე-მესამე ადგილებს ინაწილებენ.

*"გაუგებარია, მაგრამ ფაქტია - საკუთარ მოედანზე თავდაჯერება გვაკლია. იმედი მაქვს, ეს უსიამოვნო ნონსენსი სეზონის ბოლომდე გამოსწორდება და აქტუალური აღარ იქნება",* - ამბობს **ჯო ჯონსონი,** რომელმაც აღნიშნულ მატჩში 22-დან 12 ტყორცნა გამოიყენა და 45 წუთში ერთადერთი პერსონალურით შემოიფარგლა.

ზაზას პირველ სამ მეოთხედში განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია, ბოლო 12-წუთეულში კი საქართველოს ნაკრების ლიდერის მონაგარი 8 ქულა იყო.

ზაზამ პირველი ორი საჯარიმო ვერ გამოიყენა, რის მერეც მან ზედიზედ 8 იდენტური ტყორცნა უშეცდომოდ შეასრულა.

ფაჩულიას ოპონენტი ზაირელი **დიკემბე მუტომბო** გახლდათ, რომელიც ტრავმირებული **იაო მინის** არყოფნაში მეორე ახალგაზრდობას განიცდის და თითქმის ყველა მატჩს მინიმუმ 10 მოხსნითა და 2 დაფარებით ასრულებს.

ფაჩულიასთვის მუტომბოს ამჯერად არ დაუფარებია, ზაზამ კი ბოლო მეოთხედში რამდენიმე უმნიშვნელოვანესი საჯარიმო გამოიყენა. უკანასკნელ 75 წამში მასპინძლებმა 8-დან 7 ზუსტი ერთქულიანი მოიმკეს, **ჯოშ სმიტმა** და **მერვინ უილიამსმა** კი ჯონსონს ხელი შეაშველეს და სუპერვარსკვლავის მერე 20-20 ქულით გამარჯვებაში თავიანთი წვლილიც შეიტანეს.

სოლიდურად ითამაშა **ჯოშ ჩილდრესმაც,** ვისი 10 მოხსნიდანაც 6 შეტევაში იყო გაკეთებული.

საბოლოოდ, "ატლანტამ" თავისზე გაცილებით ძლიერი მეტოქე დაამარცხა და კიდევ უფრო მიუახლოვდა საფლეიოფო ზონას. ამ ეტაპზე "ჰოქსის" მთავარი კონკურენტები მერვე ადგილისთვის ბრძოლაში "ნიუ ჯერსი" და "ნიუ იორკი" არიან. შემადგენლობით "ატლანტა" ერთსაც ჩამოუვარდება და მეორესაც, თუმცა გუნდი მეორე ნახევარს საკმაოდ კარგად ატარებს და ყველაფერი შესაძლებელია.

**ზურაბ თალაკვაძე**

**ატლანტა–ჰიუსტონი 105:99**

29:28, 21:17, 24:28, 31:26

**ატლანტა:** ჯო ჯონსონი (45 წთ. 31 ქ. 7 პ. 4 მ), ჯოშ სმიტი (44 წთ. 20 ქ. 10 მ. 4 პ. 3 დ. 2 ჩ), მერვინ უილიამსი (31 წთ. 20 ქ. 3 მ. 3 პ. 1 ჩ), აივი (9 ქ\წთ. 2 ქ. 1 მ), ლ. რაიტი (12 წთ. უქულოდ, 3 მ. 1 პ) - **ზაზა ფაჩულია (31 წუთი, 12 ქულა, 7 მოხსნა, 1 დაფარება, 4 ფოლი, 1 შეცდომა),** ჩილდრესი (37 წთ. 11 ქ. 10 მ. 2 ჩ. 1 პ), კლექსტონი (21 წთ. 5 ქ. 4 მ. 3 პ. 1 ჩ), შელდენ უილიამსი (4 წთ. 4 ქ. 1 მ. 1 პ).

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (42 წთ. 37 წთ. 4 პ. 3 მ. 1 დ), ალსტონი (44 წთ. 23 ქ. 9 პ. 5 მ. 2 ჩ), ჯუვან ჰოვარდი (35 წთ. 19 ქ. 4 მ. 3 პ), მუტომბო (33 წთ. 9 ქ. 12 მ. 3 დ), ბეტიე (32 წთ. 3 ქ. 4 მ. 1 დ) - უელსი (20 წთ. 4 ქ. 6 მ. 1 ჩ), ჰეიესი (12 წთ. 4 ქ. 3 მ. 1 პ), ჰედი (18 წთ. უქულოდ, 1 მ. 1 პ), ლუკასი, სნიდერი.

**I მეოთხედი**

| | |
|---|---|
| 04:34 | ფაჩულიამ ლ. რაიტი შეცვალა |
| 01:34 | დაფარება: 1 (ჯ. ჰოვარდს დაუფარა) |
| 01:31 | მოხსნა: 1 (შეტ: 0, დაც: 1) |
| 00:40 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |

**II მეოთხედი**

| | |
|---|---|
| 11:35 | მოხსნა: 2 (შეტ: 0, დაც: 2) |
| 11:22 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 10:19 | ფაჩულიაზე ჰეიესი დაჯარიმდა |
| 10:19 | საჯარიმოები: 2/0 |
| 08:15 | ფაჩულია შ. უილიამსმა შეცვალა |
| 05:02 | ფაჩულიამ შ. უილიამსი შეცვალა |
| 00:35 | მოხსნა: 3 (შეტ: 0, დაც: 3) |
| 00:07 | ფაჩულია აივიმ შეცვალა |

**III მეოთხედი**

| | |
|---|---|
| 06:50 | ფაჩულიამ ლ. რაიტი შეცვალა |
| 06:12 | ფოლი: 1 |
| 05:49 | ფაჩულიაზე მუტომბო დაჯარიმდა |
| 05:49 | საჯარიმოები: 2/2 (2 ქ. 58:54) |
| 05:07 | მოხსნა: 4 (შეტ: 0, დაც: 4) |
| 01:52 | ფაჩულიაზე ჰეიესი დაჯარიმდა |
| 01:52 | საჯარიმოები: 2/2 (4 ქ. 68:65) |
| 01:01 | მოხსნა: 5 (შეტ: 0, დაც: 5) |
| 00:45 | მოხსნა: 6 (შეტ: 1, დაც: 5) |
| 00:43 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |

**IV მეოთხედი**

| | |
|---|---|
| 11:40 | ორქულიანი ტყორცნა: 6 ქ (76:73) |
| 09:45 | ორქულიანი ტყორცნა: 8 ქ (80:75) |
| 09:11 | შეცდომა: 1 (3 წამის წესი დაარღვია) |
| 08:55 | მოხსნა: 7 (შეტ: 1, დაც: 6) |
| 08:09 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 06:12 | ფოლი: 2 (უელსზე დაჯარიმდა) |
| 05:14 | ფოლი: 3 (მაკგრეიდიზე დაჯარიმდა) |
| 04:57 | ფაჩულიაზე მუტომბო დაჯარიმდა |
| 04:57 | საჯარიმოები: 2/2 (10 ქ. 88:87) |
| 02:21 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი (მაკგრეიდიმ დაუფარა) |
| 01:31 | ფოლი: 4 (მაკგრეიდიზე დაჯარიმდა) |
| 01:15 | ფაჩულიაზე ჯ. ჰოვარდი დაჯარიმდა |
| 01:15 | საჯარიმოები: 2/2 (12 ქ. 98:91) |
| 00:24 | ფაჩულია კლექსტონმა შეცვალა |
| 00:20 | ფაჩულიამ კლექსტონი შეცვალა |
| 00:19 | ფაჩულია კლექსტონმა შეცვალა |

**ატლანტა ჰოქსი:** 55 მატჩი, 22 მოგება, 33 წაგება, მე-4 ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში, მე-11 ადგილი აღმოსავლეთის კონფერენციაში.

**მომდევნო მატჩი:** ატლანტა-ფინიქსი (25 თებერვალი).

ტურნირების მიმოხილვა

# ვინუსიც გამარჯვებით დაბრუნდა



გასული კვირა მამაკაც და ქალ ჩოგბურთელთათვის მეტად გადატვირთული იყო. ATP-სა და WTA-ს ტურებზე ერთდროულად 6 ტურნირი გაიმართა. ამათგან, ყველაზე დიდი საპრიზო ფონდი საემიროებში, დუბაის ღია პირველობას ჰქონდა (1 500 000 დოლარი). შესაბამისად, იქაური ბადე ბევრმა ძლიერმა ჩოგბურთელმა შეავსო. მაგრამ ამავდროულად, ჩოგბურთის ექსპერტთა ყურადღება მემფისის მოკრძალებული ტურნირისკენაც იყო მიმართული, რადგან იქ, ტრავმებით გამოწვეული ოთხთვიანი პაუზის შემდეგ ამერიკელი **ვინუს უილიამსი** თამაშობდა.

უკანასკნელად, უფროსმა უილიამსმა WTA-ს ტურში შარშან ოქტომბერში, ლუქსემბურგში ითამაშა და მაშინ, მეორე წრეში გამოეთიშა ტურნირს. იძულებითი შესვენების გამო, ვენუსი მსოფლიო კლასიფიკაციაში 71-ე პოზიციამდე ჩამოქვეითდა, მაგრამ ახლა მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ელიტაში დაბრუნება. ამ მიზნისკენ მან პირველი ნაბიჯი გადადგა.

მემფისში 26-წლის უილიამსმა ტურნირის მთელი დისტანცია წარმატებით განვლო, ხოლო ფინალში შავი დღე აყარა, ბოლო პერიოდში მომძლავრებულ **შაარ პეერს** - 6:1, 6:1

გადამწყვეტ მატჩში ვინუსს ყველაფერი გამოსდიოდა - ძლიერი ფორჰენდი და ბექჰენდი, უძლიერესი მოწოდება და ბადესთან კარგი თამაში. შედეგმაც არ დააყოვნა და 19 წლის პეერმა მხოლოდ ორი გეიმის მოგება მოახერხა, არადა, ფინალის წინ, ის მეტად იმედიანად იყო განწყობილი.

ზემოთ პეერის პროგრესი ვახსენეთ. საკმარისია აღინიშნოს ის, რომ ისრაელელმა ჩოგბურთელმა ავსტრალიის ღია პირველობაზე მეოთხედფინალს მიაღწია და იქ ვინუსის უმცროს დასთან - **სერენასთან** სამ სეტში წააგო. ასე რომ, პეერი სულაც არ გახლდათ ხელწამოსაკრავი მეტოქე.

უკანასკნელად, ვინუს უილიამსმა ტურნირი 2005 წელს მოიგო, როცა უიმბლდონზე აჯობა ყველას. მემფისში პირველობის შემდეგ კი, მას კარიერაში 34 ტიტული დაუგროვდა. ახლა, ამერიკელი მცირე პაუზას აიღებს და 19 მარტიდან მაიამის უმაღლესი კატეგორიის ტურნირში ჩაებმება. როგორც ვინუსი აცხადებს, საფრანგეთის ღია პირველობისთვის მან 16 საუკეთესო ჩოგბურთელს შორის შესვლა უნდა მოასწროს.

*"როლან გაროსამდე 3-4 ტურნირში ვითამაშებ. ეს იქნება მაიამის, ჩარლსტონის, ვარშავისა და სტამბულის ჩემპიონატები. შემდეგ საფრანგეთის ღია პირველობა და, რა თქმა უნდა, უიმბლდონი"*, - აცხადებს უფროსი უილიამსი, რომელიც არ მალავს, რომ უიმბლდონზე გამარჯვება ამ სეზონში მისი პრიორიტეტი იქნება.

მემფისში პირველობისთვის, მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა 28 ათასი დოლარი მიიღო.

■ ■ ■

ახლა კი, დუბაის ტურნირზე საუბრის დრო დადგა, სადაც, როგორც გითხარით, საკმაოდ ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. აქ იყო ფრანგი **ამელი მორესმო**, რომელიც საკმაოდ კარგ ფორმაში შევიდა. ამის დამადასტურებელი იყო ერთი კვირის წინათ მოგებული ანტვერპენის ტურნირი.

ფრანგის მთავარ მეტოქედ ბელგიელი **ჟუსტინ ანენი** სახელდებოდა. ქმართან გაყრის შემდეგ, ჟუსტინი ამ სეზონში მეორედ გავიდა კორტზე და 2007 წელს, პირველი ტურნირის მოგება მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი.

ბელგიელმა ეს სურვილი აისრულა და ფინალში ორ სეტში სძლია მორესმოს. ამ მატჩამდე, ეს ჩოგბურთელები 12-ჯერ იყვნენ შეხვედრილნი და ანგარიში თანაბარი იყო - 6:6. ამიტომაც, ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ბრძოლა დაძაბული იქნებოდა.

პირველი სეტი ანენის უპირატესობით დაიწყო, რაც ანგარიშში ნათლად გამოიხატა - 4:1. თუმცა, ამელი არ დანებდა, ზედიზედ სამი გეიმი მოიგო და ანგარიში გაათანაბრა. გადამწყვეტი აღმოჩნდა სეტის მეათე გეიმი. ანენი 5:4 იგებდა, როცა მეტოქის მოწოდებაზე იმარჯვა და პარტია თავის სასარგებლოდ დაასრულა.

მეორე სეტშიც ძნელი იყო რომელიმე ჩოგბურთელისთვის უპირატესობის მინიჭება. თავიდან მორესმო ორი გეიმით დაწინაურდა, მაგრამ ანენი დაეწია და 5:5-მდე, ორივე მათგანი სტაბილურად ინარჩუნებდა საკუთარ მოწოდებებს. კვანძი აქაც მორესმოს გეიმზე გაიხსნა - ანენმა მორიგი ბრეიკი გააკეთა და საათი და 42-წუთიანი ბრძოლის შემდეგ, კარიერაში 30-ე ტიტული მოიგო.

მორესმოს წაგება მეორე მოწოდებაზე სუსტმა თამაშმა გამოიწვია - ფრანგმა მხოლოდ ქულების 31 პროცენტი მოიგო. გარდა ამისა, ანენი გაცილებით აგრესიულად თამაშობდა და ფორჰენდით 21 ქულა მოიპოვა, ამელის ანალოგიური მაჩვენებელი კი, 10-ს შეადგენდა.

*"ჟუსტინმა დაიმსახურა ეს გამარჯვება. ის ჩემზე გაცილებით ძლიერად თამაშობდა"*, - თქვა ფინალის შემდეგ მორესმომ.

*"წლეულს მხოლოდ მეორე ტურნირში ვითამაშე და გამარჯვება მოვიპოვე. თანაც, ამელის სახით ძალიან ძლიერი მოწინააღმდეგე მყავდა. ამიტომაც, მიმაჩნია, რომ ეს უდავოდ დიდი მიღწევაა"*, - ეს უკვე ჟუსტინ ანენის სიტყვებია, რომლისთვისაც დუბაის ტურნირი ფეხბედნიერი გახლავთ. აქ ბელგიელმა უკვე მეოთხედ მოიგო მთავარი პრიზი.

### ATP

ABN AMRO-ს ჩემპიონატი

როტერდამი (საემიროები). 19-25 თებერვალი. ჰარდი

**საპრიზო ფონდი**: 782 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

**ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 3)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 1) 4:6, 7:6 (4), 7:6 (4); **მიხაილ იუჟნი (რუს)**-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 5) 3:6, 7:6 (7), 7:5.

მორგან კიგანის ჩემპიონატი

მემფისი (აშშ). 18-24 თებერვალი. ჰარდი

**საპრიზო ფონდი**: 757 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

**ენდი როდიკი (აშშ,1 )**-ენდი მარეი (ბრიტ, 3) 6:3, 7:6 (4); **ტომი ჰაასი (გერ, 2)**-მარდი ფიში (აშშ, 4) 6:3, 6:4.

კოპა ტელმექსი

ბუენოს აირესი (არგენტინა). 18-24 თებერვალი. თიხნარი

**საპრიზო ფონდი**: 445 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

**ხუან მონაკო (არგ)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 4) 6:1, 7:6 (3); **ალესიო დი მაურო (იტა)**-დიეგო ჰარტფილდი (არგ) 6:1, 6:4.

### WTA

დუბაის ღია

დუბაი (საემიროები). 19-24 თებერვალი. ჰარდი

**საპრიზო ფონდი**: 1 500 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

**ჟუსტინ ანენი (ბელ, 1)**-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 3) 1:6, 6:4, 6:0; **ამელი მორესმო (საფ, 2)**-ელენა იანკოვიჩი (სერ, 5) 6:2 იანკოვიჩის უარი.

**ფინალი**

**ჟუსტინ ანენი (ბელ, 1)**-ამელი მორესმო (საფ, 2) 6:4, 7:5.

მორგან კიგანის ჩემპიონატი

მემფისი (აშშ). 18-24 თებერვალი. ჰარდი

**საპრიზო ფონდი**: 175 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

**შაარ პეერი (ისრ, 1)**-მეილენ ტუ (აშშ) 6:4, 7:5; **ვინუს უილიამსი (აშშ, 7)**-იოანა ოლარუ (რუმ) 6:1, 6:1.

**ფინალი**

**ვინუს უილიამსი (აშშ, 7)**-შაარ პეერი (ისრ, 1) 6:1, 6:1.

## ჰოკეი

# NHL. რეგულარული ჩემპიონატი

### 23 თებერვალი

**დეტროიტი-ედმონტონი 3:4 (ბ)**

**2:1, 1:1, 0:1, 0:0**

**გოლები**: 1:0 ზეტერბერგი-33 (შნაიდერი-30, ლიდსტრიომი-43), 2:0 ჰოლმსტრიომი-21 (ლისდტრიომი-44, შნაიდერი-31), 2:1 რ. სმიტი-31 (ტორესენი-9, ჰორკოფი-29), 2:2 ტორესი-13 (ტორენსენი-10, ჰეიდა-8), 3:2 ფილპულა-6 (ჰუდლერი-3, ლენგფილდი-2), 3:3 რისონერი-6 (პულოი-4, პიზანი-11).

**ბულიტები გაიტანეს**: რ. სმიტი (ედმონტონი).

**დალასი-ანაჰაიმი 4:1**

**2:0, 1:0, 1:1**

**გოლები**: 1:0 ნადი-9 (ერიქსონი-9, რიბეირო-30), 2:0 ბარჩი-2 (ბუშე-24, ი. იოკინენი-21), 3:0 ი. იოკინენი-12 (მიეტინენი-9, ბარჩი-2), 4:0 ი. ლეჰტინენი-20, 4:1 პერი-14.

**ტამპა ბეი-ბოსტონი 2:6**

**1:2, 0:2, 1:2**

**გოლები**: 0:1 შტურმი-20 (კესელი-10, ბოჩენსკი-4), 1:1 ბოილი-14 (ბ. რიჩარდსი-35, ლეკავალიე-43), 1:2 ბოიესი-10 (ბ. ალენი-3, სავარი-58), 1:3 ბოიესი-11 (სავარი-59, აქსელსონი-15), 1:4 კესელი-8 (ბოჩენსკი-5, შტურმი-11), 1:5 ბოჩენსკი-8 (სავარი-60, აქსელსონი-16), 1:6 ჩისტოვი-5 (ხარა-29, მაუერსი-9), 2:6 კუბა-9 (პერენი-15).

### 24 თებერვალი

**ნიუ ჯერსი-ვაშინგტონი 2:4**

**0:1, 1:2, 1:1**

**გოლები**: 0:1 იურჩინა-3 (სიომინი-26, ოვეჩკინი-39), 0:2 სიომინი-32 (ბიჩი-14, პოტიე-19), 0:3 პეტინგერი-14 (გორდონი-16), 1:3 იანსენი-1 (პანდოლფო-12, მადენი-17), 1:4 ფლიშმანი-1 (გორდონი-17), 2:4 პანდოლფო-9 (რასმუსენი-3, კ. უაიტი-6).

**აილენდერსი-მონრეალი 3:2**

**2:1, 1:0, 0:1**

**გოლები**: 1:0 ტამბელინი-2 (ნიელსენი-1, პარკი-11), 1:1 სურეი-21 (მარკოვი-32, ს. კოივუ-36), 2:1 ჯ. ბლეიკი-29 (ვიქ. კოზლოვი-21, მ-ა. ბერჟერონი-20), 3:1 ნიელსენი-1 (პარკი-12), 3:2 ჰიგინსი-17 (მტრაიტი-20, ს. კოივუ-37).

**ნეშვილი-დეტროიტი 4:3 (ო)**

**1:0, 1:2, 1:1, 1:0**

**გოლები**: 1:0 კარია-18 (ფორსბერგი-30, კ. ტიმონენი-31), 1:1 ჰოლმსტრიომი-22 (დაციუკი-43, შნაიდერი-32), 1:2 ჰოლმსტრიომი-23 (შნაიდერი-33, დაციუკი-44), 2:2 ლეგვანდი-22 (ჟიდლიცკი-22, კ. ტიმონენი-32), 2:3 ჰოლმსტრიომი-24 (ზეტერბერგი-35, შნაიდერი-34), 3:3 კარია-19 (ჰამჰუისი-9, ლეგვანდი-30), 4:3 ფორსბერგი-12 (კარია-43, ჟიდლიცკი-23).

**ატლანტა-კაროლინა 1:4**

**0:2, 0:0, 1:2**

**გოლები**: 0:1 ჯასტინ უილიამსი-30 (ე. სტაალი-34, გრემი-3), 0:2 კომოდორი-5 (ბრინდამორი-48, რეი უიტნი-45), 1:2 ექსელბი-2 (მარიან ჰოსა-44, ვიაჩ. კოზლოვი-43), !:3 ჯასტინ უილიამსი-31 (ფ. კაბერლე-1), 1:4 რეი უიტნი-27 (ბრინდამორი-49).

**ფლორიდა-ბოსტონი 7:2**

**3:0, 2:2, 2:0**

**გოლები**: 1:0 პელტონენი-11 (კოლნიკი-10, გრეტონი-13), 2:0 უეისი-13 (გელინასი-21, ო. იოკინენი-36), 3:0 ჰორტონი-22 (უეისი-22, ბ. ალენი-15), 4:0 გრეტონი-10 (სემიონოვი-1, კოლნიკი-11), 5:0 ო. იოკინენი-25 (შტუმპელი-27, ვან რინი-17), 5:1 სავარი-21 (პ. ბერჟერონი-37, ბოიესი-21), 5:2 ბოიესი-12 (მტურმი-12, სავარი-61), 6:2 გელინასი-11 (ჰორტონი-27, უეისი-23), 7:2 გრეტონი-11 (კოლნიკი-12).

**ლოს ანჯ.-კოლორადო 6:5 (ბ)**

**2:0, 0:2, 3:3, 0:0**

**გოლები**: 1:0 კოპიტარი-16 (რ. ბლეიკი-14, შ. ბურკი-1), 2:0 უილსი-7 (ლუნდმარკი-6, ს. ტორნტონი-5), 2:1 ბ. კლარკი-7 (საკიკი-48, ბრუნეტი-36), 2:2 ლაპერიერი-5 (რაიკროფტი-5, მაკლინი-15), 2:3 ლაილსი-11 (ბრუნეტი-37, პ. შჩასტნი-35), 2:4 სვატოსი-14 (გიტი-3, არნასონი-25), 3:4 ფროლოვი-32 (კამალერი-37, ვივერი-4), 3:5 ჰეიდუკი-23 (ბრუნეტი-38, პ. შჩასტნი-36), 4:5 ვიშნოვსკი-17 (ფროლოვი-29, კამალერი-38), 5:5 რ. ბლეიკი-11 (კამალერი-39, ვიშნოვსკი-33).

**ბულიტები გაიტანეს**: სვატოსი (კოლორადო), კამალერი (ლოს ანჯელესი), საკიკი (კოლორადო), ფროლოვი (ლოს ანჯელესი), მაკლინი (კოლორადო), ლუნდმარკი (ლოს ანჯელესი), დ. ბრაუნი (ლოს ანჯელესი).

**კალგარი-სან ხოსე 7:4**

**2:0, 2:4, 3:0**

**გოლები**: 1:0 ფანოფი-16 (ჰუსელიუსი-31, ჰამრლიკი-21), 2:0 ლენგკოუ-25 (ლომბარდი-21, ჰამრლიკი-22), 2:1 მ. კარლი-8 (ბელი-7, ჯ. ტორნტონი-62), 2:2 პაველსკი-12 (გრირი-11, ქლოუ-16), 2:3 გრირი-14, 3:3 იგინლა-29 (ჰამრლიკი-23, ჰუსელიუსი-32), 3:4 მაკლარენი-4, 4:4 ლომბარდი-19 (იგინლა-40, ტანგეი-42), 5:4 იგინლა-30 (ტანგეი-43, კონროი-19), 6:4 ლენგკოუ-26 (იგინლა-41, ტანგეი-44), 7:4 მ. ნილსონი-3.

**რეინჯერსი-კოლამბუსი 2:3**

**2:1, 0:2, 0:0**

**გოლები**: 1:0 ბეტსი-7 (ჰოლვეგი-1, ორი-1), 2:0 იაგრი-22 (როზსივალი-22, პრუხა-14), 2:1 ა. ერიქსონი-1 (მოდინი-14, ვიბორნი-37), 2:2 ჩიმერა-12, 3:2 ნეში-17 (ფიოდოროვი-21).

**ოტავა-ბაფალო 6:5**

**1:1, 3:1, 2:3**

**გოლები**: 0:1 ტალინდერი-3 (სტეფორდი-6), 1:1 სპეცა-24 (ჰიტლი-42), 2:1 ჰიტლი-36 (პრისინგი-26, რედენი-20), 3:1 შუბერტი-5 (ალფრედსონი-41, ფიშერი-20), 4:1 კ. კელი-12, 4:2 დ. რუა-11 (ვანეკი-28), 4:3 პომინვილი-25 (ბრიერი-49, ჰეხტი-23), 5:3 ალფრედსონი-22 (მეფერი-25, ფიშერი-21), 5:4 ვანეკი-32 (ბ. კემპბელი-30, სტეფორდი-7), 5:5 ტალინდერი-4 (ბრიერი-50), 6:5 სპეცა-25 (ჰიტლი-43, რედენი-21).

**ფილადელფია-ტორონტო 2:5**

**0:1, 1:2, 1:2**

**გოლები**: 0:1 სტინი-12 (ო'ნილი-22, სტაიანი-23), 0:2 ო'ნილი-20 (სტინი-17, მაკეიბი-32), 0:3 კოლგერი-10 (ტ. კაბერლე-39), 1:3 ს. კაპანენი-9, 1:4 სუნდინი-26 (ვოზნიევსკი-1, მაკეიბი-33), 1:5 პოლი-11 (მაკეიბი-34, ბატალია-17), 2:5 განიე-34 (აპოლი-3, ტოტნიკი-19).

## სხვადასხვა

**ჰოკეი**

### კროსბის პირადი მცველი სჭირდება

"პიტსბურგ პინგვინზი" "ფინიქსიდან" მცველ **ჟორჟ ლარაკის** შეძენას აპირებს. ამ ჰოკეისტის წლიური ხელფასი 1.1 მილიონ დოლარს შეადგენს. სხვათა შორის, ლარაკის გადაბირებაზე კიდევ ოთხი კლუბი აცხადებს პრეტენზიას.

Canadian Press-ის ინფორმაციით, "პიტსბურგში" ლარაკს კლუბის ახალგაზრდა ვარსკვლავების - **სიდნი კროსბის, ევგენი მალკინისა და ჯორდან სტაალის** დაცვა დაევალება. "პინგვინზს" ასეთი ამპლუის ჰოკეისტი დღემდე არ ჰყავს და ამის გამო, კლუბის ხელმძღვანელობას მუდმივად აკრიტიკებენ.

### ტორონტო ნამყვანი მცველის გარეშე დარჩა

"ტორონტო მეიპლ ლივზს" დაახლოებით ორი კვირით გამოაკლდა ჩეხი მცველი **პაველ კუბინა**. სააგენტო "როიტერის" ინფორმაციით, "რეინჯერსთან" მატჩში კუბინამ თითი მოიტეხა.

შეგახსენებთ, რომ ჩეხმა ჰოკეისტმა ზაფხულში "ტორონტოსთან" 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და ამ ხნის განმავლობაში 20 მილიონ დოლარს მიიღებს.

### დრურის 20 ნაკერი დაადეს

"ბაფალო სეიბრზსა" და "ოტავა სენატორზის" მატჩის დროს ამტყდარი ჩხუბისას ტრავმირებული **კრის დრური**, გარკვეული პერიოდი ვერ შეძლებს თავისი გუნდისთვის დახმარების გაწევას. იმ შეხვედრაში "ბაფალოს" ფორვარდს ოტაველი **კრის ნილი** ეუხეშა. როგორც "სეიბრზის" დამრიგებელი **ლინდი რაფი** აცხადებს, დრურის კანტუზიის ნიშნები აქვს.

დაზარალებულ ფორვარდს შუბლზე 20 ნაკერი დაადეს. თავად ნილმა ამ ინციდენტის შესახებ განაცხადა, რომ ის არაფერში არ არის დამნაშავე, რადგან დრური იმ ეპიზოდში უფრო ყურადღებით უნდა ყოფილიყო და თამაშისთვის თვალი უნდა მიედევნებინა.

### კაროლინამ ენსონ კარტერი დაიმატა

"კაროლინა ჰარიკეინზმა" "კოლამბუსიდან" თავდამსხმელი **ენსონ კარტერი** შეიძინა. სტენლის თასის მფლობელმა კარტერის სანაცვლოდ 2008 წლის დრაფტის მეხუთე რაუნდში ჰოკეისტის არჩევის უფლება დათმო.

ფორვარდის ასეთი დაბალი ფასი იმით არის განპირობებული, რომ 32 წლის კარტერი ზაფხულში თავისუფალი აგენტი ხდება, გარდა ამისა, ამ სეზონში მას საკმაოდ მაღალი ხელფასი აქვს - 2.5 მილიონი დოლარი.

*"ენსონს უდიდესი გამოცდილება გააჩნია და მან NHL-ში რამდენიმე ძალიან შედეგიანი სეზონი ჩაატარა. მას შეუძლია ყველაზე საჭირო მომენტში ჩვენი შეტევითი პოტენციალი გააძლიეროს"*, - განაცხადა "კაროლინას" გენერალურმა მენეჯერმა **ჯიმ რუტერფორდმა**.

### ატლანტამ რუჩინი დაკარგა

შაბათს, "ატლანტა ტრეშერზმა" ტრავმირებულთა სიაში შეიყვანა ვეტერანი ფორვარდი **სტივ რუჩინი**. როგორც კლუბის ოფიციალური ვებ-გვერდი იუწყება, რუჩინს მხარის ტრავმა აქვს მიღებული.

ჰოკეისტმა უკვე გამოტოვა "ატლანტას" ბოლო ხუთი მატჩი. წლევანდელ სეზონში, რუჩინმა "ტრეშერზის" რიგებში 47 მატჩი ჩაატარა და 5 გოლი და 16 შედეგანი პასი მიითვალა. მის ნაცვლად, ატლანტელთა შემადგენლობაში AHL-დან გამოძახებული ფორვარდი - **დერეკ მაკენზი** ითამაშებს.

### შტურმი ბოსტონში დარჩება

სააგენტო AP-ის ინფორმაციით, "ბოსტონ ბრუინზმა" ახალი კონტრაქტი გააფორმა **მარკო შტურმთან**. ახალი ხელშეკრულების თანახმად, გერმანელი ფორვარდი მომავალი ოთხი წლის განმავლობაში 14 მილიონ დოლარს მიიღებს.

### სენტ ლუისი მომავლისთვის ზრუნავს

"სენტ ლუის ბლუზმა" ორ ჰოკეისტთან გააგრძელა კონტრაქტი. ესენი არიან - მეკარე **მენი ლეგასი** და მცველი **ერიკ ბრიუერი**. ეს უკანასკნელი "ბლუზმენთა" რიგებში კიდევ ოთხი წელი ითამაშებს და ამ ხნის განმავლობაში 17 მილიონ დოლარს მიიღებს.

ლეგასის ახალი კონტრაქტი კი, ორწლიანია. პირველ სეზონში ეს მეკარე 1.8 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს, მეორეში - 2.5 მილიონს.

### კიდევ ორი ტრეიდი

კვირას, ჰოკეისტები გაუცვალეს ერთმანეთს "ატლანტამ" და "ფილადელფიამ". როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, "ატლანტაში" გააგრძელებს კარიერას რუსი მცველი **ალექსეი ჟიტნიკი**, ხოლო მის ნაცვლად, "ფლაიერზის" შემადგენლობაში ჩაირიცხება შარშანდელი დრაფტის პირველ რაუნდში არჩეული **ბრეიდონგ ქობურნი**.

გარდა ამისა, ტრეიდი განახორციელეს "ანაჰაიმმა" და "ტამპა ბეიმ". ამ გარიგების თანახმად, "იხვებს" 21 წლის მეკარე **ჯერალდ კოულმენი** და 2007 წლის დრაფტის პირველ რაუნდში ჰოკეისტის არჩევის უფლება ერგოთ, "ტამპა ბეის" კი, დებიუტანტი მცველი - **შეინ ო'ბრაიენი** და 2008 წლის დრაფტის მესამე რაუნდში მოთამაშის არჩევა.

აღსანიშნავია, რომ კოულმენი წელს AHL-ში თამაშობს, 23 წლის ო'ბრაიენმა კი, რეგულარული ჩემპიონატის 62 მატჩში 14 ქულა (2 გოლი+12 პასი) დააგროვა.

### შენეჰანი იმედიანადაა

"რეინჯერსის" ფორვარდი **ბრენდან შენეჰანი**, რომელმაც გასულ კვირას ფილადელფიელ **მაიკ ნუბლთან** შეტაკებისას ტვინის შერყევა მიიღო, იმედოვნებს, რომ უკვე ამ სეზონში შეძლებს მოედანზე დაბრუნებას.

*"მთლიანობაში, თავს ცუდად არ ვგრძნობ. ასეთი ტრავმა ადრე არასოდეს მიმიღია. ამიტომაც, ზუსტად არ ვიცი რა მელის მომავალში. ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და იმედი მაქვს, რომ უახლოეს პერიოდში ყინულს დავუბრუნდები"*, - განაცხადა 38 წლის დებიუტანტმა.

**ჩოგბურთი**

### ჰონორარები როლან გაროსზეც გათანაბრდება

მას შემდეგ, რაც უიმბლდონის ორგანიზატორებმა მამაკაცთა და ქალთა საპრიზო ფონდის გათანაბრების შესახებ მიიღებს გადაწყვეტილება, "დიდი სლემის" ერთადერთ ტურნირად, სადაც კაცი ჩოგბურთელები ქალებზე მეტ თანხას იღებენ, "როლან გაროსი" რჩება. თუმცა, როგორც ამ შეჯიბრის პრეს-ატაშე აცხადებს, უკვე 16 მარტს გაიმართება ორგანიზატორთა სპეციალური სხდომა, სადაც გამოაცხადებენ, რომ საფრანგეთის ღია პირველობაზეც გათანაბრდება ჰონორარები.

*"ჩვენი გადაწყვეტილება ფინანსური პოლიტიკის გადახედვის შესახებ, სულაც არ უკავშირდება უიმბლდონის ორგანიზატორების უკანასკნელ განცხადებას. ამ საკითხზე ჩვენი ჩემპიონატის ორგანიზატორები უკვე კარგა ხანია ფიქრობდნენ"*, - აცხადებს "როლან გაროსის" პრეს-ატაშე.

# სათხილამურო სპორტი

## მსოფლიო ჩემპიონატი

# ამანი ისევ დაფრინავს

იაპონიის სამთო კურორტ საპოროში გრძელდება მსოფლიოს ჩემპიონატი სათხილამურო სპორტის რამდენიმე სახეობაში - ბარის თხილამურებში, ტრამპლინსა და ჩრდილოურ კომბინაციაში.

ამ ასპარეზობათაგან ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო იყო ტრამპლინისტთა ტურნირი, რომელიც შვეიცარიელი **სიმონ ამანის** ტრიუმფით დასრულდა. ამანი სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადის ჩემპიონია, მაგრამ მას შემდეგ, ერთგვარად ჩრდილში იმყოფებოდა. ამ სეზონში კი, ფაქტობრივად, მეორედ დაიწყო ტოპ-მხტომელის კარიერა.

საპოროში ამანმა თავისი უზადო სტილის წყალობით მიაღწია გამარჯვებას. მან ოდენ 0.2 ქულით აჯობა ფინელ **ჰარი ოლის**, ვისაც ორი ცდის ჯამში, უფრო შორეული ნახტომი ჰქონდა, მაგრამ ტექნიკის შეფასებისას, მსაჯებმა უპირატესობა ამანს მიანიჭეს. კვარცხლბეკის მესამე საფეხური დაიკავა ნორვეგიელმა **როარ ლიოეკელსოეიმ**, ვინც ოლისთან ზუსტად 3.0 ქულა წააგო.

იმედგაცრუებულები დარჩნენ ტრამპლინის იაპონელი ფანები. მათმა ჯილა **შოჰეი ტოჩიმოტომ** მხოლოდ მე- 16 ადგილი დაიკავა. ვერც ამ სეზონის აღმოჩენამ, ავსტრიელმა **გრეგორ შლირენცაუერმა** ივარგა, ვინც ამჯერად მეათე ადგილს დასჯერდა.

იაპონელებმა თავისას მაინც მიაღწიეს, ოღონდ გუნდურ ასპარეზობაში. მათმა კვარტეტმა სტაბილურობის წყალობით, მესამე საპრიზო ადგილის დაკავება შეძლო. მასპინძლებმა უკან მოიტოვეს ისეთი ძლიერი მეტოქეები, როგორებიც არიან ფინეთი, პოლონეთი, შვეიცარია და გერმანია. მათ ბრინჯაო **იტო დაიკის** შესანიშნავი ნახტომის წყალობით მოიპოვეს. ეს იაპონელებისთვის მეორე ბრინჯაოა. პირველი 2003 წელს მოიპოვეს ვალ დი ფიემეს ჩემპიონატზე.

გამარჯვება კი ოლიმპიურმა ჩემპიონმა ავსტრიელებმა იზეიმეს, რომლებმაც 46.9 ქულით მოიტოვეს უკან ნორვეგიული კვარტეტი. ჩემპიონთაგან ყველაზე კარგად **ვოლფგანგ ლოიცლმა** იასპარეზა, ყველაზე მოკლე ნახტომები კი შლირენცაუერს ჰქონდა.

ჩრდილოურ კომბინაციაში კი ზედიზედ მეორე ოქროს დაეუფლა ფინელი **ჰანუ მანინენი**, ვინც წინა დღეს კარიერაში პირველი ინდივიდუალური ოქრო მოიპოვა. ამჯერად კი გუნდურ ასპარეზობაში იპირველა და გამარჯვებას კვლავ გერმანელ **ბიორნ კირხაიზენთან** უშუალო პაექრობაში მიაღწია.

გერმანელი უკეთესი მხტომელია, ფინელი კი ბარის თხილამურობაშია მაგარი. მაგრამ ამჯერად ფინელთა კვარტეტმა ტრამპლინზეც ივარგა და მათ ესტაფეტა 0.39-წამიანი უპირატესობით დაიწყეს. მაგრამ გერმანელებმა მესამე მუხლზე შეძლეს წინ გასვლა. ეს **ტინო ედელმანმა** მოახერხა. მაგრამ მისი გარჯა კირხაიზენმა ჯეროვნად ვერ გამოიყენა, რაშიც "დამნაშავე" სწრაფი მანინენი იყო.

ბარის თხილამურობაში გამოდევნებით რბოლები ჩატარდა. კაცებში ბადალი არ ჰყავდა გერმანელ **აქსელ ტაიხმანს**, ვინც დაძაბულ პაექრობაში აჯობა თანამემამულე **ტობიას ანგერერს**. ფინიშზე თანაგუნდელები ოდენ ნახევარმა წამმა დააშორა. ჩემპიონთან წამზე ნაკლები დათმო იტალიელმა **პიეტრო პილერ კოტრერმა**, ვინც ბრინჯაოს დასჯერდა.

აღსანიშნავია, რომ რბოლის პირველი ნახევარი, რომელიც მოთხილამურეებმა კლასიკური სტილით გაირბინეს, პელოტონს სათავეში გერმანელი **იენს ფილბრიხი** ედგა, მაგრამ თავისუფალ სტილზე გადასვლის შემდეგ, მან ლიდერობა დათმო.

ქალების რბოლა კი რუსი **ოლგა ზავიალოვას** ტრიუმფით დასრულდა. ზავიალოვა მსოფლიოს 2003 წლის ჩემპიონატზე დომინირებდა (ვალ დი ფიემეში ოქრო და ორი ბრინჯაო მოიპოვა), მაგრამ მას შემდეგ ბევრი არაფრით გამოირჩეოდა. ახლა კი, სწორედ საპოროსთვის შეძლო ფორმის პიკის მიღწევა და შესაბამისი შედეგიც მოიმკა. რუსმა მორბენალმა დაძაბულ პაექრობაში აჯობა ჩეხ **კატერინა ნოიმანოვას**.

ამჯერად ვერ ივარგეს ფავორიტებმა - ნორვეგიელმა **მარიტ ბიორგენმა** და ფინელმა **ვირპი კუიტუნენმა**, რომლებიც ათეულს მიღმა დარჩნენ. ამ უკანასკნელმა, ვინც მანამდე გუნდურ სპრინტში ოქრო აიღო, პირადში კი - ბრინჯაო, რბოლის საწყის ეტაპზე დაწინაურება შეძლო, მაგრამ მალე დაიღალა და პირველობისთვის პაექრობას გამოეთიშა.

### საპორო (იაპონია). ტრამპლინი (HS134)

1. სიმონ ამანი (შვეიცარია) 266.1; 2. ჰარი ოლი (ფინეთი) 265.9; 3. როარ ლიოეკელსოეი (ნორვეგია) 262.9; 4. ადამ მალიში (პოლონეთი) 258.3; 5. თომას მორგენშტერნი (ავსტრია) 255.3; 6. იანე აჰონენი (ფინეთი) 249.9; 7. დიმიტრი ვასილიევი (რუსეთი) 235.2; 8. ანდრეას კოფლერი (ავსტრია) 231.9; 9. მარტინ კოხი (ავსტრია) 225.3; 10. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია) 223.6...



სიმონ ამანი

### გუნდური ტრამპლინი (HS134)

1. ავსტრია 1000.2; 2. ნორვეგია 953.3; 3. იაპონია 905.9; 4. ფინეთი 869.8; 5. პოლონეთი 857.2; 6. რუსეთი 849.5; 7. შვეიცარია 839.1; 8. გერმანია 837.6; 9. ჩეხეთი 373.8; 10. სლოვენია 372.9...

### ჩრდილოური კომბინაცია. გუნდური (HS134/4X5 კმ)

1. ფინეთი 49:14.9; 2. გერმანია +28.40; 3. ნორვეგია +01:12.00; 4. ავსტრია +01:12.40; 5. შვეიცარია +03:41.80; 6. საფრანგეთი +04:09.80; 7. ჩეხეთი +04:55.40; 8. იაპონია +05:17.70; 9. აშშ +05:19.70

### ბარის თხილამურები. კაცები. გამოდევნებითი (30 კმ)

1. აქსელ ტაიხმანი (გერმანია) 1:11:35.8; 2. ტობიას ანგერერი (გერმანია) +00.50; 3. პიეტრო პილერ კოტრერი (იტალია) +00.90; 4. იენს ფილბრიხი (გერმანია) +03.20; 5. პეტერ ნორთუგი (ნორვეგია) +08.20; 6. ალექსანდერ ლეგკოვი (რუსეთი) +09.50...

### ბარის თხილამურები. ქალები. გამოდევნებითი (15 კმ)

1. ოლგა ზავიალოვა (რუსეთი) 41:27.5; 2. კატერინა ნოიმანოვა (ჩეხეთი) +00.50; 3. კრისტინ სტოერმერი (ნორვეგია) +02.10; 4. ევი ზახენბახერ შტელე (გერმანია) +04.60; 5. რიიტა ლიისა როპონენი (ფინეთი) +24.00; 6. აინო კაისა საარინენი (ფინეთი) +24.89...

# კალათბურთი

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

### 24 თებერვალი

**ტორონტო-ინდიანა 110:88**

22:17, 40:29, 29:18, 19:24

**ტორონტო:** ბოში (23 ქ. 12 მ. 4 პ. 3 დ), გარბახოსა (16 ქ. 8 მ. 5 პ), ნესტეროვიჩი (14 ქ. 8 მ. 3 დ), ბარნიანი (13 ქ. 6 მ), ე. პარკერი (12 ქ. 7 მ), კალდერონი (8 ქ. 12 პ).

**ინდიანა:** ტინსლი (19 ქ. 8 პ. 3 ჩ), ჯ. ონილი (17 ქ. 8 მ. 4 პ), დ. არმსტრონგი (13 ქ), გრეინჯერი (10 ქ).

**შარლოტი-ფილადელფია 102:87**

28:20, 27:23, 22:20, 25:24

**შარლოტი:** კეროლი (19 ქ0, ჯ. უოლასი (19 ქ. 6 მ. 3 პ), ა. მორისონი (19 ქ), ოკაფორი (16 ქ. 16 მ), დ. ანდერსონი (11 ქ. 5 პ).

**ფილადელფია:** კორვერი (21 ქ. 3 ჩ). ა. მილერი (15 ქ. 7 პ. 3 ჩ), ს. ჰარტერი (14 ქ. 6 მ), იგუოდალა (10 ქ. 2 დ).

**ორლანდო-დეტროიტი 89:94**

24:22, 21:22, 26:23, 18:27

**ორლანდო:** დ. ჰოვარდი (20 ქ. 13 მ. 3 პ), თურქოღლუ (20 ქ. 3 ჩ), გ. ჰილი (15 ქ. 5 მ), ნელსონი (10 ქ. 6 პ).

**დეტროიტი:** ბილაპსი (28 ქ. 3 ჩ), რ. ჰამილტონი (22 ქ. 6 მ), რ. უოლასი (14 ქ. 10 მ. 3 დ).

**ნ. ჯერსი-საკრამენტო 109:96**

19:11, 38:28, 29:29, 23:28

**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (26 ქ. 11 მ. 5 პ), კიდი (22 ქ. 13 მ. 10 პ), ე. ჰაუსი (20 ქ. 4 პ), მარკუს უილიამსი (19 ქ).

**საკრამენტო:** არტესტი (33 ქ. 7 პ. 5 მ. 2 ჩ), სალმონსი (16 ქ. 7 პ. 6 მ), პრაისი (15 ქ), აბდურ-რაჰიმი (9 ქ. 10 მ).

**ნიუ იორკი-მილუოკი 95:93**

23:23, 24:28, 21:22, 27:20

**ნიუ იორკი:** ჯ. კროუფორდი (22 ქ. 5 პ. 4 მ), მარბერი (22 ქ. 8 პ. 4 მ), კ. რიჩარდსონი (14 ქ), კარი (10 ქ. 11 მ), დ. ლი (10 ქ. 9 მ).

**მილუოკი:** მო უილიამსი (28 ქ. 10 მ. 4 პ. 3 ჩ), ბოგუტი (19 ქ. 9 მ), პატერსონი (13 ქ), რედი (12 ქ), ჩ. ბელი (11 ქ. 6 მ. 3 ჩ).

**ატლანტა-ჰიუსტონი 105:99**

29:28, 21:17, 24:29, 31:26

**ატლანტა:** ჯო ჯონსონი (31 ქ. 7 პ. 4 მ), ჯოშ სმიტი (20 ქ. 10 მ. 4 პ. 3 დ), მერვინ უილიამსი (20 ქ), **ზაზა ფაჩულია (12 ქ. 7 მ. 1 დ), ჩილდრესი (11 ქ. 10 მ).**

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (37 ქ. 4 პ), ალსტონი (23 ქ. 9 პ. 5 მ. 2 ჩ), ჯუვან ჰოვარდი (19 ქ. 4 მ), მუტომბო (9 ქ. 12 მ. 3 დ).

**დენვერი-იუტა 104:114**

30:31, 18:26, 26:36, 30:21

**დენვერი:** ენტონი (35 ქ. 6 პ), აივერსონი (33 ქ. 5 პ. 2 ჩ), კემბი (6 ქ. 9 მ. 5 პ. 2 დ).

**იუტა:** დერონ უილიამსი (26 ქ. 14 პ), ჰარპრინგი (22 ქ. 2 ჩ), მილსეპი (14 ქ. 10 მ. 4 ჩ), გირიჩეკი (12 ქ), ბუზერი (10 ქ), არაუხო (5 ქ. 10 მ).

**პორტლენდი-მემფისი 102:103**

23:33, 27:25, 32: 21, 20:24

**პორტლენდი:** ზ. რენდოლფი (25 ქ. 7 მ. 2 ჩ), როი (19 ქ. 6 პ. 5 მ), ჯეკი (18 ქ), მაგლოირი (14 ქ. 10 მ. 2 დ).

**მემფისი:** გასოლი (23 ქ. 4 მ. 3 დ), უორიკი (20 ქ. 7 მ), მ. მილერი (19 ქ. 7 პ), გეი (10 ქ. 6 მ).

**მინესოტა-ფინიქსი 104:116**

30:25, 22:39, 31:31, 21:21

**მინესოტა:** გარნეტი (28 ქ. 19 მ), ფოიე (14 ქ. 8 პ. 5 მ. 2 ჩ), მო ბლაუნტი (13 ქ), რ. დევისი (12 ქ. 5 პ).

**ფინიქსი:** მერიონი (27 ქ. 14 მ. 4 პ), ბარბოსა (24 ქ. 6 პ), ა. სტაუდმაიერი (23 ქ. 11 მ. 2 ჩ), ჯ. ჯოუნსი (16 ქ), რ. ბელი (10 ქ. 5 პ), ნეში (9 ქ. 15 პ. 6 მ).

**ნიუ ორლეანი-სიეტლი 98:97**

29:25, 22:23, 28:31, 19:18

**ნიუ ორლეანი:** დევიდ უესტი (23 ქ. 11 მ. 2 ჩ), ბ. ჯექსონი (17 ქ. 3 ჩ), ჩენდლერი (15 ქ. 19 მ), პოლი (13 ქ. 8 პ. 5 ჩ. 5 მ), მეისონი (10 ქ).

**სიეტლი:** რ. ალენი (32 ქ. 6 მ. 6 პ), რ. ლიუისი (18 ქ. 12 მ), უოტსონი (18 ქ. 5 პ), კოლისონი (6 ქ. 11 მ. 2 დ).

**ჩიკაგო-ვაშინგტონი 105:90**

24:26, 25:18, 24:26, 32:20

**ჩიკაგო:** დენგი (32 ქ. 11 მ), ჰაინრიხი (20 ქ. 12 პ. 8 მ. 3 ჩ), გორდონი (18 ქ), ბ. უოლასი (8 ქ. 12 მ. 5 დ).

**ვაშინგტონი:** არენასი (36 ქ. 7 მ), კ. ბატლერი (14 ქ. 7 მ. 4 პ), სტივენსონი (13 ქ. 4 მ. 3 პ).

**ლეიკერსი-ბოსტონი 122:96**

34:30, 31:24, 33:20, 24:22

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (38 ქ. 9 პ. 5 მ), ბინუმი (16 ქ), ს. პარკერი (12 ქ. 3 პ), მ. ევანსი (11 ქ), კუკი (10 ქ), ოდომი ( 8 ქ. 8 მ. 6 პ. 2 დ).

**ბოსტონი:** ჯ. გრინი (21 ქ. 5 მ), ელ ჯეფერსონი (18 ქ. 8 მ), პირსი (15 ქ. 6 პ), დელონტე უესტი (12 ქ. 5 პ. 4 ჩ), გომესი (10 ქ), სკალაბრინი (10 ქ).

### 25 თებერვალი

**დალასი-დენვერი 115:95**

29:33, 31:23, 28:23, 27:16

**დალასი:** ნოვიცკი (31 ქ. 11 მ. 8 პ), ჯოშ ჰოვარდი (27 ქ), სტეკჰაუზი (16 ქ. 6 პ), ტერი (10 ქ. 2 ჩ).

**დენვერი:** ენტონი (34 ქ. 6 მ. 3 პ. 3 ჩ), აივერსონი (26 ქ. 5 მ. 4 პ), კემბი (10 ქ. 17 მ. 7 პ. 4 ჩ. 2 დ).

**იუტა-ბოსტონი 105:87**

26:20, 26:21, 24:23, 29:23

**იუტა:** ფიშერი (21 ქ. 2 ჩ), გირიჩეკი (16 ქ), ბუზერი (16 ქ. 10 მ. 4 პ), ჰარპრინგი (15 ქ. 2 ჩ), ჯეისონ კოლინზი (10 ქ. 8 მ), დერონ უილიამსი (2 ქ. 10 პ).

**ბოსტონი:** პირსი (19 ქ), დელონტე უესტი (16 ქ. 6 პ. 2 ჩ), ელ ჯეფერსონი (12 ქ. 13 მ. 5 დ), პოუ (10 ქ. 9 მ), ჯ. გრინი (10 ქ).

**ს. ანტონიო-სიეტლი 102:71**

27:20, 29:14, 22:11, 24:26

**სან ანტონიო:** ტ. პარკერი (21 ქ. 4 პ. 3 ჩ), ორი (17 ქ), ბონერი (13 ქ), ჯინობილი (11 ქ. 7 პ. 5 მ), დანკანი (6 ქ. 15 მ. 5 დ. 4 პ).

**სიეტლი:** რ. ალენი (12 ქ. 3 პ), რ. ლიუისი (10 ქ. 6 მ), უილკინსი (10 ქ).

**მილუოკი-ფილადელფია 109:90**

19:24, 28:22, 32:22, 30:22

**მილუოკი:** რედი (26 ქ), მო უილიამსი (26 ქ. 7 პ), პატერსონი (13 ქ. 10 პ. 2 ჩ), ვილიანოვა (11 ქ. 5 მ).

**ფილადელფია:** იგუოდალა (22 ქ. 5 პ), დალემბერი (15 ქ. 6 მ), უ. გრინი (11 ქ), ა. მილერი (10 ქ. 11 პ. 4 მ).

**კლიპერსი-გ. სტეიტი 103:90**

28:26, 22:25, 26:23, 27:16

**კლიპერსი:** ბრენდი (31 ქ. 12 მ. 8 დ), მაგეტი (18 ქ. 8 მ. 5 პ. 4 ჩ), ტიმ ტომასი (17 ქ. 10 მ), მობლი (15 ქ. 4 პ), ლივინგსტონი (14 ქ. 14 პ).

**გოლდენ სტეიტი:** ელ ჰარინგტონი (24 ქ. 7 მ. 4 პ), ჯ. რიჩარდსონი (18 ქ), მ. ელისი (17 ქ. 13 პ. 5 ჩ), ს. ჯექსონი (13 ქ), ბიედრინსი (8 ქ. 7 მ).

**შარლოტი-ტორონტო 76:93**

18:19, 23:25, 18:24, 17:25

**შარლოტი:** კეროლი (13 ქ. 9 მ. 2 ჩ), ა. მორისონი (13 ქ), ჯ. უოლასი (12 ქ. 6 მ. 5 პ), ოკაფორი (7 ქ. 12 მ. 3 დ).

**ტორონტო:** ბოში (24 ქ. 11 მ), კალდერონი (16 ქ. 3 პ), ტი. ჯეი. ფორდი (15 ქ. 2 ჩ), ბარნიანი (8 ქ. 11 მ. 1 პ. 1 ჩ. 1 დ).

# TV სპორტი

### 26 თებერვალი. ორშაბათი

**SPORT 1 (უკრაინა)**

**08:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-რეჯინა.
**09:45** მინი-ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი.
**10:05** კრივი. რინგ-საიდი.
**11:05** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. აილენდერსი-მონრეალი.
**12:50** ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. კვალიფიკაცია. ს. აფრიკა.
**14:50** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**15:20** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ვაშინგტონი-ნიუ ჯერსი.
**17:05** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**17:40** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ჰერტა.
**19:25** მინი-ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი.
**19:45** ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. სან კაეტანო-პალმეირასი.
**21:35** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:25** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
**22:55** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. მარიტიმუ-ლეირია (LIVE).
**00:55** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**01:55** პროფესიული კრივის საღამო.
**04:30** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
**05:00** ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. კვალიფიკაცია. ს. აფრიკა.
**07:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**EUROSPORT**

**11:30** ზამთრის სახეობები. ტელეჟურნალი.
**12:00** სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო ჩემპიონატი. ესტაფეტა 4x5 კმ. საპორო. იაპონია.
**13:00** თხილამურებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. 2x15 კმ. გამოდევნებით. საპორო. იაპონია.
**13:45** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი. HS134. გუნდური. საპორო. იაპონია.
**15:00** მძლეოსნობა. ჭოკით ხტომა. დონეცკი. უკრაინა.
**15:30** სუპერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. დოჰა. კატარი.
**16:30** თხილამურებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. 2x7.5 კმ. გამოდევნებით. საპორო. იაპონია.
**17:30** სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო ჩემპიონატი. ესტაფეტა 4x5 კმ. საპორო. იაპონია.
**18:30** სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო ჩემპიონატი. ტრამპლინიდან ხტომა. HS134. გუნდური. საპორო. იაპონია.
**19:30** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. დოჰა. კატარი (LIVE).
**21:15** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**22:00** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი. HS134. გუნდური. საპორო. იაპონია.
**23:00** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ფინეთის გრან-პრი.
**00:00** ბრძოლა წესების გარეშე.
**02:15** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**03:00** მულტისპორტი.
**03:30** თხილამურებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. 2x7.5 კმ. გამოდევნებით. საპორო. იაპონია.

**EUROSPORT-2**

**10:30** ახალი ამბები.
**13:00** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. 1/4 ფინალი. I მატჩი. ფლენსბურგი (გერმანია)-ბარსელონა (ესპანეთი).
**14:00** ლაკროსი.
**15:00** ახალი ამბები.
**17:00** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. 1/4 ფინალი. I მატჩი. ვესპრემი (უნგრეთი)-კილი (გერმანია).
**18:00** მინი-ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. სლოვენია-ბელგია. სლოვენია.
**19:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები (LIVE).
**21:00** ახალი ამბები.
**21:30** ზამთრის სახეობები. ტელეჟურნალი.
**22:00** სნოუბორდი.
**22:30** ახალი ამბები.
**23:00** კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ხირონა-ბარსელონა.
**00:30** ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
**01:00** პოკერი. ევროპის მასტერსი. ლონდონი. ინგლისი.
**02:00** ახალი ამბები.
**02:15** ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მილანი. იტალია.
**03:15** ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

| კალათბურთი | |
|---|---|
| **NBA** | |
| დეტროიტი-ჩიკაგო | 95:93 |
| ორლანდო-ჰიუსტონი | 93:97 |
| **საბერძნეთი** | |
| არისი-პანიონიოსი | 80:70 |
| აპე-ოლიმპია | 72:80 |
| აეკ-მაკედონიკოსი | 87:66 |
| ეგალეო-პანათინაიკოსი | 62:90 |
| აელ-პანელინიოსი | 65:85 |
| ოლიმპიაკოსი-მარუსი | 71:53 |
| პაოკ-აპოლონი | 78:72 |
| **ესპანეთი** | |
| გრანადა-ტაუგრესი | 83:81 |
| ხირონა-ბარსელონა | 64:72 |
| რეალი-ბილბაო | 79:75 |
| ბრუესა-ვალიადოლიდი | 75:71 |
| ხუვენტუდი-პამესა | 64:73 |
| მურსია-კ. სან ფერნანდო | 89:81 |
| უნიკახა-გრან კანარია | 67:65 |
| ალიკანტე-მენორკა | 79:85 |
| ფუენლაბრადა-ესტუდიანტესი | ო.ტ. 67:69 |
| **იტალია** | |
| მონტეპასკი-აველინო | 83:64 |
| კანტუ-ტერამო | 67:60 |
| ვარეზე-ბენეტონი | 77:85 |
| სკაფატი-მილანი | 76:55 |
| დ'ორლანდო-ვირტუსი | 65:59 |
| კლიმამიო-ბიელა | 80:81 |
| მონტეგრანარო-სნაიდერო | 86:77 |
| ნაპოლი-რეჯო ემილია | 95:80 |
| რომა-ლივორნო | ო.ტ. 110:102 |
| **საფრანგეთი** | |
| ბურგი-ბეზანსონი | 76:96 |
| კლერმონი-შოლე | 56:59 |
| გრაველინი-ნანსი | 87:75 |
| ჰავრი-შალონი | 111:78 |
| ლე მანი-ტულონი | 98:79 |
| სტრასბური-დიჟონი | 78:70 |
| ორლეანეზი-რუანი | 95:90 |
| რეიმსი-პო ორტეზი | 86:91 |
| **ჰოკეი** | |
| **NHL** | |
| ვაშინგტონი-ნიუ ჯერსი | 2:3 |
| მინესოტა-ედმონტონი | 4:1 |
| **რუსეთი** | |
| სიბირი-კრილია | 8:2 |
| ს. იულაევი-ამური | 4:0 |
| მეტალურგი (მ)-ავანგარდი | 2:2 |
| ცსკა-მეტალურგი (ნ) | 3:1 |
| სევერსტალი-დინამო | 2:5 |
| ნეფტეხიმიკი-ტრაქტორი | 2:2 |
| ლოკომოტივი-სკა | 5:3 |
| ხიმიკი-აკ ბარსი | 4:5 |
| მვდ-ვიტიაზი | 3:3 |
| **გერმანია** | |
| ჰანოვერი-აისბარენი | 2:1 |
| დიუსელდორფი-კრეფელდი | 2:2 |
| ინგოლშტადტი-აუგსბურგი | 7:2 |
| კიოლნი-დუისბურგი | 8:0 |
| ისერლონი-ნიურნბერგი | 7:4 |
| მანჰაიმი-ჰამბურგი | 4:1 |
| შტრაუბინგი-ფრანკფურტი | 3:5 |
| **ფინეთი** | |
| კიეკო-ჰპკ | 4:0 |
| ჰიფკ-კერპეტი | 2:2 |
| კალპა-ტპს | 2:3 |
| ლუკო-ილვესი | 0:6 |
| პელიკანსი-იუვასკიულა | 5:0 |
| სეი პა-ესეტი | 3:2 |
| ტაპარა-იოკერიტი | 1:1 |
| **ჩეხეთი** | |
| კლადნო-ზნოიმო | 1:2 |
| კარლოვი-ვარი-ტრშინეცი | 2:3 |
| **შვეიცარია** | |
| ბერნი-სერვეტი | 2:1 |
| დავოსი-ციურიხი | 2:2 |
| ლუგანო-კლოტენი | 3:6 |
| ცუგი-რაპერსვილი | 2:3 |
| **შვედეთი** | |
| ფერიესტადი-აიკ | 9:0 |
| მოდო-ტიმრა | 5:3 |
| ლინჩეპინგი-მალმო | 4:0 |
| ლულეა-მორა | 1:1 |
| ჰვ71-ფროლუნდა | 2:8 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ბუენოს აირესი** | |
| მონაკო-დი მაურო | 6:1, 6:2 |
| **ATP. მემფისი** | |
| როდიკი-ჰაასი | 3:6, 2:6 |
| **ATP. როტერდამი** | |
| ლუბიჩიჩი-იუჟნი | 2:6, 4:6 |
| **WTA. ბოგოტა** | |
| გარბინი-ვინჩი | 7:6, 4:6, 3:6 |

კრივი

## ლენოქს ლუისს დაბრუნება არც უფიქრია

ამ უიქენდზე საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა კრივის მოყვარულთათვის. სააგენტო "როიტერის" ცნობით, სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, 41 წლის **ლენოქს ლუისი** რინგზე დაბრუნების საკითხს განიხილავს.

*"ლენოქსი კრივში ერთი ბრძოლისთვის დაბრუნებას აპირებს. მას სურს კვლავ შეხვდეს უკრაინელ ვიტალი კლიჩკოს,* - განუცხადა "როიტერს" ამერიკელმა პრომოუტერმა **ბობ არუმმა**. *- ლუისმა უკვე დაიწყო სატანვარჯიშო დარბაზში ამ ბრძოლისთვის მზადება".*

მაგრამ უკვე ერთ დღეში, არუმის სიტყვებს ლუისის ოფიციალური ვებგვერდი გამოეხმაურა. *"ძალიან დიდი პატივია ის, რომ ხალხს კვლავ ჩემი რინგზე გამოჩენა სურს, მაგრამ პროფესიულ სპორტში დაბრუნებას არ ვაპირებ. არ ვიცი, საიდან გაჩნდა ეს ჭორები. მე სიტყვის კაცი ვარ და კრივში არ დავბრუნდები",* - წერია ბრიტანელი მოკრივის ოფიციალურ განცხადებაში.

**ჯენე ტანისა** და **როკი მარჩიანოს** შემდეგ, ლუისი კრივის ისტორიაში მესამე მოკრივეა, ვინც სპორტიდან მსოფლიო ჩემპიონის რანგში წავიდა.

კალათბურთი

## მეორე ტურის MVP არნოლდი გახდა

ევროლიგის მეორე ჯგუფური რაუნდის მეორე ტურის ყველაზე სასარგებლო მოთამაშედ თელ-ავივის "მაკაბის" ფორვარდი **ჯეიმი არნოლდი** დასახელდა. ამერიკელმა კალათბურთელმა რომის "ლოტომატიკას" წინააღმდეგ 17 ქულა და 12 მოხსნა დააგროვა.

სულ ერთი ქულით ჩამორჩა ტურის ლაურეატს მოსკოვის "დინამოს" სერბი მცველი **ბოიან პოპოვიჩი**. იტალიის "ბენეტონთან" გასვლით მატჩში მისმა მარგი ქმედების კოეფიციენტმა 28 ქულა შეადგინა (17 ქულა, 6 მოხსნა, 3 ჩაჭრა).

## ნოჩიონი ორ თვეს დაისვენებს?

"ჩიკაგო ბულზის" არგენტინელმა ფორვარდმა **ანდრეს ნოჩიონიმ** ქუსლის ტრავმა გაიმიზეზა და შესაძლოა, ორი თვე ვერ შეძლოს თამაში.

ამ დაზიანების გამო, ნოჩიონიმ 7 შეხვედრა გამოტოვა და "კლივლენდ კავალიერზთან" მატჩში გავიდა მოედანზე, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ გუნდს დახმარებოდა, ტრავმა კიდევ უფრო გაიმიზეზა.

როგორც "ჩიკაგოს" დამრიგებელი **სკოტ სკაილზი** აცხადებს, ექიმები ამ დღეებში გამოიტანენ საბოლოო განაჩენს. როგორც ვარაუდობენ, ნოჩიონი დაახლოებით ორი თვე დააკლდება თავის გუნდს.

## მატყუარა რადმანოვიჩი

"ლელო" უკვე იტყობინებოდა იმის შესახებ, რომ "ლეიკერსის" სერბი ფორვარდი **ვლადიმერ რადმანოვიჩი,** მხარის ტრავმის გამო ორი თვე ვერ შეძლებს თამაშს. გუშინ, კალათბურთელმა თავის კლუბს ღია წერილი მისწერა, სადაც ის ბოდიშს იხდის იმის გამო, ტრავმის ნამდვილი მიზეზი დაუმალა "ლეიკერსის" ხელმძღვანელობას. თავიდან რადმანოვიჩმა განაცხადა, რომ იუტას შტატში, პარკ-სიტის ერთ-ერთ ყინულზე დაეცა, ახლა კი, კალათბურთელმა სულ სხვა ვერსია გაავრცელა.

*"პირველ ყოვლისა, მინდა ბოდიში მოვუხადო თანაგუნდელებს, მწვრთნელებსა და ხელმძღვანელობას. სინამდვილეში, მხარი მაშინ ვიტკინე, როცა სნოუბორდით თოვლზე ვსრიალებდი. გამოუცდელობის გამო, პანიკაში ჩავვარდი და ტყუილი ისტორია მოვიგონე. მაგრამ, ბოლო დღეებში სინდისმა შემაწუხა. საკუთარი თავი პატიოსან ადამიანად მიმაჩნია და ამიტომაც, ამ ტვირთის მოცილება გადავწყვიტე",* - წერს რადმანოვიჩი.

ფორმულა 1

## სპიდი ტორო როსოს პილოტია

2007 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის საბოლოოდ დააკომპლექტა შემადგენლობა "ტორო როსომ". როგორც იცით, აქამდე ამ საჯინიბოს მხოლოდ ერთი პილოტის ვინაობა იყო ცნობილი, გუშინ კი, იტალიელ **ვიტანტონიო ლიუცის** ამერიკელი **სკოტ სპიდი** შეუერთდა და წლევანდელ სეზონში სწორედ ეს ორი პილოტი დაიცავს "ტორო როსოს" ღირსებას.

სპიდთან ახალი კონტრაქტის გაფორმება ხელშეკრულების დეტალებზე შეუთანხმებლობამ შეაფერხა.

## ჰონდა მწვანედ შეიღებება

როგორც ბრიტანული გაზეთი "დეილი ტელეგრაფი" წერს, 2007 წლის სეზონში, ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე "ჰონდას" ბოლიდზე გამოსახული არ იქნება სპონსორის ლოგოები.

ზამთრის ტესტებზე მანქანა შავად იყო შეღებილი, ახლა კი ამბობენ, რომ ბოლიდი მწვანედ იქნება შეფერილი. ამით, "ჰონდა" უერთდება გარემოს დაცვის ეკოლოგიურ პროგრამას. რაც შეეხება სპონსორულ ლოგოებს, ის უხვად იქნება განთავსებული პილოტების კოსტიუმებსა და ჩაფხუტებზე.

## ალონსოს შემოსავალი ხუთჯერ გაიზარდა

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ესპანელი **ფერნანდო ალონსო** მესამე ადგილზეა პლანეტის ყველაზე მაღალანაზღაურებად სპორტსმენებს შორის.

ესპანურ გაზეთ El Mundo Deportivo-ს ინფორმაციით, "მაკლარენის" 25 წლის პილოტმა ამ დღეებში ახალი, 13-მილიონიანი სასპონსორო კონტრაქტი გააფორმა, რის შემდეგაც, 2007 წელს ფერნანდოს საერთო შემოსავალი 43 მილიონ დოლარს მიაღწევს. შემოსავლების ოდენობით, ის მხოლოდ ორ გოლფისტს - **ტაიგერ ვუდსა** და **ფილ მიკელსონს** ჩამორჩება. ისინი შესაბამისად 90 და 47 მილიონს იღებენ.

შედარებისთვის გეტყვით, რომ შარშან, ალონსომ 10 მილიონზე ნაკლები გამოიმუშავა. მაგრამ ჩემპიონის ტიტულის ზედიზედ მეორედ მოგებამ და ფორმულადან **მიხაელ შუმახერის** წასვლამ, მისი შემოსავალი თითქმის ხუთმაგად გაზარდა.

ველოსპორტი

## ახალი მსოფლიო რეკორდი

სპრინტში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა (2004 და 2006 წლები), ჰოლანდიელმა **ტომას ბოსმა** მანჩესტერში მიმდინარე მსოფლიო თასის ეტაპზე, კლასიკური ტრეკისთვის (სიგრძე 250 მ) ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მან 200 მეტრი 10.058 წამში დაფარა.

ეს შედეგი ჰოლანდიელმა საკვალიფიკაციო ასპარეზობისას დააფიქსირა. მერვედფინალში კი, მას არ გაუმართლა - დისტანციის გავლისას დაეცა და ნაკლებად ცნობილ გერმანელ **მიხაელ სედენბიშერს** გამარჯვების საშუალება მისცა. [illegible] **არნან ტერბანმა** მოიგო, რომელმაც ფინალში [illegible] ოლიმპიური ჩემპიონი, ინგლისელი **კრისტოფერ ჰოი** დაამარცხა.



მსოფლიო თასი

# ვადამდელი გლობუსები

სანამ ქალი სამთო მოთხილამურეები ესპანეთის სამთო კურორტ სიერა ნევადას მორიგ რბოლებში მონაწილეობისთვის ეწვეოდნენ, მანამ გაირკვა, რომ სუპერგიგანტში ბროლის დიდ გლობუსს ავსტრიელი **რენატე გიოჩლი** დაეპატრონება.

საქმე ისაა, რომ შვედეთის არეში მიღებული მუხლის ტრავმის გამო, სეზონის ადრეულად დასრულება გადაწყვიტა ამერიკელმა **ლინდსი კილდოუმ**, ვინც სუპერგიგანტში გიოჩლის ერთადერთი კონკურენტი იყო. ამერიკელი რომ სეზონს გამოეთიშა, გიოჩლის (440 ქულა) უპირატესობამ უახლოეს მდევართან, თანამემამულე **ნიკოლ ჰოსპთან** (227 ქულა) 213 ქულას მიაღწია. ჰოდა, სეზონის დარჩენილ ორ ეტაპზე ჰოსპი გასწრებას ველარ მოახერხებს, რადგან მოგებისთვის ასი ქულა იწერება. ცნობისთვის, კილდოუს ანგარიშზე 310 ქულაა.

მოკლედ, გიოჩლი მესამედ დაეუფლა სუპერგიგანტში ბროლის გლობუსს, რომლის გარდა, მას ოთხჯერ აქვს მოგებული დაშვების გლობუსი და ერთხელაც (2000 წელს) - ბროლის დიდი გლობუსი აბსოლუტურ კლასიფიკაციაში გამარჯვებისთვის.

გიოჩლს დიდი გლობუსის კიდევ ერთხელ მოპოვების შანსი ამჯერადაც აქვს. აბსოლუტურში მას მეორე ადგილი უკავია თანამემამულე **მარლის შილდის** შემდეგ, რომელმაც სიერა ნევადაში სლალომი მოიგო და ამ დისციპლინაში მანაც ადრეულად გაინაღდა პირველი ადგილი.

შილდს ამ სეზონში სლალომის შვიდი ეტაპიდან ექვსი მოგებული აქვს, მაგრამ ასეთ კარგ ფორმაში ყოფნის მიუხედავად, ის მსოფლიოს ჩემპიონატზე მაინც მხოლოდ ვერცხლს დასჯერდა. სხვათა შორის, მან ამ სეზონში სლალომის 19 ცდა შეასრულა და მათგან 14 მოიგო.

სიერა ნევადაში რბოლის წინ, მას მსოფლიო თასის მოსაგებად მერვე ადგილიც კი ჰყოფნიდა, მაგრამ მაქსიმალისტმა ავსტრიელმა შესანიშნავად იასპარეზა და პირველივე ცდაზე დათრგუნა ყველა მეტოქე. მეორე ცდაზე მას თავი აღარ გაუგიჟებია და მაინც საკმაოდ იოლად მიაღწია საწადელს. 25 წლის ავსტრიელს ახლა ისღა დარჩენია, ხორვატი **იანიცა კოსტელიჩის** მიღწევას შეეჭიდოს - კოსტელიჩს 2001 წელს მსოფლიო თასის რვა ეტაპი აქვს მოგებული.

სლალომში გლობუსის განაღდების პარალელურად, შილდმა აბსოლუტურშიც ხელთ იგდო ლიდერის პოზიცია, რომელიც წინა დღით მისმა თანამემამულემ, **ნიკოლ ჰოსპმა** დაიკავა.

ჰოსპმა ეს გიგანტურ სლალომში მეორე ადგილის დაკავებით მოახერხა. გამარჯვებას კი კიდევ ერთმა ავსტრიელმა - **მიხაელა კირხგაზერმა** მოიპოვა, ვისთვისაც ეს პირველი ტრიუმფია მსოფლიო თასის რბოლებზე.

პირველ ცდაზე საუკეთესო შედეგი ფინელ **ტანია პოუტიაინენს** ჰქონდა, მეორეზე კი ჰოსპს, ვინც გიგანტურ სლალომში ლიდერობის გარდა, არეში მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალსაც დაეუფლა. თუმცა, ორი ცდის ჯამში ყველაზე კარგი შედეგი მაინც კირხგაზერს გამოუვიდა, ვისაც ვარჯიშის დროს კუნთი დაეჭიმა, თუმცა გამაყუჩებლების წყალობით, სტარტზე გამოსვლა მაინც შეძლო. აღსანიშნავია, რომ კირხგაზერს 2003 წელს სლალომში მსოფლიოს იუნიორთა ჩემპიონატი აქვს მოგებული.

კაცებმა კი გერმანიის გარმიშ-პარტენკირხენის ავსტრიულ თოვლზე ორ დაშვებასა და სლალომში იასპარეზეს. ორივე დაშვებას ახალბედა გამარჯვებული ჰყავდა, სლალომში კი ბადალი არ ჰყავდა მსოფლიოს ავსტრიელ ჩემპიონ **მარიო მატს**.

რაც შეეხება გარმიშის ავსტრიულ თოვლს, ბავარიაში ახლა ისეთი თბილი ამინდებია, რომ თოვლი სანატრელი გახდა, რის გამოც ორგანიზატორებმა ოცი მანქანა თოვლი ავსტრიის საზღვრიდან გადმოიტანეს.

დაშვების რბოლებიდან პირველი (პარასკევს) სლოვენიელმა **ანდრეი იერმანმა** მოიგო, მეორე კი - კანადელმა **ერიკ გუაიმ**. ორივემ კარიერაში პირველად მოიგო მსოფლიო თასის რბოლა. ამასთან, იერმანს მეორე რბოლის მოგების შანსიც ჰქონდა, მაგრამ კანადელმა 0.50 წამით აჯობა. სხვათა შორის, წინა რბოლაში მან სლოვენიელთან თითქმის ამდენივე წააგო, თუმცა მესამე ადგილს დასჯერდა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

სიერა ნევადა (ესპანეთი). ქალები. გიგანტური სლალომი

1. მიხაელა კირხგაზერი (ავსტრია) 2:14.41 (1:07.74, 1:06.67); 2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 2:14.83 (1:08.27, 1:06.56); 3. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) 2:14.99 (1:07.03, 1:07.96); 4. ანია პერსონი (შვედეთი) 2:15.02 (1:08.25, 1:06.77); 5. კარენ პუტცერი (იტალია) 2:15.67 (1:08.00, 1:07.67)...

სიერა ნევადა (ესპანეთი). ქალები. სლალომი

1. მარლის შილდი (ავსტრია) 1:43.61 (50.84, 52.77); 2. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) 1:43.93 (52.02, 51.91); 3. ვერონიკა სუსულოვა (სლოვაკეთი) 1:44.54 (51.76, 52.78); 4. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 1:44.55 (52.96, 51.59); 5. ანა იელუშიჩი (ხორვატია) 1:44.75 (52.19, 52.56)...

სლალომის კლასიფიკაცია

1. მარლის შილდი (ავსტრია) 660; 2. ანა იელუშიჩი (ხორვატია) 328; 3. ტერეზ ბორსენი (შვედეთი) 324; 4. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 294; 5. სარკა ზაჰრობსკა (ჩეხეთი) 285...

აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. მარლის შილდი (ავსტრია) 1052; 2. რენატე გიოჩლი (ავსტრია) 1019; 3. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 989; 4. ჯულია მანკუზო (აშშ) 959; 5. ლინდსი კილდოუ (აშშ) 808; 6. ანია პერსონი (შვედეთი) 579; 7. კატრინ ცეტელი (ავსტრია) 568; 8. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) 543; 9. მიხაელა კირხგაზერი (ავსტრია) 479; 10. სარკა ზაჰრობსკა (ჩეხეთი) 444...

გარმიშ-პარტენკირხენი (გერმანია). კაცები. დაშვება

1. ერიკ გუაი (კანადა) 1:56.80; 2. ანდრეი იერმანი (სლოვენია) 1:57.30; 3. დიდიე კუშე (შვეიცარია) 1:57.33; 4. კრისტოფ გრუბერი (ავსტრია) 1:57.37; 5. იან ჰუდეკი (კანადა) 1:57.42...

გარმიშ-პარტენკირხენი (გერმანია). კაცები. სლალომი

1. მარიო მატი (ავსტრია) 1:35.66 (46.15, 49.51); 2. ფელიქს ნოიროითერი (გერმანია) 1:36.07 (46.69, 49.38); 3. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 1:36.97 (47.60, 49.37); 4. მაიკლ იანიკი (კანადა) 1:37.07 (47.06, 50.01); 5. მანფრედ მიოლეგი (იტალია) 1:37.23 (46.95, 50.28)...

აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) 818; 2. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 765; 3. დიდიე კუშე (შვეიცარია) 748; 4. ბოდე მილერი (აშშ) 643; 5. პეტერ ფილი (იტალია) 589; 6. მარიო მატი (ავსტრია) 540; 7. კალე პალანდერი (ფინეთი) 469; 8. იენს ბიგმარკი (შვედეთი) 461; 9. მარკო ბიუხელი (ლიხტენშტაინი) 457; 10. მარკ ბერთო (შვეიცარია) 431...



კირხგაზერმა კარიერაში მსოფლიო თასის პირველი რბოლა მოიგო

ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეზანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა